# ჰაჯის, მუ’თამირის და მომნახველის გზამკვლევი

## دَلِيلُ الْحَاجِّ وَالْمُعْتَمِرِ وَالزَّائِرِ



**أبو محمد يوسف بن زبن الله بن محمد العطير**

# ჰაჯის, მუ’თამირის და მომნახველის გზამკვლევი

1. ჰაჯობის და უმრას აღწერა
2. შეცდომები, რომლებსაც უშვებენ ზოგიერთი პილიგრიმები
3. მედინის მადლი და მისი მონახულების ეთიკა
4. ზოგიერთი მართალი ვედრებები და ზიქრები
5. რჩევები ჰაჯის, მუ’თამირის და მომნახველისთვის


ავტორი:

**აბუ მუჰამმად იუსუფ ბნუ ზაბნულლაჰ ბნუ მუჰამმად ალ-უტაირი**

**أبو محمد يوسف بن زبن الله بن محمد العطير**



მთარგმნელი:

თინა მაჩალიკაშვილი

## უმრას საფუძვლები (3)

1. ალ-იჰრამ

ეს არის განზრახვა ნუსუქში შესვლის

2. ატ - ტავაფ

3. ას-საი’უ

ამ საფუძვლებიდან ერთის შეუსრულებლობის შემთხვევაში უმრა არ იქნება სწორი.

## უმრას ვალდებულებები(2)

1) იჰრამი მიიყათიდან ან გამოსვლა უმრას განზრახვით, ვინც იმყოფება ჰარამის ტერიტორიაზე

2) თავის გადაპარსვა ან დამოკლება კაცებისთვის და თმის დამოკლება ქალებისთვის.

დაუშვებელია სავალდებულოს შეუსრულებლობა და ვინც არ შეასრულებს რომელიმეს მასზეა გამოსასყიდი ( ერთი ცხვარი, ძროხის ან აქლემის მეშვიდედი). უნდა დაკლას მექქაში და გასცეს მექქაში მცხოვრებ ღარიბებზე. არ უნდა ჭამოს იქიდან და მისი უმრა იქნება სწორი.

## უმრას სუნნათები

დაბანვა და გასუფთავება იჰრამის წინ. სხეულს ასდიოდეს სასიამოვნო სუნი. ჩაიცვას სუფთა, თეთრი იზარი (უმრაზე ან ჰაჯზე ჩასაცმელი ქსოვილი). იჰრამზე შესვლა სანდლებით. შეპირობება მისთვის, ვინც შიშობს. თალბია და ზიქრი იჰრამის დაწყებიდან ტავაფისთვის შესვლამდე. შავ ქვაზე კოცნა, შეხება მარჯვენათი ან ხელის აწევა მისკენ. პირველი სამი წრე შემოიაროს სწრაფად მამაკაცებმა. მიესალმოს იემენის კუთხეს. იემენის კუთხის და შავ ქვას შორის წარმოთქვას ვედრება: "رَبَّنَا آتِنَا فِي الدُّنْيَا حَسَنَةً وَفِي الْآخِرَةِ حَسَنَةً وَقِنَا عَذَابَ النَّارِ" „რაბანაა აათინაა ფი დუნიაა ჰასანათან ვა ფილ ახირათი ჰასანათან, ვა ყინაა ღაზააბა ნნაარ“. ტავაფის ორ მუხლ ლოცვაში ფათიჰას შემდეგ წარმოთქვას სურა ალ-ქააფირუუნ და სურა ალ-იხლას. წარმოთქვას ბევრი ზიქრი და ვედრება. აბდესის აღება გარბენის დროს. საფა და მარვას შორის გარბენისას იკითხოს ბევრი ვედრება. ორ მწვანე ნიშანს შორის სირბილი მამაკაცებისთვის.

## ჰაჯობის საფუძვლები(4)

1. ალ - იჰრამ
2. არაფათზე დგომა
3. ტავაფი იფადა
4. სირბილი

ეს არის განზრახვა ნუსუქში შესვლის

ნუსუქი ნიშნავს რიტუალს(ჰაჯობა,უმრა)

ვინც გამოტოვებს რომელიმე ერთ საფუძველს მისი ჰაჯობა არ იქნება მიღებული

## ჰაჯობის ვალდებულებები (7)

1. იჰრამი მიიყათიდან
2. არაფათზე დგომა მზის ჩასვლამდე
3. მიიყათი მუზდალიფიდან
4. თაშრიყის ღამეების გათენება მინაზე
5. კენჭების სროლა
6. თმის გაპარსვა ან დამოკლება
7. გამოსამშვიდობებლო ტავაფი

დაუშვებელია სავალდებულოს შეუსრულებლობა, და ვინც არ შეასრულებს რომელიმეს მასზეა გამოსასყიდი (ერთი ცხვარი, ძროხის ან აქლემის მეშვიდედი). უნდა დაკლას მექქაში და გასცეს მექქაში მცხოვრებ ღარიბებზე. არ უნდა ჭამოს იქიდან და მისი ჰაჯობა იქნება სწორი.

ჰაჯობის სამი სახეობა არსებობს, პილიგრიმმა უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი მათგანი.

## 1. ათთამათუ'

ეს არის საუკეთესო სახეობა მათთვის, ვინც არ მოიყვანა შესაწირი.

**1.ასრულებს უმრას**

იჰრამში შედის ჰაჯობის თვეებში(შავვალი, ზულ-ყა'და ან ზულ-ჰიჯჯას პირველ 10 დღეს და ამბობს: ლა ბაიქალ უმრა. და არ უნდა დაამატოს, რომ ჰაჯ-თამათუ'ს ასრულებს, რადგან მან უკვე განიზარახა გულში ჰაჯობა. როცა ჩამოვა მექქაში აკეთებს ტავაფს და გარბენას. პარსავს ან ამოკლებს თმებს. ამის მერე დაშვებულია მისთვის ყველა აკრძალვა გარდა ქალისა.

**2. ასრულებს ჰაჯობას**

ზულ-ჰიჯჯას მერვე დღეს ასრულებს ჰაჯობას იმ ადგილიდან, სადაც იმყოფება. ასევე, ასრულებს სხვა ყველა ქმედებას, რაც საჭიროა ჰაჯობისთვის.

**3. კლავს შესაწირს**

სასაჩუქრე შესაწირი სავალდებულოა: ცხვარი, რომელიც გამოსადეგია შესაწირად, ან აქლემის მეშვიდედი ან ძროხის მეშვიდედი. ხოლო თუ ვერ მოახერხებს დაკვლას უნდა იმარხოს სამი დღე ჰაჯობის დროს და იმარხოს 7 დღე, როცა დაბრუნდება თავის ოჯახში.

## 2. ალ-ყირან

**1.ასრულებს უმრას**

მას აქვს ორი სურათი: 1- შედის იჰრამში უმრასთვის და ჰაჯობისთვის ერთად და ამბობს: ლა ბაიქა უმრათან ვა ჰაჯჯან.

2- ჯერ შედის უმრას იჰრამში, თუ შიშობს რომ ვერ მოასწრებს ჰაჯობაზე შესვლას, და იღებს ჰაჯობის იჰრამის განზრახვას ტავაფამდე. თუ უკვე მისულია მექქამდე აკეთებს ჩამოსვლის ტავაფს და გარბენას უმრასთვის და ჰაჯობისთვის და რჩება იჰრამში.

**2. ასრულებს ჰაჯობას**

მერვე დღეს გადის და არულებს ჰაჯობას, თუ გარბენა უკვე შესრულებული აქვს. თუ არ აქვს შესრულებული ჯერ აკეთებს გარბენას და მერე ასრულებს ჰაჯობას.

**3. კლავს შესაწირს**

ცხვარი, რომელიც გამოსადეგია შესაწირად, ან აქლემის მეშვიდედი ან ძროხის მეშვიდედი. ხოლო თუ ვერ მოახერხებს დაკვლას უნდა იმარხოს სამი დღე ჰაჯობის დროს. და იმარხოს 7 დღე, როცა დაბრუნდება თავის ოჯახში.

## 3. ალ-იფრად

**ასრულებს ჰაჯობას**

შედის მხოლოდ ჰაჯობის იჰრამში. და მიიყათზე ამბობს: ლა ბაიქალ ჰაჯჯ. და თუ მოვიდა მექქაში აკეთებს ჩამოსვლის ტავაფს, ჰაჯობის გარბენას და რჩება იჰრამში. მერვე დღეს გადის და ასრულებს ჰაჯობის რიტუალს.

**არ არის მასზე შესაწირი**

არ არის ჰაჯ იფრადის შემსრულებელზე შესაწირი, რადგან მან არ გაერთიანა უმრა და ჰაჯობა.

# იჰრამის აკრძალვები

1

- თმის მოშორება თავიდან ან სხეულიდან, მისი გაპარსვით, დამოკლებით და ა.შ.
- ფრჩხილების მოჭრა ხელებიდან ან ფეხებიდან
- სუნამოს ან სხვა სუნის მქონე რაიმის გამოყენება იჰრამზე შესვლის შემდეგ სხეულზე, ტანსაცმელზე ან სხვა რამეზე.
- კაცისთვის რაიმის თავზე დახურვა: ქუდის, ჩალმის და მსგავსი რამის.
- კაცისთვის რაიმე ნაკერის მქონის ჩაცმა, შარვალი იქნება ეს საცვალი თუ სხვა რამ
- ქალისთვის ნიყაბის და ხელთათმანის ჩაცმა
- შეხედვა ან დათვალიერება(ქალის, კაცის) სურვილით ან ვნებით.

ვინც დაარღვევს რომელიმე აკრძალვას მასზეა შემდეგი გამოსყიდვა:

მარხვა სამი დღე, ან ექვსი ღარიბის გამოკვება(ერთი სა' ხორბლის მეოთხედი, ან ნახევარი სა' სხვა საკვების თითო ღარიბისთვის), ან დაკლავს ცხვარს და გასცემს ღარიბებზე.

ცხვარის ან საკვების გაცემა უნდა მოხდეს მექქაში ან იმ ადგილას, სადაც დაარღვია აკრძალვა.

2

- სქესობრივი კავშირი: მასზეა ცხვარი, იშლება მისი უმრა და უნდა შეასრულოს ახლიდან, მას ეკუთვნის გასამართლება
- ნადირის მოკვლა( შინაური ან გარეული ცხოველი): მასზეა სამაგიერო მოკლულის ტოლი.
- ჰარამის ცხოველის მოკვლა ან დაშინება: მასზეა სამაგიერო მისი ტოლი.
- ნიქახის დადება ან ნიშნობა მისთვის ან სხვისთვის: არ აქვს გამოსასყიდი

ზემოთ მოხსენიებულ აკრძალვებს აქვთ სამი მდგომარეობა:

1. თუ დაარღვია აკრძალვა ყოველი მიზეზის გარეშე: ის არის ცოდვილი და მასზეა გამოსასყიდი.

2. თუ დაარღვია აკრძალვა საჭიროების გამო, მაშინ არღვევს მას, და იხდის გამოსასყიდს.

3. თუ დაარღვია აკრძალვა საპატიო მიზეზით: მაგ. არ იცოდა, დაეძინა, დაავიწყდა ან მოატყუეს - მაშინ არ არის მასზე ცოდვა და არც გამოსასყიდი.


الركن الشامي
შამის კუთხე
الميزاب
ჩასადინარი
الركن العراقي
ერაყის კუთხე
الركن اليماني
იემენის კუთხე
الحِجر أو: الحطيم
(مِن الخطأ تسميته: حِجر إسماعيل)
ქვა: ან ალ-ჰატიმ(შეცდომა: უწოდო ისმაილის ქვას)
باب الكعبة
ქააბას კარები
ცოკოლი
الشاذروان
الملتزم
(ما بين الحَجر والباب)
مقام إبراهيم
الحجر الأسود
შავი ქვა
١
٢
٣
يرمل الرَّجل
ალ-მულთაზამ (შავ ქვას და კარებს შორის)
იბრაჰიმის დგომის ადგილი
بداية الشوط ونهايته
წრის დაწყების და დასრულების ადგილი
٤
٥
٦
٧
აჩქარებს სიარულს
مشي عادي
الاتجاه إلى الصفا
მიმართულება საფასკენ
ჩვეულებრივი სიარული
გორა მარვა
მეორე მწვანე ნიშანი
العلم الأخضر الثاني
პირველი მწვანე ნიშანი
العلم الأخضر الأول
المروة
წრე მარვადან საფასკენ
من المروة إلى الصفا شوط
გორა საფა
من الصفا إلى المروة شوط
წრე საფადან მარვასკენ
الصفا
يسرع الرجل بين العَلَمين الأخضرين
მამაკაცი აჩქარებს სირბილს ორ მწვანე ნიშანთან

# بسم الله الرحمن الحيم

## სახელითა ალლაჰისა მოწყალისა შემწყალებლისა

შესავალი:

ქება დიდება ალლაჰს სამყაროების ღმერთს, დალოცვა და მშვიდობა ჩვენს მოციქულს მუჰამმადს, მის ოჯახსა და მის ყველა საჰაბას(მეგობარს) და შემდეგ:

სიკეთე, რომელიც შეიძლება მოუტანოს მუსლიმმა მის მუსლიმ ძმას არის, რომ მან მიუთითოს თავის ძმას ისეთი კეთილი საქმეებისკენ, რომელიც დაახლოვებს მას ალლაჰთან დიდებულია ის და ამაღლებული.

რომელი საქმეც არ უნდა იყოს ეს - მათ შორის ჰაჯობა და უმრა - არ იქნება ალლაჰთან მიღებული გულწრფელობის გარეშე და თუ არ იქნება ის მხოლოდ ალლაჰისთვის, შუამავლის (ალლაჰი ლოცვა და მშიდობა მას) მანჰაჯზე(გზაზე).

პილიგრიმები, მუ'თამირები და ძვირფასი მომნახველები-როცა გაემგზავრებიან ორ წმინდა ადგილას, სადაც გარმოევლინა ზეშთაგონება, რომელიც არის რწმენის ნიშანი და ღვთიური წერილის საწყისი. ისინი ვალდებული არიან, რომ გამოიჩინონ გონივრულობა იმაში, რაც სარგებელს მოუტანს მათ და რასაც მიიღებენ ამ მგზავრობიდან.

იმითვის, რომ პილიგრიმის, მუ'თამირის და მომნახველის თაყვანისცემა იყოს სწორი, ის ვალდებულია შეისწავლოს შუამავლის ﷺ გზა ამ თაყვანისცემაში იქამდე, სანამ ის გაემგზავრება წმინდა ადგილებში. რათა შეასრულოს ის ნათლად, ცოდნით და შეგნებით, და რომ არ იყვნენ იმათ მსგავსი, ვინც უმეცრობით ეთაყვანება ალლაჰს, ან ემეცრების მსგავსად, ან მათზე შეკითხვით, ვისაც არ აქვს შესაბამისი ცოდნა, და რომ არ დაბრუნდე - ალლაჰს შევეფარებით - არაფრის გარეშე, იმის ნაცვლად რომ დაბრუნდე უდიდესი ნადავლით.

ამაზე მიუთითებს ალლაჰის სიტყვები: „და იცოდე, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და სთხოვე პატიება შენს ცოდვებზე". სიტყვაზე და საქმეზე წინ ცოდნა მიიღე.

შუამავალი ﷺ გამოსამშვიდობებელ ქადაქებაზე ეუბნებოდა თავის საჰაბებს: „ასწავლეთ მათ თაყვანისცემის რიტუალები!" და მოუწოდებდა მათ, რომ აეღოთ მისგან ეს ცოდნა. და მან თქვა: „აიღეთ ჩემგან თქვენი რიტუალები". (მუსლიმ)

ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა:" ვისთვისაც ალლაჰს სურს სიკეთე, ის აძლევს მას რელიგიის გაგებას". (ბუხარი და მუსლიმი).

მე დავინახე პილიგრიმების, მუ'თამირების და მომნახველების საჭიროება გაიოლებულ კრებულში, რომლითაც ისინი მიიღებდნენ სარგებელს მათი რიტუალების შესრულებაში. იმ სწავლულებზე დაყრდნობით, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი სანდოობით, მათ მანჰაჯზე მიყოლით. ალლაჰმა გამიადვილა ამ წიგნის შეკრება „ჰაჯის, მუ'თამირის და მომნახველის გზამკვლევი", და ამ წიგნის

შეკრებაში დამეხმარა ზოგირთი ძვირფასი ცოდნის მაძიებელი, ალლაჰმა სიკეთით დააჯილდოვოს ისინი.

თხოვნა იქნება  ჩემო ძვირფასო ძმაო, რომ კარგად წაიკითხო ეს წიგნი და მიიღო მისგან სარგებელი შენი რიტუალების შესრულებაზე შარიათის გზით.

ყოვლადმაღალ ალლაჰს ვთხოვ მისი საუკეთესო სახელებითა და ხარისხებით, რომ გახადოს ეს წიგნი სასარგებლო ცოდნა, იყოს მხოლოდ მისი კმაყოფილებისთვის, შუამავლის ﷺ სუნნათის შესაბამისად, და რომ ისარგებლოს მისით მკითხველმა, და იმოქმედოს მისით, შეაგროვოს ის, და ვინც დაეხმარება მის  შეგროვებაში, ვთხოვ რომ ისარგებლოს მან და მისმა ხალხმა, და მოუტანოს სიკეთე ისლამისთვის და მუსლიმებისთვის, ჭეშმარიტად სიკეთე მიიღებს მის პასუხს.

ალლაჰმა დალოცოს და მშვიდობა მისცეს ჩვენს შუამავალს ﷺ , მის ოჯახს და ყველა მის საჰაბებს.

თქვენთვის სიკეთის მსურველი: **აბუ მუჰამმად**

## ჰაჯობისა და უმრას შესრულებისკენ მოწოდება (1):

გადმოცემულია აბუ ჰურაიასგან(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შეეკითხეს შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): რომელია საუკეთესო საქმე? მან უპახუხა: „რწმენა ალლაჰისა და მისი შუამავლისა“. ჰკითხეს: შემდეგ რომელია? თქვა: „ჯიჰადი ალლაჰის გზაზე“. ჰკითხეს : და მის შემდეგ რომელია? მან თქვა:“სრულყოფილი ჰაჯი“. ( ბუხარი, მუსლიმი)

მისგანვე გადმოცემულია: მე გავიგონე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: „ვინც გააკეთა ჰაჯობა, არ გამოუჩენია ბილწსიტყვაობა და არ ჩაუდენია რაიმე ცოდვა, დაბრუნდა ისე, როგორც გააჩინა მისმა მშობელმა“.(ბუხარი, მუსლიმი)

მისგანვე გადმოცემულია, რომ შუამავალმა(ალლაჰი ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: “უმრა შლის ცოდვებს უმრადან უმრამდე, ხოლო სრულყოფილი ჰაჯობის საზღაური არის მხოლოდ - სამოთხე“. (ბუხარი, მუსლიმ)

გადმოცემულია იბნ შიმასასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი),რომლემაც თქვა: ჩვენ ვიყავით ამრ ბნუ ასთან, რომელიც სიკვდილის პირას იყო. ის ძალიან ბევრს ტიროდა და ამბობდა: როდესაც ალლაჰმა განათავსა ჩემს გულში ისლამის სიყვარული მე მოვედი შუამავალთან ﷺ და ვუთხარი: ო ალლაჰის შუამავალო მომეცი შენი მარჯვენა ხელი, რომ ფიცი მოგცე. და მან გამომიწოდა თავისი ხელი, მაგრამ მე არ გავუწოდე ჩემი ხელი. მაშინ მან მკითხა: „რას გჭირს ო ამრ?“ მე ვუთხარი: მე მინდოდა, რომ პირობა დამეყენებინა. მან მკითხა: „რა პირობა“ ? მე ვუთხარი: რომ მეპატიოს ჩემი ცოდვები. მან თქვა :“ნუთუ შენთვის არ არის ცნობილი, რომ ისლამი შლის ყველაფერს, რაც მის წინ იყო, და რომ ჰიჯრა შლის ყველაფერს, რაც წინ იყო და ჰაჯობა შლის ყველაფერს, რაც მის წინ იყო“. (იბნ ხუზაიმა, საჰიჰი ჰადისი)

გადმოცემულია ალ-ჰასან ბნუ ‘ალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომელმაც თქვა: მოვიდა კაცი შუამავალთან ﷺ და უთხრა: მე მშიშარა და სუსტი ვარ. შუამავალმა უთხრა :“იჩქარე ჯიჰადისკენ, რომელსაც არ აქვს ეკლები და ეს არის ჰაჯობა“. (ატ-ტაბარი, საჰიჰი)

გადმოცემულია აიშასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: მე ვკითხე შუამავალს : ო შუამავალო, ჩვენ დავინახეთ, რომ ჯიჰადი საუკეთესო საქმეა, შევასრულოთ ის? მან უპასუხა: „მაგრამ საუკეთესო ჯიჰადი - სრულყოფილი ჰაჯობაა“. (ბუხარი)

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან,, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: „ჯიჰადი მოხუცის, სუსტის და ქალის არის - ჰაჯობა და უმრა“. (ან-ნასაი, კარგი ჰადისი)

მა’იზი ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი გადმოსცემს, რომ შეეკითხეს შუამავალს ﷺ : რომელია საუკეთესო საქმე? უპასუხა: „წრმენა ალლაჰისა ერთადერთისა, შემდეგ ჯიჰადი და შემდეგ სრულყოფილი ჰაჯობა, მათი უმჯებესობა სხვა საქმეებთან მსგავსია მზის ამოსვლა მზის ჩასვლასთან“.(ჰადისი გადმოსცა აჰმადმა და ტაბარიმ, არის საჰიჰი)

გადმოცემულია ჯააბირისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა ﷺ: „სრულყოფლი ჰაჯობის საზღაური არ არის არაფერი, გარდა სამოთხისა“. და მას ჰკითხეს: და რა არის მისი ბირრა? მან უპასუხა: „საჭმლით გამოკვება და კარგი სიტყვა“. (აჰმად და სხვა. საჰიჰი)

გადმოცემულია იბნ საუდისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: „ჩაანაცვლეთ ერთმანეთს ჰაჯობა და უმრა, ჭეშმარიტად ისინი აშორებს სიღარიბეს და ცოდვებს, როგორც მჭედელი აშორებს ჟანგს რკინიდან, ოქროდან და ვერცხლიდან, და არ არსებობს სხვა საზღაური სრულყოფილი ჰაჯობისთვის, გარდა სამოთხისა“. (თირმიზი და სხვა, კარგი ჰადისი)

გადმოცემულია იბნ უმარისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: მე გავიგონე, რომ შუამავალი ﷺ ამბობდა: „არ აწევს პილიგრიმს მისი აქლემი და არ ჩაწევს ის ხელს გარდა იმისა, რომ მას დაეწეროს ალლაჰისგან მადლი, ან მოაშოროს მას ცუდი, ან აამაღლოს ის საფეხურით“. (ალ-ბაიხაყი და იბნ ჰაბბან, კარგია ჰადისი)

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: „ჰაჯები და მუ’თამირები ალლაჰის დელეგაცია არიან, თუ შესთხოვენ მას - ის აძლევს მათ, და თუ სთხოვენ პატიებას - ის პატიობს მათ“. (ან-ნასაი და სხვა, საჰიჰი)

გადმოცემულია იბნ უმარისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, შუამავალმა ﷺ თქვა: „დატკბით ამ სახლით, რადგან ის იყო დანგრეული ორჯერ და აშენებული მესამეჯერ“. (ალ-ბაზაარ და სხვა, საჰიჰი)

გადმოცემულია იბნ უმარისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: მე ვიჯექი შუამავალთან ﷺ მინას მეჩეთში, მოვიდა მასთან ორი კაცი, ერთი და მეორე საყიფიდან. მოგვესალმეს და თქვეს: ო, ალლაჰის შუამავალო! მოვედით, რომ შეგეკითხოთ! შუამავალმა უთხრა: „თუ გინდათ, მე გეტყვით რისი კითხვაც გინდათ, თუ არა და თქვენ თვითონ მკითხეთ“, მათ თქვეს: გვითხარი ო, შუამავალო! საყიფელმა უთხრა ანსარს: უთხარი და მანაც უთხრა შუამავლას: გვიამბე ო, შუამავალო! შუამავალმა თქვა: „ შენ მოხვედი, რომ შემეკითხო შენი სახლიდან გამოსვლაზე ჰაჯობის შესრულების განზრახვით, და მის ღირსებაზე, და ასევე ორ მუხლ ტავაფ ლოცვაზე, საფა და მარვას შემოვლაზე და რა სარგებელი გექნება შენ ამით, ქვების სროლაზე, შესაკლავის დაკვლაზე და იფადას ტავაფზე“. მან უპასუხა: ვფიცავ ალლაჰს შენ მართალი ხარ, მე მოვედი რომ ეს ყველაფერი შეგეკითხო! შუამავალმა თქვა: „მის შემდეგ, რაც შენ გამოხვალ შენი სახლიდან განზრახვით, რომ მიხვიდე ქააბამდე, და რამდენჯერაც შენი აქლემი გადადგამს ფეხს შენ დაგეწერება იმდენი სიკეთე და გაგშორდება იმდენივე სიავე. რაც შეეხება ორ მუხლს ტაფავის შემდეგ, ის ტოლია ერთი მონის გათავისუფლებისა ისრაელის შთამომავლებიდან. საფა და მარვას შორის სირბილი ტოლია 70 მონის გათავისუფლებისა, ხოლო რაც შეეხება საღამომდე არაფათზე დგომას - ალლაჰი ჩამოდის პირველ ცაზე და ამაყობს თქვენით ანგელოზების წინაშე. უზენაესი ალლაჰი ეტყვის თავის ანგელოზებს: ჩემი მონები მოვიდნენ ჩემთან შორიდან ჩემს სამოთხეში შესვლის იმედით, თქვენი ცოდვები რომც იყოს სილის ოდენობის, ან წმიმის წვეთების ოდენობის, ან ზღვის ქაფის ოდენობის მე თქვენ გაპატიეთ! ო, ჩემო მონებო! თქვენ ბრუნდებით არაფადან

ნაპატიები, ცოდვების გარეშე და ისინი, ვისთვისაც თქვენ უშუამდგომლეთ. რაც შეეხება ქვების სროლას: ყოველ გასროლილ გვაზე წაგეშლება თითო დიდი ცოდვა, რომელიც გღუპავს შენ, ხოლო შეწირულისთვის შენი მარაგი ალლაჰთან არის, ხოლო გაპარსული ყოველი თმისთვის გეწერება თითო მადლი, და გშორდება თითო სიავე. რაც შეეხება შენს ტავაფს ქააბას გარშემო, ამის მერე შენი ცოდვები წაშლილია, მოდის ანგელოზი და დადებს თავის ორ ხელს შენს ბეჭებზე და იტყვის: ამის მერე აკეთე სიკეთე, რადგან შენი წარსული ცოდვები ნაპატიებია სრულად".

უბადა იბნ სამითის გადმოცემაში წერია: „ჭეშმარიტად შენ დაგეწერება მადლი, თუ გაემგზავრები ბეითულ ათიყში(ქააბა), და არ გადადგამთ ფეხს შენ და შენი აქლემი, რომ არ მიიღო ყოველი ნაბიჯისთვის მადლი და ამაღლდე საფეხურით. რაც შეეხება შენ დგომას არაფატზე, ალლაჰი ეტყვის თავის ანგელოზებს: ო, ჩემო ანგელოზებო! არ მოვიდნენ ჩემი მონები? მათ უპასუხებენ: მოვიდნენ და ეძებენ შენს წყალობას და სამოთხეს! დიდებული და ამაღლებული ალლაჰი იტყვის: მე ვამოწმებ ჩემი თავით, ჩემი ქმნილებებით, რომ მე ნამდვილად ვაპატიე მათ მათი ცოდები, თუნდაც რომ იყოს საუკუნეების ოდენობის ან გაქვავებული სილის ტოლი. ხოლო რაც შეეხება ქვების სროლას, უზენაესმა ალლაჰმა თქვა: „და არცერთმა სულიერმა არ იცის, რა სიამეებია დაფარული მათ თვალთაგან იმის საზღაურად, რასაც აკეთებდნენ" (ას-საჯდა, 17)

რაც შეეხება თმის გაპარვას, ყოველი შენი მიწაზე დავარდნილი თმისგან სინათლე გექნება განკითხვის დღეს.

რაც შეეხება ტავაფს ქააბას გარშემო, როცა დაასრულებ მას შენ გამოხვალ შენი ცოდვებიდან ისე სუფთად, როგორც გაგაჩინა დედაშენმა".

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა, შუამავალმა ﷺ თქვა: „ ვინც გავიდა ჰაჯობისთვის და მოკვდა - დაეწერება მას ჰაჯის მადლი განკითხვის დღემდე. და ვინც გავიდა უმრასთვის და მოკვდა დაეწერება მას მუ'თამირის მადლი განკითხვის დღემდე. და ვინც გავიდა სალაშქროდ და მოკვდა - დაეწერება მას მებრძოლის მადლი განკითხვის დღემდე". (აბუ უაღლა, საჰიჰ ლიღაირიჰ)

გადმოცემულია იბნ აბბასისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: როდესაც არაფათზე ვიყავით შუამავალთან ერთად ﷺ ,ერთი კაცი იჯდა მის აქლემზე, უცებ გადმოვარდა და კისერი მოიტეხა. შუამავალმა ﷺ თქვა: „დაბანეთ ის წყლით და სიდრით, შეახვიეთ ის სუდარაში, და არ წაუსვათ მას რაიმე არომატული, როგორც სხვა მკვდრებს. ჭეშმარიტად ის აღსდგება განკითხვის დღეს თალბიას ძახილით".(ბუხარი, მუსლიმ)

გადმოცემულია აიშასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა ﷺ უთხრა მას უმრას დროს: „ჭეშმარიტად შენ მიიღებ საზღაურს შენი ძალისხმევის და დანახარჯის შესაბამისად". (ალ-ჰაქიმ,საჰიჰი)

გადმოცემულია იბნ აბბასისგან, რომელმაც თქვა: როდესაც დაბრუნდა შუამავალი ﷺ თავისი ჰაჯობიდან უთხრა უმმ სინან ალ-ანსარიას: რამ შეგიშალა ხელი, რომ ჰაჯობა

შეგესრულებინა? უპასუხა: აბუ ფულანმა - იგულისხმა მისი ქმარი - მას ჰყავდა მხოლოდ ორი მრწყეველი, ერთმა შეასრულა ჰაჯობა, მეორე რწყავდა მიწას ჩვენთვის. შუამავალმა ﷺ უთხრა: „უმრა რამადანში ტოლია ჩემთან ერთად შესრულებული ჰაჯობის“. (ალ-ბუხარი)

# ჰაჯობის და უმრას აღწერა

## თავი: მტკიცებულებები ჰაჯობისა და უმრას ვალდებულებაზე, და შეჯიბრება მათ შესრულებაში

ჰაჯობის ვალდებულობის მტკიცებულებები:

დაავალდებულა დიდებულმა ალლაჰმა მისი მონები, რომ შეასრულონ ჰაჯობა მის აკრძალულ სახლში და გახადა ის ისლამის ერთ-ერთ საფუძვლად.

ყოვლადმაღალმა ალლაჰმა თქვა: „და ალლაჰისათვის ხალხს ევალება მოლოცვა ამ სახლისა, ვისაც მასთან მისვლა შეუძლია(ე.ი საშუალება და ძალა). და ვინც უარყო, ჭეშმარიტად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა“. (ალ-იმრან,97)

ორივე საჰიჰ კრებულში გადმოცემულია იბნ უმარისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ ალლაჰის მოციქულმა ﷺ თქვა: „ისლამი დაფუძნებულია ხუთზე: დამოწმება, რომ არ არსებობს ღვთაება ღირსეული თაყვანისცემისა, გარდა ალლაჰისა, და რომ მუჰამმადი მისი მოციქულია, ლოცვის შესრულება, ზაქათის გადახდა, მარხვა და ჰაჯობა ალლაჰის აკრძალულ სახლში“.

ის, ვინც არ შეასრულა ჰაჯობა და გააჩნია ამის შესაძლებლობა ვალდებულია, რომ იჩქაროს მისკენ.

როგორც გადმოცემულია იბნ აბბასისგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: „იჩქარეთ ჰაჯობისკენ - ანუ სავალდებულოსკენ - რადგან თქვენგან არავინ არ იცის რა შეემთხვევა მას“. (გადმოსცა აჰმადმა)

მათთვის, ვისაც აქვს საშუალება აუცილებელია შეასრულოს ჰაჯობა სასწრაფოდ(გადადების გარეშე), რაც ნათლად ჩანს ალლაჰის სიტყვებიდან: „და ალლაჰისათვის ხალხს ევალება მოლოცვა ამ სახლისა, ვისაც მასთან მისვლა შეუძლია(ე.ი საშუალება და ძალა). და ვინც უარყო, ჭეშმარიტად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა“. (ალ-იმრან,97)

შუამავალმა ﷺ თქვა თავის ქადაგებაში: „ო ხალხო, ჭეშმარიტად ალლაჰმა დაგავალდებულათ ჰაჯობა და შეასრულეთ ის!“ (მუსლიმ)

## უმრას ვალდებულობის მტკიცებულებები:

უმრას ვალდებულობის მტკიცებულებები უბრუნდება ჰადისებს:

მათ შორის არის: შუამავლის ﷺ სიტყვები, როცა მას ანგელოზმა ჯაბრაილმა შეეკითხა ისლამზე, მან უპასუხა: „ისლამი არის დაამოწმო, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, და რომ მუჰამმადი მისი შუამავალია, შეასრულო ლოცვა, გასცე ზაქათი, შეასრულო ჰაჯობა და უმრა, განიწმინდო ჯუნუბისგან, შეასრულო მცირე განბანვა და იმარხო რამადანი“. (იბნ ხუზაიმა და ად-დარაყუტნი უმარის ჰადისიდან, დარაყუტნიმ თქვა რომ ეს ჰადისი მყარი საჰიჰია)

და მათ შორის: აიშას ჰადისი ალლაჰი ოყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: ო, შუამავალო! არის თუ არა ქალზე ჯიჰადის ვალდებულება? მან უპასუხა: „მათზეა ჯიჰადი, რომელშიც არ არის მსხვერპლი, ეს არის ჰაჯობა და უმრა“.(აჰმადი და იბნ მააჯა საჰიჰი ინადით)

არ არის სავალდებულო, რომ შეასრულო ჰაჯობა და უმრა ერთზე მეტად სიცოცხლეში.

შუამავლის სიტყვიდან საჰიჰ ჰადისში წერია: „ჰაჯობა ერთხელ, და ვინც დაამატა - ის დაემორჩილა“. (აჰმადი)

ჰაჯობის მრავალჯერ შესრულება დაკანონებულია, როგორც მორჩილება.

ორივე საჰიჰ კრებულში მოსულია აბუ ჰურაირასგან, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: „უმრა შლის ცოდვებს უმრადან უმრამდე, ხოლო სრულყოფილი ჰაჯობის საზღაური არის მხოლოდ - სამოთხე“. (ბუხარი, მუსლიმ)

## თავი : ცოდვების მონანიების ვალდებულებაზე და სიბნელიდან გამოსვლაზე:

როდესაც მუსლიმი გადის სამოგზაუროდ გაჰობაზე ან უმრაზე სასურველია, რომ მან დაარიგოს თავისი ოჯახი და მეგობრები, რომ ეშინოდეთ ალლაჰის და ეს გამოიხატება შემდეგში: შეასრულონ მისი ბრძანებები და გაშორდნენ მის აკრძალულს.

აუცილებელია, რომ მან დაწეროს ვის აქვს მისი ვალი და ვისი ვალი აქვს მას და დააყენოს მასზე მოწმეები.

ასევე სავალდებულოა, რომ მოინანიოს მისი ცოდვები სრულად, როგორც ალლაჰის სიტყვებში მოდის: „და მოინანიეთ თქვენი ცოდვები სრულად ო მორწმუნეებო, ეგების იქმნეთ წარმატებულნი“. (ან-ნურ, 31)

ჭეშმარიტი მონანიება არის: ცოდვებზე უარის თქმა და მიტოვება, ნანობდე რაც ჩაიდინე წარსულში  და მტკიცედ გადაწყვიტო, რომ არ დაუბრუნდები მათ ისევ.

თუ მას აქვს რაიმე უსამართლობა ჩადენილი ვინმესთვის - საკუთარი თავით, ქონებით ან ღირსებით - დაუბრუნოს მას, ან შესთხოვოს პატიება, როგორც გვიბრძანა შუამავალმა ﷺ : „ვინც მოექცა თავის ძმას უსამართლოდ მის ღირსებაზე ან სხვა რამით, დაე დაუბრუნოს მას მისი უფლება მანამ, სანამ დინარი და დირჰამი დაკარგავს თავის ფასეულობას და მაშინ, თუ მას ჰქონდა რამე კარგი მას წაართმევენ და მისცემენ მას, ვისაც უსამართლოდ მოექცნენ და თუ რამე ცოდვა ჰქონდა მისცემენ მას, ვინც უსამართლოდ მოექცა თავის ძმას“.

აუცილებელია, რომ თავისი ჰაჯობისთვის გამოიყენოს საუკეთესო ქონება, რომელიც ჰალალი გზით არის ნაშოვნი. როგორც ბრძანა შუამავალმა ﷺ : „ჭეშმარიტად ყოვლადმაღალი ალლაჰი კეთილია და არ იღებს არაფერს, გარდა სიკეთისა“.

აუცილებელია, რომ მან თავი შეიკავოს სხვებისგან რაიმის თხოვნას და გამოიჩინოს მათთან საუბრის საუკეთესო მანერა. შუამავალმა ﷺ თქვა: „ვინც ისწრაფვის თავშეკავებისკენ, ალლაჰი გახდის მას თავშეკავებულს“.

### ჰაჯი(პილიგრიმი) ვალდებულია:

რომ თავის ჰაჯობასა და უმრაზე განიზრახოს: რომ გააკეთოს ის ალლაჰის სახისთვის და აახირეთისთვის, რომ დაუახლოვდეს ალლაჰს

იმით, რითაც ის იქნება კმაყოფილი სიტყვებით და საქმეებით ამ მადლიან რიტუალებში.

უფრთხილდეს ყველა იმ საფრთხილო საქმეს თავის ჰაჯობაში, რაც გამოიწვევს ამქვეყნიური ქონების სურვილი, რია(მოჩვენებითობა), რეპუტაცია, სიამაყე მისით და ა.შ. რადგან ეს არის ყველაზე უარესი განზრახვა და სწრაფვა. ეს არის განადგურება ყველა სიკეთისა და მათი მიუღებლობა, როგორც ალლაჰმა ბრძანა თავის ყურანში: „ვისაც უნდა ამქვეყნიური ცხოვრება და მისი სილამაზე, სრულად მივაგებთ მათი საქმეებისთვის ამქვეყანასვე და მათ იქ არაფერი მოაკლდებათ.16. ესენი არიან, ვისაც საიქიოში არაფერი ექნება ცეცხლის გარდა. ფუჭია ის, რასაც იქ(ამქვეყნად) აკეთებდნენ, და ბათილია რასაც აკეთებენ." (ჰუდ:15-16)

და თქვა მასზე შუამავალმა ﷺ : „თქვა ყოვლადმაღალმა ალლაჰმა: მე აბსოლუტურად არ ვსაჭიროებ, რომ დამიდგინოს ვინმემ თანაზიარი და ვინც შეასრულებს საქმეს არა ჩემი გულისთვის და სხვა რამის გულისთვის მაშინ, მე მივატოვებ მასაც და მის შირქსაც" .(მუსლიმ)

ასევე აუცილებელია, რომ მან აირჩიოს თავის მეგზურებად ალლაჰის მორჩილი და მოშიში მეგობრები და მოერიდოს უგუნურ და ცოდვილ ხალხს.

აუცილებელია, რომ მან შეისწავლოს უმრას რიტუალები და კანონები, რომ სრულად შეასრულოს ის და არ დაუშვას შეცდომები.

## მოგზაურობა და მისი წესები:

როდესაც გაემგზავრება თავისი აქლემით, მანქნით, თვითმფრინავით ან სხვა ტრანსპორტით; აუცილებელია, რომ მან წარმოთქვას ალლაჰის სახელი ქება მას(სუბჰანალლაჰ), და განადიდოს ის(ალჰამდულილლაჰ) და შემდეგ ადიდოს ის სამჯერ (ალლაჰუ აქბარ), და თქვას:

„ქება მას, ვინც დაგვიმორჩილა ეს და ჩვენ არ ვიყავით ამის შემძლე, ჭეშმარიტად ჩვენ დავუბრუნდებით ჩვენს ღმერთს“.

اللهم إنا نسألُكَ البرَّ والتقوى ومنَ العملِ ما ترضى اللهم أنت الصاحبُ في السفرِ والخليفةُ في الأهلِ اللهم هوِّنْ علينا سفرَنا هذا واطوِ عنا بُعده اللهم أعوذُ بكَ مِنْ وعْثاءِ السفرِ وكآبةِ المُنقلبِ وسوءِ المنظرِ في الأهلِ والمالِ "

„ღ ღმერთო შენ გთხოვ სიკეთეს და ღვთისმოშიშობას, იმ საქმეს, რითიც შენ იქნები კმაყოფილი, შენ ხარ მეგზური მოგზავრობაში და ოჯახის დამცველი, გვაგვაიდვილე ჩვენთვის ესმოგზავროზა, და დაგვიმოკლე მისი სიშორე, ღმერთო შენ შეგეფარები მოგზაურობის რისკებისგან, ცუდი ხედვებისგან ჩემს ოჯახში და ქონებაში“.

ალლაჰუმმა ინნა ნას’ალუქალ ბირრა ვა თაყვაა ვა მინალ ‘ამალი მაა თარდაა, ალლაჰუმმა ანთა საჰიბუ ფი სსაფარი ვალ ხალიიფათი ფილ აჰლი, ალლაჰუმმა ჰავვინ ‘ალაინაა საფარანაა ჰააზა ვატვი ‘ანნაა ბუ’დაჰ, ალლაჰუმმა ა’უუზუბიქა მინ ვა’სააი საფარი ვა ქააბათილ მუნალიბ ვა სუუილ მანზირი ფილ აჰლი ვალ მაალი.(მუსლიმ)

- გაახშიროს ალლაჰის ხსენება და პატიების თხოვნა, შეევედროს ალლაჰს ბევრი ვედრებით, დაემორჩილოს მას, იკითხოს ყურანი და გაიაზროს მის სიტყვებზე.
- შეასრულოს კოლექტიური ლოცვები.
- მოერიდოს ზედმეტ და ფუჭ საუბრებს, არ ჩაებას სასაცილო და უაზრო ლაპარაკში.

ასევე, დაიცვას თავისი ენა ტყუილისგან, ჭორაობისგან, მუსლიმან ძმებზე ლაპარაკისგან და ა.შ.

მან უნდა მოექცეს თავის მეგობრებს სიყვარულით, მიუთითოს მათ სიკეთისკენ და აუკრძალოს სიავე სიბრძნითა და კეთილი სიტყვით.

## თავი: იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს ჰაჯმა, როცა შევა მიიყათში

- როცა ის შევა მიიყათში მან უნდა დაიბანოს და გასუფთავდეს.
- ქალმა, როცა შედის მიიყათში და აქვს მენსტრუაცია ან ნიფასი, იბანს, შედის იჰრამში და ასრულებს ყველა რიტუალს გარდა ტავაფისა ქააბას გარშემო.

### მომზადება იჰრამის წინ

ვისაც სურს იჰრამში შესვლა მისთვის აუცილებელია: დაიმოკლოს ულვაშები, შეიჭრას ფრჩხილები, ბაკები და იღლიები. და თუ საჭიროებს შეასრულოს ყველა ის ქმედება, რისი შესრულებაც აეკრძალება იჰრამში შესვლის შემდეგ.

რაც შეეხება თავს: არ შეიძლება რომ რამე აიღოს იქიდან იჰრამზე შესვლის შემდეგ. არც ქალმა და არც კაცმა .

რაც შეეხება წვერს: აკრძალულია მისი გაპარსვა ნებისმიერ დროს. საჭიროა, რომ ის იყოს მოშვებული და დაგრძელებული.

### იჰრამის ჩასაცმელი:

შემდეგ მამაკაცი იცვამს თეთრ სუფთა იზარს( ჰაჯის სპეციალური სამოსი).

ასევე, აუცილებელია რომ ეცვას ფეხზე სანდლები.

რაც შეეხევა ქალს: მას შეუძლია ჩაიცვას, რაც სურს: შავი, თეთრი და სხვა ფერში. ხოლო ფეხზე ჩაიცვას რაც სურს, მამაკაცის მსგავსი ფეხსაცმლის გარდა.

ქალისთვის აკძალულია ნიყაბის და ხელთათმანების ჩაცმა, მაგრამ მას შეუძლია დაიფაროს სახე და ხელები სხვა რამით.

რაც შეეხება ქალისთვის რომელიმე კონკრეტული ფერის გამოკვეთას იჰრამისთვის - ეს ტრადიცია საფუძველმოკლებულია.

## ნუსუქში(რიტუალი) შესვლის განზრახვა

როდესაც ჰაჯი ან მუ'თამირი ჩაიცვამს იჰრამის სამოსს და მოემზადება შესაბამისად, მან უნდა განიზრახოს გულში ნუსუქში შესვლა, რაც აუცილებელია ჰაჯის და უმრას შესრულებისთვის.

დაკანონებულია, რომ განზრახვა არ უნდა წარმოითქვას სიტყვებით( განზრახვა უნდა იყოს გულში). თუ ის უმრას ასრულებს იტყვის: (ლაბაიქა უმრათან), ხოლო თუ ჰაჯობას აკეთებს : (ალლაჰუმმა ლაბაიქალ ჰაჯჯ), რადგანაც შუამავალი ﷺ აკეთებდა ასე. თუ ასრულებს ორივეს ერთად, მაშინ იტყვის(ალლაჰუმმა ლაბაიქა უმრათან ვა ჰაჯჯან).

და უკეთესია:  რომ მან წარმოთქვას ეს სიტყვები, როგორც კი ჩაჯდება იმ ტრანსპორტში, რომლითაც მიემგზავრება.

# თავი: მიიყათის ადგილი და მისი განსაზღვრა

## ადგილობრივი მიიყაათი

**მიიყათი არის ხუთი:**

**პირველი**: ზულ-ჰულაიფა, ის არის მედინის ხალხის მიიყათი.

**მეორე**: ალ-ჯუჰფა, ის არის შამის ხალხის მიიყათი.

**მესამე**: ყარნულ მანააზილ, ის არის ნაჯდის ხალხის მიიყათი, დღეს მას ეძახიან - ას-საილს.

**მეოთხე**: იალამლამ, ის არის იემენის ხალხის მიიყათი.

**მეხუთე**: ზაათუ 'ირყ, ის არის ერაყის ხალხის მიიყათი.

ეს მიიყათები არის შუამავლის ﷺ მიერ განსაზღვრული მათთვის, ვინც მოვიხსენიეთ. ვინც შევა მათში გარდა მოხსენიებული ხალხისა გააკეთებს ჰაჯობას და უმრას, რომელი მიიყათიდანაც ისურვებს.

### ვალდებულებები იმ ხალხისთვის, ვისთვისაც განისაზღვრა მიიყათი

- სავალდებულოა მისთვის, ვისზეც განისაზღვრა მიიყათი იჰრამში შევიდეს კონკრეტულად მათთვის განკუთვნილი მიიყათიდან.
- აკრძალულია მისთვის, რომ შემოუაროს მას იჰრამში შესვლის გარეშე, თუ განიზრახა ჰაჯობა ან უმრა, იქნება ის მგზავრი ხმელეთით თუ საჰაერო გზით.

### რა არის დაკანონებული მისთვის, ვინ გაემგზავრება ჰაჯობაზე ან უმრაზე საჰაერო გზით?

მისთვის, ვინც მიემგზავრება ჰაჯობაზე ან უმრაზე მექქაში საჰაერო გზით დაკანონებულია შემდეგი:

- მოემზადოს, დაიბანოს და ა.შ. სანამ დაჯდება თვითმფრინავში. ხოლო თუ მიიყათთან ახლოს არის ჩაიცვას იზარი და წარმოთქვას თალბია უმრასთვის.
- თუ ის ჩაიცვამს იზარს გამგზავრებამდე ან მიიყათთან მისვლამდე, არ არის პრობლემა, მაგრამ არ შეიძლება განზრახვის აღება ნუსუქში შესვლის მანამ, სანამ არ მივა მიიყათთან, რადგან შუამავალი ﷺ არ შედიოდა იჰრამში, გრდა მიიყათიდან.

რაც შეეხება მას, ვინც შედის მექქაში და არ სურს ჰაჯობის ან უმრას შესრულება, როგორიც არის ვაჭარი, მეტყევე, კურიერი და ა.შ. მათთვის არ არის სავალდებული იჰრამში შესვლა.

საიდან შედიან იჰრამში ისინი, ვინც ცხოვრობენ ჰარამი მიიყათის ტერიტორიაზე ან იმყოფება მექქაში?

- ვინც ცხოვრობს ჰარამის მიიყათზე და არ არის მისთვის განსაზღვრული მიიყათი ის არ უნდა შევიდეს, რომელიმე ხუთი მიიყათიდან, რადგან მისი საცხოვრებელი არის მიიყათი და თავისი სახლიდან შედის იჰრამში.
- ხოლო ის, ვინც მექქაში ცხოვრობს და სურს, რომ უმრა შეასრულოს უნდა გამოვიდეს სახლიდან და სხვა რომელიმე ადგილიდან შევიდეს იჰრამში(მექქას ტერიტორიაზე).

## თავი: ჰუქმი იმისა, ვინც შევიდა ჰაჯობის იჰრამში სხვა თვეში:

**იცოდე, რომ იჰრამში შესვლის ორი მდგომარეობა არსებობს:**

**პირველი:** იჰრამში შესვლა ჰაჯობის თვის გარდა სხვა თვეში, როგორიცაა რამადანში და შა'ბანში.

და სუნნა მის უფლებაზე არის: უნდა შევიდეს იჰრამში უმრასთვის, განიზრახოს გულში და წარმოთქვას ენით: (ლაბაიქა უმრათან), ან (ალლაჰუმმა ლაბაიქა უმრათან), შემდეგ წარმოთქვს შუამავლის თალბია სიტყვებით: **„ლაბაიქა ლლააჰუმმა ლაბაიქ, ლაბაიქა ლაა შარიიქა ლაქა ლაბაიქ, ინნალ ჰამდა ვა ნნი'მათა, ლაქა ვალ მულქ, ლაა შარიიქა ლაქ“.** ბევრჯერ წარმოთქვას ეს თალბია და ასევე გააკეთოს ბევრი ზიქრი, სანამ არ მიაღწევს ჰარამის მეჩეთამდე.

როცა მიაღწევს ჰარამთან შეწყვეტს თალბიას და სამჯერ ტავაფს გააკეთებს ქააბას გარშემო, ილოცებს ორ მუხლს იბრაჰიმის დგომის ადგილთან, შემდეგ გამოვა საფაზე და შვიდ წრეს დაარტყამს საფას და მარვას შორის, შემდეგ დაიმოკლებს ან გაიპარსავს თმას და ამით დაასრულებს უმრას, რის შემდეგაც მისთვის ყველაფერი ხდება ნებადართული, რაც აკრძალული იყო იჰრამში ყოფნისას.

**მეორე:** მიიყათში შედის ჰაჯობის თვეებში: ესენია შავვალი, ზულ ყა'და და ზუ-ჰიჯჯას პირველი 10 დღე.

შესაბამისად შეიძლება აირჩიოს სამიდან ერთ-ერთი :

ცალკე მხოლოდ ჰაჯობა, ცალკე მხოლოდ უმრა და ჰაჯობა და უმრა ერთად. რადგანაც შუამავალმა ﷺ თავის გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზე უფლება მისცა საჰაბებს, რომ აერჩიათ სამიდან ერთ-ერთი.

ასევე სუნნადან არის, რომ თუ შესაწირი არ აქვს პილიგრიმს: შედის იჰრამში უმრასთვის და ასრულებს ყველაფერს იმას, რაც მოვიხსენიეთ ზემოთ არა ჰაჯობის თვეებში მიიყათში შესვლის დროს. ხოლო მისთვის, ვინც მოიყვანა შესაწირი სუნნეთია შეასრულოს ჰაჯობა და უმრა ერთად. ვინც მოიყვანა შესაწირი და უკვე შევიდა ჰაჯობის იჰრამში მარტო, მან უნდა დარჩეს იჰრამის მდგომარეობაში, სანამ არ დაკლავს ამ შესაწირს, როგორც იმ ორის შემაერთებელი.

აქედან გამომდინარე ვიგებთ: რომ ვინც შედის იჰრამში მხოლოდ ჰაჯობისთვის ან ჰაჯობისთვის და უმრასთვის და არ ჰყავს შესაწირი - მისთვის არ არის საჭირო, რომ ბოლომდე დარჩეს იჰრამში, არამედ სუნნა არის, რომ შევიდეს უმრას იჰრამში, გააკეთოს ტავაფი, სირბილი ორ მთას შორის და დაიმოკლოს თმები, ხოლო თუ ეშინია, რომ ვერ მიასწრობს ჰაჯობაზე დარჩეს იჰრამში ჰაჯობის შესრულებამდე.

## შეპირობება და მისი სარგებელი:

თუ პილიგრიმს ეშინია, რომ ვერ შეძლებს ჰაჯობისთვის ნუსუქში შესვლას, მისი ავადმყოფობით, ან სირბილის შიშით ან სხვ. სავალდებულოა, რომ მან თქვას: **„და თუ შემაკავა რაიმემ, მაშინ ჩემი ადგილი იყოს იქ, სადაც შევკავდი“**. (ანუ ჩემი იჰრამი დასრულდეს, სადაც გავჩერდი რაიმე პრობლემის გამო)

ამ პირობის სარგებელი არის, რომ თუ პილიგრიმმა ვერ მოახერხა ჰაჯობის დასრულება ავადმყოფობის ან სხვა პრობლემის გამო, მისი იჰრამი სრულდება იქ, სადაც მას პრობლემა გაუჩნდა და მისი ჰაჯობა იქნება სრული და მას არ ეკუთვნის გამოსასყიდი.

## თავი: ბავშვის ჰაჯობის ჰუქმი და არის თუ არა ის სრული ჰაჯობა

პატარა ბიჭის და გოგონას ჰაჯობა სწორია და მიღებული, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მათ ისლამში ჰაჯობისგან(როცა გაიზრდება).

### თუ პატარა ბიჭი ან გოგონა არ აზროვნებს საკმარისად:

მაშინ, იჰრამისთვის განზრახვას იღებს მისი მეურვე. უხდის მას ტანისამოსს და წარმოთქვამს თალბიას მისთვის. ასე ხდება ბავშვი მუჰრიმი (ანუ ჰაჯობისთვის მზად), და აკრძალულია მისთვის ყველაფერი, რაც აკრძალულია უფროსი ჰაჯებისთვის.

ასევე, გოგონასთვის განზრახვას იღებს მისი მეურვე და კითხულობს თალბიას მისთვის. და აკრძალულია მისთვის ყველაფერი, რაც აკრძალულია უფროსისთვის.

აუცილებელია, რომ ბავშვი იყოს სუფთა სამოსითაც და სხეულითაც ტავაფის დროს, რადგან ტავაფი არის ლოცვის მსგავსი, ხოლო ლოცვა საჭიროებს სისუფთავეს.

### თუ ბავშვს შეუძლია აზროვნება:

თუ ბავშვი აზროვნებს, მაშინ ის იღებს განზრახვას მისი მეურვის ნებართვით და ასევე ემზადება ჰაჯობისთვის, როგორც უფროსი.

მეურვე არის მათ ქმედებებზე პასუხისმგებელი და უნდა იყოს ყურადღებით მათ ქმედებებზე. მეურვე შეიძლება იყოს მათი მამა, დედა, ბაბუა და სხვა.

თუ ბავშვებს არ შეუძლიათ ტავაფის ან გარბენის შესრულება მაშინ, მეურვეს შეუძლია აიყვანოს ისინი ხელში და შეასრულოს ტავაფი და გარბენა. და უკეთესია, რომ მან არ შეასრულოს ტავაფი ბავშვებისთვის და თავისთვის საერთო, არამედ, ჯერ მათთვის შეასრულოს და მერე თავისთვის ინდივიდუალურად. იმისთვის, რომ სრულყოფილებაში მოიყვანოს თავისი ღვთისმსახურება შაუამავლის სუნნაზე გაყოლით: **„მიატოვე ის, რაშიც ეჭვი გეპარება და შეასრულე ის, რაშიც არ გაქვს ეჭვი“.**

თუ მეურვემ შეასრულა თავისი თავისთვის და ბავშვისთვის ტავაფი ერთად, ერთ-ერთი იქნება სწორი.

ვალდებულია მოაზროვნე გოგონამ ან ბიჭმა შეასრულოს განზანვა ტავაფზე შესვლამდე, როგორც ზრდასრულმა მუჰარამმა.

იჰრამი ბავშვებზე არ არის სავალდებულო და არც მათი მეურვისთვის, რომ შეასრულოს მათ მაგივრად. თუმცა თუ შეასრულებს მათ დაეწერებათ მადლი, თუ არ შეასრულებენ არ იქნება ცოდვა.

## თავი: პილიგრიმისთვის აკრძალული და ნებადართული საქმეები

### თმის და ფრჩხილების მოჭრა, სუნამოს გამოყენება, ნაკერიანის ჩაცმა

- იჰრამში შესვლის განზრახვიდან პილიგრიმისთვის აკრძალულია- იქნება ის კაცი თუ ქალი: რომ აიღოს მან რაიმე ფრჩხილებიდან ან თმებიდან და დაისხას სუნამო(ან ნებისმიერი სუნის მქონე რამ გამოიყენოს)

- აკრძალულია მამაკაცისთვის - რომ ჩაიცვას ნაკერიანი სამოსი ანუ: ისეთი სამოსი, რომელზეც იქნება შესრულებული ნაკერი ძაფით, როგორც არის ყამისი, პერანგი, შარვალი, ქალამნები, წინდები და სხვა.

თუ მას არ შეუძლია, რომ ნახოს იზარი ჩასაცმელად, მისთვის ნებადართულია შაროვარის(შარვლის მსგავსი) ჩაცმა, ხოლო თუ ვერ ნახავს სანდლებს, ნებადართულია, რომ ჩაიცვას ქალამნები სხვა ნაჭრისგან.

### ნებადართული საქმეები პილიგრიმისთვის

- პილიგრიმისთვის ნებადართულია: ჩაიცვას ქალამნები სავსე ქუსლის გარეშე. (სანდლები, ჩუსტები).
- ასევე ნებადართულია: შეიკრას იზარი, ან გაამაგროს ის ძაფით, ქამრით ან მსგავსი რამით, არ არსებობს მტკიცებულება აკრძალვაზე.

- ასევე ნებადართულია: დაიბანოს ტანი, დაიბანოს თავი, თუ არის ამის საჭიროება. დაიბანოს ნელა და ფრთხილად. ხოლო თუ თმა ჩამოვარდება არ ექნება მას ცოდვა.

## რა არის აკრამალული ქალი პილიგრიმისთვის და რა არის ნებადართული?

აკრძალულია ქალი პილიგრიმისთვის:

რომ ჩამოიცვას სახეზე ისეთი რამ, რომელსაც ექნება ნაკერი, როგორიც არის: ნიყაბი და ბურკა.

ასევე, აკრძალულია ხელთათმანების ჩაცმა.

ნებადართულია მისთვის ჩაიცვას დანარჩემი ყველანაირი სამოსი: ყამისი, შარვალი, სანდლები და  ა.შ.

ასევე ნებადართულია მისთვის: რომ ჩამოიხუროს ხიმარი(თავშალი, ან სხვა ნაჭერი) თავის სახეზე, შესაკრავის გარეშე. თუ ხიმარი შეეხება მის სახეს არ არის პრობლემა.

ასევე ნებადართულია, რომ დამალოს თავისი ხელები ტანსაცმლის ქვეშ ან სხვა რამით.

სავალდებულოა მისთვის, რომ დამალოს სახე და ხელები უცხო მამაკაცებთან, რადგანაც ის არის აურათი.

რაც შეეხება უამრავი ქალების ტრადიციას, როცა ხიმარის ქვეშ იხურავენ კეპკიან ქუდს; არა აქვს მას არანარი საფუძველი შარიათში და არ არის ის მოსული შუამავლის სუნნაში.

იჰრამის სამოსის გარეცხვა ან სუფთა სამოსის ჩაცმა

პილიგრიმისთვის ქალი იქნება ის, თუ კაცი, ნებადართულია იჰრამში ჩაცმული სამოსის გარეცხვა ან სხვა სუფთა სამოსით ჩანაცვლება.

აკრძალულია, რომ მან წაისვას ტანისამოსზე ზაფრანა ან ყვითელი ყვავილი( ანუ ისეთი რამ რასაც სუნი აქვს).

ბილწსიტყვაობა, სქესობრივი კავშირი და კამათი უმრაზე:

სავალდებულოა პილიგრიმისთვის, რომ მან მიატოვოს ბილწსიტყვაობა, სქესობრივი კავშირი და კამათი; ალლაჰმა თქვა: „ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს, არ იბილწოს და არ იკამათოს ჰაჯობის დროს“.

რაც შეეხება კამათს, თუ ეს ეხება გასაკიცხის ასაკრძალად მაშინ, არ არის ამაში პრობლემა, რადგან ეს არის ალლაჰის ბრძანება, რომელმაც თქვა

თავის ყურანში: „მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კარგი შეგონებით და ეკამათე იმით, რაც საუკეთესოა“.

## თავის შებურვა, ნადირის მოკვლა, ქორწინება და რაც მას მოყვება

აკრძალულია მამაკაც პილიგრიმისთვის: თავზე რამის დახურვა, იქნება ეს ქუდი, კეპკა, ჩალმა თუ სხვა. და ასევე, არ შეიძლება სახეზე რაიმის ამოფარება.

რაც შეეხება ჩრდილს მანქნის გვერდით, ან ქოლგის ქვეშ და ა.შ. პრობლემა არ არის. და ასევე პალატკის ან ხის ჩრდილის გამოყენება.

აკრძალულია კაც და ქალ პილიგრიმისთვის: შინაური და გარეული ცხოველის მოკვლა ან მასში დახმარება, ასევე მათი შეშინება. ნიქახის(ქორწინება) გაკეთება, სქესობრივი კავშირის დამყარება, ქალის დანიშვნა და მისი მსგავსი რაიმის გაკეთება ვნებით.

ზოგიერთი აკრძალულის შესრულება დავიწყებით ან უცოდინრობით:

თუ პილიგრიმმა ჩაიცვა ნაკერიანი სამოსი, დაიხურა თავზე, ან დაისხა სუნამო დავიწყებით ან უცოდინრობით - არ არის მასზე გამოსასყიდი. და აგრძელებს ამ აკრძალვის დაცვას, როგორც კი გაიგებს ან გაიხსენებს.

ასევე, ვინც გაიპარსა თმა ან შეიჭრა, ან მოიჭრა ფრჩხილი დავიწყებით ან უცოდინრობით, არ არის მასზე გამოსასყიდი.

## ჰარამში ნადირობა, ხის მოჭრა, ბალახის მოჭრა

აკრძალულია ნებისმიერი მუსლიმისთვის - იქნება ეს პილიგრიმი თუ არა, იქნება ის ქალი თუ კაცი:

მოკლას ჰარამის ტერიტორიაზე ცხოველი ან ფრინველი, ან დაეხმაროს მის მოკვლაში, მითითებით თუ ხელსაწყოთი და მსგავსი რამით, ასევე აკრძალულია მისი შეშინება თავის ადგილზე(ანუ რომ შეაშინოს და გააქციოს თავისი ადგილიდან).

აკრძალულია ჰარამის ტერიტორიაზე ხის მოჭრა, მწვანე ბალახის მოჭრა და ასევე თავთავის მოჭრა, გარდა იმის, ვისაც აქვს ამის ცოდნა და უფლება.

## თავი: იმაზე, თუ რას აკეთებს პილიგრიმი, როდესაც ის შედის მექქაში და რას აკეთებს, როცა შედის აკრძალულ მეჩეთში: ტავაფი და მისი ახსნა

### განბანვა წმინდა მექქაში შესვლამდე:

როდესაც პილიგრიმი შედის მექქაში, აუცილებელია, რომ მან დაიბანოს შესვლამდე, რადგანაც შუამავალი აკეთებდა ასე.

### აკრძალულ მეჩეთში შესვლა

და როდესაც შევა აკრძალულ მეჩეთში; სუნნა არის, რომ ის შევიდეს მარცხენა ფეხით და თქვას: **„ბისმილლაჰი, ვა სალაათუ ვა სსალაამუ 'ალაა რასუული ლლაჰ"**. და **„ა'უუზუბულლაჰილ 'აზიიმ, ვა ბივაჯჰილ ქარიიმ, ვა სულტაანილ ყადიიმ, მინა შშაიტაანი რრაჯიიმ, ალლაჰუმმა ფთაჰ ლიი აბვააბა რაჰმათიქ".**

და არ არსებობს რაიმე კონკრეტული ვედრება მოსული შუამავლისგან ჩვენამდე,  რომელიც უნდა წაიკითხო მეჩეთში შესვლის შემდეგ.

### ქააბაში შესვლა და ტავაფის დაწყება:

როდესაც მივა ქააბამდე:

უნდა შეწყვიტოს თალბია, სანამ დაიწყებს ტავაფის გაკეთებას, იქნება ის მუ'თამირი თუ ჰაჯჯი.

შემდეგ მიდის შავ ქვასთან, უახლოვდება მას,  შეეხება და აკოცებს, თუ ეს მისთვის შესაძლებელია. მან არ უნდა შეაწუხოს ხალხი, თუ არის სიმჭიდროვე და საცობი.

ქვაზე კოცნის დროს ამბობს: „ბისმილლაჰ, ალლაჰუ აქბარ", ან „ალლაჰუ აქბარ". თუ ვერ შეძლებს კოცნას, მაშინ ეხება მას ხელებით ან ჯოხით და მსგავსი რამით და მერე კოცნის ამ ხელს ან ჯოხს, და თუ ესეც შეუძლებელია მაშინ უთითებს მისკენ ხელით და ამბობს :"ალლაჰუ აქბარ", და არ კოცნის მას, რაც უჩვენა.

## ტავაფის სისწორის პირობები:

ტავაფი, რომ სწორად იყოს შესრულებული:

შემსრულებელი უნდა იყოს სუფთა დიდი და მცირე სიბინძურისგან. რადგან ტავაფი მსგავსია ლოცვისა. არ უნდა ისაუბროს მასში არაფერზე. და თუ ისაუბრებს - თქვას მხოლოდ კეთილი სიტყვა.

ტავაფი შეასრულოს იმ მდგომარეობით, რომ ქააბა იყოს მისგან მარცხნივ.

## ტავაფის დაწყების წინ საკითხავი ვედრება:

ტაფაფის წინ უნდა თქვას: „ალლაჰუმმა იიმანან ბიქ, ვა თასდიიყან ბიქითააბიქ, ვა ვაფაა ან ბი'აჰდიქ, ვა თბაა'ან ლისუნნათი ნაბიი იქ მუჰამმადინ ﷺ ". ეს არის კარგი ჰადისი, რაც გადმოცემულია შუამავლიდან ﷺ .

## პირველი სამი წრის შემორბენა:

ტავაფს აკეთებს 7 წრეს.

პირველ სამ წრეზე უნდა იაროს სწრაფად თითქმის სირბილით, და ეს არის ტავაფი, რომელსაც ასრულებს პირველად, ვინც შემოვიდა მექქაში იქნება ის ჰაჯი, მუ'თამირი, ასრულებს ის თავისთვის თუ სხვისთვის. მეოთხე წრიდან დადის აუჩქარებლად, წრეს იწყებს შავი ქვიდან და ასრულებს შავ ქვასთან.

## იდტიბა' ყველა სახეობის ტავაფზე:

სავალდებულოა ყველასთვის(კაცებისთვის), რომ ყველა ტავაფზე გააკეთოს იდტიბა'.

იდტიბა' ნიშნავს:  რომ პილიგრიმმა ზედა ჩასაცმელის ერთი ნაწილი დაიკავოს მარჯვენა ხელით და გადაიკიდოს მარცხენა მხარზე და მარჯვენა მხარი დატოვოს ტიტველი.

## ეჭვი წრეების რაოდენობაზე:

თუ ეჭვი გეპარება შესრულებული წრეების რაოდენობაზე, მაშინ უნდა დაეყრდნო მინიმუმზე. თუ ეჭვობ, რომ სამი წრე გააკეთე თუ ოთხი, ჩათვლი სამ წრეს და აგრძელებ წრეს სამიდან. ასევე არის გარბენის დროსაც.

არ-რიდას შემოცმა მხრებზე ტავაფის დასრულებისას. (არ-რიდა არის ზემოთა მოსაცმელი):

ტავაფის დასასრულს ზემოთა მოსაცმელს შემოიცვამ ორივე მხარზე, სანამ ილოცებ ტავაფის ორ მუხლს.

აკრძალული ქმედებები ქალებისთვის:

აუცილებელია გაკიცხვა და აკრძალვა ქალებისთვის შემდეგი ქმედებების:

რომ შეასრულონ ტავაფი ლამაზ და არომატულ სამოსში.

სახის ჩამოსაფარებლის არ ქონა. აუცილებელია მათთვის სახის დაფარვა, რადგან ის აურათია.

შეერიოს მამაკაცებთან. შეიმოსოს ისე, რომ მამაკაცების ყურადღება მიიქციოს. აკრძალულია მამაკაცებთან შერევა, გაპრანჭვა, რადგან ის არის ფითნა. ქალის სახე ყველაზე გამოსაჩენი სილამაზეა და აუცილებელია, რომ არ გამოაჩინოს თავისი სახე, გარდა მაჰრამებთან.(ახლობლებთან, ვისთანაც აკრძალულია ქორწინება). ასევე, არ უნდა შეასრულოს მან „ქვაზე კოცნის“ რიტუალი, თუ არსებობს საშიშროება, რომ ის შეიძლება დაინახოს მამაკაცმა.

თუ ის ვერ ნახავს დროს, როცა შავ ქვასთან არ არიან მამაკაცები მაშინ, არ შეიძლება, რომ მან აკოცოს შავ ქვას და შეერიოს მამაკაცებში. არამედ, შეასრულოს ტავაფი ქვასთან მოშორებით, მაგრამ მამაკაცებთან შერევის, ახლოს მისვლის გარეშე და ეს უფრო დიდი მადლი იქნება მისთვის.

როდის არ არის დაკანონებული ჩქარი სვლა და იდტიბა’ი:

არ არის დაკანონებული იდტიბა’ი და ჩქარი სვლა სხვა დროს, გარდა ტავაფისა, არც გარბენისას და არც ქალებისთვის.

აუცილებელი მდგომარეობა, რომელშიც უნდა იყოს ტავაფის დროს:

ტავაფის დროს სუფთა უნდა იყოს ყოველგვარი სიბინძურისგან, ალლაჰის მორჩილი და მასზე მინდობილი.

აუცილებელია, რომ ტავაფის დროს ბევრჯერ მოიხსენიოს ალლაჰი, გააკეთოს ბევრი ვედრება, და თუ წაიკითხავს რამეს ყურანიდან უკეთესია.

### არის თუ არა რიამე სპეციალური ვედრება ტავაფისთვის?

არ არსებობს ამ და სხვა ტავაფისთვის, ან გარბენისთვის სპეციალური საკითხავი ვედრება.

რაც შეეხება ზოგიერთ ხალხს, რომლებიც კითხულობენ სპეციალურად განკუთვნილ ვედრებებს ტავაფისა და გარბენის დროს, მასში არ არის რაიმე საფუძველი. პირიქით, მისთვის ეს გაადვილებულია და შეუძლია იკითხოს მისთვის სასურველი ვედრება და ზიქრი.

### იემენის კუთხის მოპირდაპირე მხარე:

როდესაც მიაღწევს იემენის კუთხის მოპირდაპირე მხარეს, ამბობს: „ბისმილლა, ალლაჰუ აქბარ“. და არ კოცნის მას.

თუ მიაღწევს ახლოს, ეხება მას, ტოვებს და აგრძელებს წრეს.

არ აწევს ხელს მასთან, არ ამბობს რამეს მის საპირისპიროდ, რადგან არაფერია მოსული ამაზე შუამავლის სუნნაში.

### რა უნდა თქვას იემენური კუთხის და შავ ქვას შორის:

აუცილებელია, რომ მან თქვას იემენური კუთხის და შავ ქვას შორის:

„რაბბანაა აათინაა ფი დდუნიაა ჰასანათან, ვა ფილ აახირათი ჰასანათან, ვა ყინაა ‘აზააბა ნნაარ“.

### რა ითქმება შავ ქვასთან კოცნისას ან ახლოს მისვლისას:

შავ ქვასთან ახლოს მოხვედრისას უნდა აკოცოს მას და თქვას:

„ალლაჰუ აქბარ“.

თუ ვერ ახერხებს ახლოს მისვლას და კოცნას: შავ ქვასთან პირდაპირ მოხვედრისას აწიოს ხელი და თქვას: „ალლაჰუ აქბარ“.

### ტავაფის ჰუქმი ზოგიერთ ადგილას:

თავაფის დაწყება შეიძლება ზამზამის მხრიდან, მაყამის მხრიდან და მონიშნული ადგილებიდან, რადგან მეჩეთი მთლიანად ტავაფის ადგილია.

დაშვებულია ტავაფი მეჩეთის დერეფანში, თუმცა ქააბასთან ახლოს უკეთესია, თუ ადვილია მისთვის.

## ტავაფის ორი მუხლის ლოცვა:

ტავაფის დასასრულს უნდა შეასრულოს ორი მუხლი ლოცვა იბრაჰიმის მაყამთან, თუ ადვილია მისთვის.

სუნნა არის, რომ ამ ლოცვაში ფათიჰას შემდეგ იკითხოს: „ყულ იაა აიუჰალ ქააფირუუნ“- პირველ მუხლზე, და „ყულ ჰუვა ლლაჰუ აჰად“ - მეორე მუხლზე. ეს უკეთესია, თუ იკითხავს სხვა სურას - არ არის პრობლემა.

შავ ქვასთან დაბრუნება და მისი კოცნა:

ლოცვის შემდეგ ბრუნდება შავ ქვასთან და აკოცებს მას მარჯვენა მხარეს, თუ შესაძლებელი და ადვილია მისთვის, რადგან ეს არის შუამავალზეﷺ მიყოლა და მიბაძვა.

## გარბენის ფორმა და მისი წესები:

### საფაზე გასვლა გარბენისთვის:

შემდეგ გადის ქააბას კარებიდან და ადის საფაზე ან დგება მასთან. ასვლა უკეთესია, თუ შესაძლებელია მისთვის. პირველი წრის დაწყებამდე ამბობს: ﴿إِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ﴾ ინნა საფაა ვალ მარვათა მინ შა’ა’ირი ლლაჰ. (1:158)

შემდეგ სავალდებულოა, რომ მიბრუნდეს ყიბლას მხარეს და წარმოთქვას:“ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ალლაჰუ აქბარ, ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ, ვა ლაჰულ ჰამდუ, იაჰიი, ვა იუმიით, ვა ჰუვა ‘ალაა ქულლი შაიინ ყადიირ, ლაა ილაა ილლა ლლაჰა ვაჰდაჰ, ანჯაზა ვა’დაჰ, ვა ნასარა ‘აბდაჰ, ვა ჰაზამალ აჰზააბა ბაჰდაჰ“. لا إله إلا الله، وحده لا شريك له، له الملك، وله الحمد، يحيي ويميت وهو على كل شيء قدير، لا إله إلا الله وحده أنجز وعده، ونصر عبده، وهزم الأحزاب وحده،

შემდეგ აწევს ხელებს და შესთხოვს, რაც სურს.

და იმეორებს ამ ვედრებას სამჯერ.

### მარვასკენ წასვლა და სირბილი ორ ნიშანს შორის:

შემდეგ ჩამოდის საფადან და მიემართება მარვასკენ, სანამ არ გამოჩნდება პირველი სანიშნი.

იწყებს სირბილს, სანამ არ მიაღწევს მეორე ნიშნამდე.

რაც შეეხება ქალს: მისთვის აკრძალულია სირბილი, რადგან ის არის აურათი. ის ასრულებს მთელ რიტუალს ნელი სიარულით.

### მარვაზე შესვლა:

შემდეგ მიდის და ადის მარვაზე ან ჩერდება მასთან, ხოლო ასვლა უკეთესია თუ შეძლებს მას.

აკეთებს და ამბობს ყველაფერს ისე, როგორც საფაზე გარდა ყურანის აიათისა: „ ﴿إِنَّ الصَّفَا وَالْمَرْوَةَ مِنْ شَعَائِرِ اللَّهِ﴾ ინნა საფაა ვალ მარვათა მინ შავა'ირი ლლაჰ. (1:158) ამ აიათს ამბობს მხოლოდ საფაზე ასვლისას, როგორც ამბობდა შუამავალიﷺ .

საფაზე დაბრუნება:

შემდეგ ჩამოდის და ნელი ნაბიჯებით მიემართება საფასკენ.

ასე აკეთებს 7 წრეს, იქით და აქეთ.

გარბენის დროს სასურველი ქმედებები:

სასურველია, რომ გარბენისას ბევრი ზიქრი და ვედრება გააკეთოს, რასაც შეძლებს.

უნდა იყოს განწმენდილი დიდი თუ მცირე სიბინძურისგან. თუ არ ექნება აბდესი - ჩაეთვლება(ანუ სასურველია აბდესიანი იყოს).

ასევე, თუ ქალს აქვს მენსტრუაცია ან ნიფასი(მშობიარობის შემდგომი სისხლდენა), მას ეთვლება, რადგან გარბენისთვის აბდესი არ არის სავალდებულო.

თმის გაპარსვა, დამოკლება და იჰრამიდან გამოსვლა:

როცა დაასრულებს გარბენას; გაპარსავს თავს ან დაამოკლებს თმას. კაცებისთვის გაპარსვა უკეთესია. აუცილებელია გაიპარსოს თავი სრულად, ან დაიმოკლოს თმები სრულად. არ შეიძლება ნაწილი თავის გაპარსვა ან ნაწილი თმის შემოკლება.

ქალისთვის დაკანონებულია მხოლოდ თმის შემოკლება.

ქალმა უნდა აიღოს მისი თმიდან თითის წვერების ზომის თმა. არ უნდა შეიჭრას მაგაზე მეტი.

თუ პილიგრიმმა შეასრულა ყველა ზემოთხსენებული რიტუალი - მისი უმრა დასრულებულია, დიდება ალლაჰს, და ნებადართულია მისთვის ყველაფერი, რაც იყო აკრძალული. ხოლო იმისთვის, ვისაც ჰყავს დასაკლავი შესაწირი ჰაჯობისთვის, ის რჩება იჰრამში მანამ, სანამ არ დაასრულებს ჰაჯობას.

რაც შეეხება მუფრად ჰაჯობას, ან ჰაჯობას და უმრას ერთად, სუნნა არის მისთვის, რომ დაასრულოს მისი უმრა და გააკეთოს ყველაფერი ისე, როგორც მუთამათუ', გარდა იმისა, ვინც მოიყვანა შესაწირი. რადგან

შუამავალმა ﷺ უთხრა თავის საჰაბებს: „რომ არ მქონდეს მოყვანილი შესაწირი, თქვენთან ერთად გამოვიდოდი იჰრამიდან“.

## მენსტრუალური ციკლის მქონე ქალების ჰუქმები:

თუ ქალს წამოუვიდა თვიური ან ნიფასი, უმრასთვის იჰრამში შესვლის შემდეგ; არ აკეთებს ტავაფს და არ გარბის საფა და მარვას შორის, სანამ არ განიწმინდება.

და როცა განიწმინდება აკეთებს ტავაფს, გაივლის საფა და მარვაზე და ამოკლებს თმას. მისი უმრა სრული იქნება.

ხოლო თუ ჰაჯობის მე -8 დღეს არ იქნება გაწმენდილი, შედის იჰრამში იმ ადგილიდან, სადაც არის გაჩერებული და გამოდის ხალხთან ერთად მინას ხეობაში, და ასე გაერთიანებს ჰაჯობას და უმრას.

აკეთებს იმას, რასაც აკეთებს ჰაჯი: არაფათზე დგომა, მაშ’არი, კენჭების სროლა, მუზდალიფაზე ღამის თენება, მინაზე ყოფნა, მსხვეპლშეწირვა და თმის დამოკლება.

თუ განიწმინდა აკეთებს ტავაფს ქააბას გარშემო ერთხელ და გაივლის საფა და მარვაზე ერთხელ. მისი უმრა და ჰაჯობა სრული იქნება. აიშა გადმოსცემს ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომ მას მოუვიდა მენსტრუაცია, როცა ის შესული იყო იჰრამში და შუამავალმა ﷺ უთხრა: „გააკეთე ყველაფერი ის, რასაც აკეთებენ ჰაჯები და არ გააკეთო ტავაფი ქააბას გარშემო, სანამ არ განიწმინდები“. შეთანხმებული.

ისვრის კენჭებს მენსრუაციის ან ნიფასის მქონე ქალი მსხვერპლშეწირვის დღეს და შეიჭრის თმებს; ნებადართულია მისთვის ყველაფერი, რაც აკძალული ჰქონდა იჰრამში, გარდა ქმართან სიახლოვისა და აკრძალულია ის მანამ, სანამ არ განიწმინდება და არ მოიყვანს სისრულეში ჰაჯობას( ტავაფით და გარბენით საფა და მარვაზე). ტავაფის შემდეგ უკვე ნებადართულია მისთვის ქმართან სიახლოვეც.

## თავი: იჰრამი ზულ ჰიჯჯას მერვე დღეს  და მინაზე გასვლა:

### მერვე დღის(თარვიას დღე) საქმეები:

### 1- იჰრამი ჰაჯობისთვის:

როდესაც დადგება თარვიას დღე - ზულ ჰიჯჯას მერვე დღე, სასურველია მათთვის, ვინც იმყოფება მექქაში შევიდეს იჰრამში ჰაჯობისთვის თავიანთი ადგილებიდან, იქნება ეს ჰაჯობა მათთვის ან მათი ოჯახის წევრებისთვის.

ასევე, სასურველია, რომ მათ წინასწარ დაიბანონ, გასუფთავდნენ და მოემზადონ იჰრამისთვის ისევე, როგორც მიიყათში შესვლისას.

### 2 - მინასკენ გამართვა :

იჰრამის შემდეგ ჰაჯი უნდა გაემართოს მინასაკენ შუადღის ლოცვამდე ან მის შემდეგ თარვიას დღეს და უამრავჯერ უნდა წარმოთქვას თალბია( ლა ბაიქა ...), სანამ არ მივა ქვასთან.

### 3 - ლოცვა მინაში:

ლოცვა მინაში:

მინაში ლოცულობენ შუადღის, შუადღის შემდეგ, საღამოს წინა, საღამოს და დილის ლოცვას.

სუნნეთია: რომ შეასრულონ ყველა ლოცვა თავის დროზე შემოკლებით და არა ერთად, გარდა საღამოს წინა და დილის ლოცვისა(არ ამოკლებენ).

და არ არის ამაში განსხვავება მექქას მცხოვრები იქნება ის თუ არა.

## მეცხრე დღის საქმეები (არაფას დღეს):

### მინადან ჩამოსვლა და არაფასკენ წასვლა:

არაფას დღეს მზის ამოსვლის შემდეგ პილიგრიმები მიემართებიან მინადან არაფათისკენ.

სუნნა არის, შეხვიდე ნამრაში შუადღემდე, თუ ადვილია.

## არაფათის ქადაგება და ლოცვა:

სანამ მზე ჩავა სუნნა არის, რომ იმამმა პილიგრიმებისთვის წაიკითხოს ქადაგება, რომელიც შეესაბამება იმჟამიმდელ მდგომარეობას, განუმარტოს ხალხს, თუ რა არის დაკანონებული მათთვის ამ დღეს და

იმის შემდეგ, და მოუწოდოს, რომ ეშინოდეთ ალლაჰის, ეთაყვანონ მხოლოს მას ერთადერთს, გამოიჩინონ გულწრფელობა მათ ყველა საქმეში. მოუწოდოს მათ აკრძალულული საქმეებისგან თავის შეკავება და დაარიგოს ისინი იმით, რაც მოვიდა ალლაჰის წიგნში და მისი შუამავლის ﷺ სუნნაში.

ამის შემდეგ ლოცულობენ შუადღის და შუადღის შემდეგ ლოცვას შემოკლებით და ერთად პირველ დროზე, რომელიც დადგა აზანიდან იყამამდე.

## 3 - არაფათზე დგომა:

შემდეგ დგება ხალხი არაფათზე, არაფათი მთლიანად დგომის ადგილია, გარდა ‘ურანას ხეობისა.

სასურველია, მიბრუნდეს ყიბლისკენ და რაჰმათის მთისკენ, თუ შესაძლებელია ეს, ხოლო თუ ძნელია რაჰმათის მთისკენ შებრუნება, მაშინ მიბრუნდეს მხოლოს ყიბლისკენ.

სასურველია, რომ ამ მდგომარეობაში წარმოთქვას ბევრი ვერდება და ზიქრი, აწიოს ხელები ზეცისკენ და შეევედროს ალლაჰს, რაც სურს.

თუ იტყვის თალბიას ან ყურანიდან აიათებს - უკეთესია მისთვის.

სუნნა არის, რომ წარმოთქვას შემდეგი: „ლაა ილააჰა ილლა ლლაჰ, ვაჰდაჰუ ლაა შარიიქა ლაჰ, ლაჰულ მულქუ, ვა ლაჰულ ჰამდუ, იუჰიი ვა იუმიით, ვა ჰუვა ‘ალაა ქულლი შაი’ინ ყადიირ“. აუცილებელია, რომ ბევრჯერ წარმოთქვას ეს სიტყვები ღვთისმოშიში და წრფელი გულით.

აუცილებელია, რომ წარმოთქვას ბევრი ზიქრი და ვედრება, რაც დაკანონებულია ისლამში და არა მხოლოდ ამ დღისთვის.

აუცილებელია, რომ ამ დიდებულ ადგილას გაახშიროს ვედრება, ზიქრი, სალავათი შუამავალზე ﷺ და შესთხოვოს ალლაჰს სიკეთე ამქვეყნადაც და აახირეთშიც. თუ გაიმეორებს ყოველ ვედრებას სამჯერ, ეს იქნება შუამავლის ﷺ სუნნადან.

მორწმუნე ამ დიდებულ ადგილას უნდა იყოს უმწეო მდგომარეობაში თავისი ღმერთის წინაშე, მყარად მდგომი მის წინაშე, მორჩილად, უსუსურად და შესთხოვოს მისი წყალობა და პატიება. შეეშინდეს მისი სასჯელის, კანიკითხოს საკუთარი სული და განაახლოს თავისი გულწრფელი მონანიება, რადგანაც ეს არის დიდებული დღე, უხვად

აჯილდოებს მასში ალლაჰი თავის მონებს, ამაყობენ მისით ანგელოზები და ამ დღეს მრავლდება ხალხის გადარჩენა ცეცხლისგან, და არ არის ამ დღეზე უფრო მეტად განადგურებული, საძულველი და დამცირებული ეშმაკი, გარდა ბადრის დღისა, როცა დაინახეს ალლაჰისგან დიდი ხელგაშლილობა თავის მონებზე, ძლიერი მინდობა და პატიება მათზე.

აუცილებელია, რომ მუსლიმებმა დაანახონ ალლაჰს სიკეთე მათი სულებისგან, დაამცირონ მათი მტერი - შაიტანი, დაამწუხრონ ის ბევრი ზიქრით, ვედრებით, მონანიებით და ყველა შეცდომაზე და ცოდვაზე პატიების თხოვნით.

პილიგრიმები ამ თაყვანისცემის მდგომარეობაში უნდა იყვნენ მზის ჩასვლამდე.

**მზის ჩასვლა არაფას დღეს:**

1- მუზდალიფასკენ წასვლა

როგორც კი მზე ჩავა მიემართებიან მუზდალიფასკენ მშვიდად და აუჩქარებლად და წაროთქვამენ თალბიას სიტყვებს, ხოლო თუ ადგილი თავისუფალია მიდიან ჩქარი ნაბიჯებით.

არ შეიძლება მუზდალიფაზე გასვლა მზის ჩასვლამდე.

როცა მივლენ მუზდალიფაზე ლოცულობენ იქ მაღრიბის სამ მუხლს და იშას ორ მუხლს ერთად, აზანით და იყამით, მნიშვნელობა არ აქვს მაღრიბის დროს იქნება ეს თუ იშას ლოცვის დროს.

2 - კენჭების შეგროვება

ზოგიერთი ხალხი აგროვებს კენჭებს, როგორც კი შევა მუზდალიფაზე ლოცვამდე, უმრავლესობა მათგანი დარწმუნებულია, რომ ეს არის დაკანონებული, თუმცა ისინი ცდებიან, რადგან შუამავალს ﷺ არ უბრძანებია კენჭების შეგროვება, სანამ არ მივლენ მინას ხეობაში. მუზდალიფაზე კენჭების შეგროვება არ არის საჭირო და უნდა შეაგროვოს მინაზე.

სუნნა არის, რომ შეაგროვოს სამი კენჭი ამ დღეს და ესროლოს ჯუმრაზე, როგორც ამას აკეთებდა შუამავალიﷺ .

ხოლო ბოლო სამ დღეს უნდა შეაგროვოს 21 კენჭი მინადან და უნდა ესროლოს სამივე ჯუმრაზე.

**არ შეიძლება,** რომ გარეცხოს და ისე ისროლოს კენჭები, რადგან ეს არ არის შუამავლიდან ﷺ მოსული წესი.

დაუშვებელია უკვე გასროლილი კენჭის სროლა მეორედ.

**3 - მუზდალიფაზე ღამის თევა და სუსტის ჰუქმი:**

ეს ღამე ყველა ჰაჯმა უნდა გაათენოს მუზდალიფაზე.

დაშვებულია, სუსტისთვის, ქალისთვის, ბავშვისთვის და ა.შ. გაათენოს ღამე მინაზე მეორე ღამეს. (ხალხის დიდი რაოდენობის გამო შეიძლება იყოს ძნელი)

რაც შეეხება სხვა პილიგრიმებს, მათ უნდა დარჩნენ მთელი ღამე მუზდალიფაზე ფაჯრის(დილის) ლოცვამდე.

**მეათე დღის საქმეები:**

1 - ჰარამის მეჩეთთან დგომა:

შემდეგ ჩერდებიან ჰარამის მეჩეთთან, მიბრუნდებიან ყიბლასკენ, ახსენებენ ალლაჰს და ადიდებენ მას.

სასურველია, რომ ვედრების დროს ხელები აწიოს ზეცისკენ.

თუ ის დუას გააკეთებს მუზდალიფაზე მისგან ჩამოსვლის გარეშე, მიღებული იქნება.

2 - მინასკენ წასვლა:

ამის შემდეგ, მიდიან მინასკენ მზის ამოსვლამდე და იმეორებენ თალბიას.

თუ არის შესაძლებელი ოდნავ აჩქარებენ სვლას.

3 - მინაზე მისვლა:

3-1 : აჩერებენ თალბიას წარმოთქმას და სვლას:

როდესაც მივლენ მინაში უნდა შეაჩერონ თალბიას წარმოთქმა და სვლა ჯუმრას კედელთან.

შემდეგ ესვრიან სამ კენჭს, რომელიც მოაგროვეს: ყოველი კენჭის გასროლისას აწევს ხელს და იტყვის:“ალლაჰუ აქბარ“.

სასურველია, რომ ისროლონ ხეობიდან ისე, რომ ქააბა იყოს მის მარცხენა მხარეს და მინა იყოს მარჯვენა მხარეს, როგორც ამას აკეთებდა შუამავალიﷺ .

თუ ისვრის კენჭებს სხვა მხრიდან მიღებული იქნება მისგან, თუ კენჭები მივა სასროლ ადგილამდე.

აუცილებელი არ არის, რომ ნასროლმა კენჭებმა დარჩეს იმ ადგილას, არამედ, აუცილებელია, რომ მოხვდეს მას, თუ მოხვდა და გადმოვარდა არ არის პრობლემა, როგორც თქვეს სწავლულებმა.

### 3 – 2 : შესაწირის დაკვლა:

კენჭების სროლის შემდეგ არის შესაწირი.

სასურველია, რომ შესაწირის წინ თქვას: „ბისმილლაჰი, ბისმილლაჰი, ალლაჰუ აქბარ, ჰაზაა მინქა ვა ლაქა“. და მიბრუნდეს ყიბლასკენ.

**სუნნა არის:**

ვინც შესაწირს მიაბრუნებს სხვა მხარეს, მან მიატოვა სუნნა. მისი შესაწირი ჩაითვლება, რადგან ყიბლასკენ მიბრუნება არის სუნნა და არა ვალდებულება.

სასურველია, რომ მან შეჭამოს თავისი დაკლულიდან, აჩუქოს და გასცეს გაჭირვებულებს. ალლაჰის სიტყვებიდან:“ ჭამეთ მისგან თქვენც და დააპურეთ გაჭირვებული უპოვრებიც“.

მსხვერპლშეწირვა შესაძლებელია თაშრიყის მესამე დღის მზის ჩასვლამდე. სწავლულებთან ყველაზე სწორი აზრიდან არის, რომ ეს არის მსხვერპლშეწირვის დღე და მის შემდეგი სამი თაშრიყის დღე.

### 3-3 თავის გადაპარსვა ან დამოკლება:

შესაწირის დაკვლის შემდეგ პილიგრიმმა უნდა გადაიპარსოს თავი ან დაიმოკლოს თმა.

ხოლო გადაპარსვა უკეთესია, რადგან შუამავლმაﷺ სთხოვა მოწყალება და პატიება სამჯერ მათთვის, ვინც გადაიპარსა და ერთხელ - ვინც დაიმოკლა.

არ არის საკმარისი თავის ნაწილის გადაპარსვა ან შეჭრა, აუცილებელია მთლიანი თავის გადაპარსვა ან შეჭრა, ხოლო ქალისთვის თითის წვერის ზომის თმის შეჭრა.

### პირველი თაჰალლული(იჰრამიდან გასვლა):

ქვების სროლის, საქონლის დაკვლისა და თმის შეჭრის შემდეგ პილიგრიმისთვის ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული ჰქონდა, გარდა სქესობრივი კავშირისა. ამას ჰქვია პირველი თაჰალლული.

## 4 - მექქასკენ წასვლა

### 4-1 იფადას ტავაფი

სუნნა არის, რომ თაჰალლულის შემდეგ შემოისოს და გაემართოს ქააბასკენ იფადა ტავაფის შესასრულებლად.

ამ ტავაფს ჰქვია - იფადას ტავაფი, ან ზიარას ტავაფი და ეს არის ჰაჯობის საფუძვლებიდან.

### 4-2 გარბენა:

ტავაფის და ორი მუხლი ლოცვის შემდეგ უნდა გაირბინოს საფა და მარვაზე, თუ ის არის მუთამათი' და ეს არის ჰაჯობის გარბენა, წინა გარბენა იყო უმრას გარბენა.

არ არის საკმარისი ერთი გარბენა სწავლულების უმრავლესობის აზრით.

და ვინც ყირანის ჰაჯობას ასრულებს მისთვის საკმარისია ერთი გარბენა, როგორც მიუთითებს საჰიჰი ჰადისები ჯაბირისგან და სხვებისგან.

და ვინც იფრად ჰაჯობას ასრულებს მისთვისაც საკმარისია ერთხელ გარბენა.

## თავი: საუკეთესო ქმედებები, რომელსაც ასრულებს ჰაჯი მსხვერპლშეწირვის დღეს:

უკეთესია, რომ ჰაჯმა შეასრულოს ეს ქმედებები მიყოლებით, როგორც იქნება ნახსენები ქვემოთ:

პირველად იწყებს ჯუმრას კედელზე ქვების სროლით.

შემდეგ მსხვერპლს შესწირავს.

შემდეგ გაიპარსავს თმას ან დაიმოკლებს.

შემდეგ შეასრულებს ტავაფს ქააბას გარშემო.

შემდეგ გაირბენს საფა და მარვაზე ისინი, ვინც თამათთუ' ჰაჯს ასრულებს და დანარჩენისთვის, თუ თავიდან არ აქვს შესრულებული.

### ამ საქმეების რიგითობის არევის ჰუქმი:

თუ ამ ქმედებების რიგითობა იქნება არეული, მაინც იქნება მიღებული, რადგან ეს ქმედებები აუცილებელია შესრულდეს ამ დღეს, ხოლო რიგითობის დაცვა უკეთესია.

### სრული თაჰალლული:

საქმეები, რომლის შემდეგაც ჰაჯი შედის სრულ თაჰალლულში არის სამი: ქვების სროლა, თმის გაპარსვა და იფადას ტავაფი გარბენასთან ერთად, ვისთვისაც ზემოთ ვახსენეთ.

როცა შეასრულებს ამ ყველაფერს ნებადართული ხდება მისთვის ყველაფერი, რაც იჰრამში იყო აკრძალული: სუნამოს გამოყენება, ცოლთან ურთიერთობა და ა.შ.

### ზამზამის წყლის დალევა:

ჰაჯისთვის სასურველია, რომ სვას ზამზამის წყალი. ასევე, ზამზამის წყლის დალევისას შეევედროს ალლაჰს, რასაც ისურვებს, როგორც ამას აკეთებდა შუამავალიﷺ.

## 5 - მინაში დაბრუნება:

იფადა ტავაფის შემდეგ პილიგრიმები ბრუნდებიან მინაში და რჩებიან მასში სამი დღე და ღამე.

## ჯამარზე კენჭების სროლა:

პილიგრიმები სროილობენ კენჭებს ჯამარის კედლებზე სამი დღის განმავლობაში მზის ამოსვლიდან.

აუცილებელია, რომ დაიცვან კენჭების სროლის რიგითობა.

იწყებენ პირველი ჯამრიდან, რომელიც მდებარეობს ხაიფ მეჩეთის შემდეგ.

და სროილობენ 7 კენჭს ისე, რომ ყველა კენჭისთვის თითოჯერ უნდა აწიონ ხელი.

**სუნნა არის,** რომ კენჭები ისროლონ მარცხენა ხელით და მიბრუნდნენ ყიბლას მხარეს, ასწიონ ხელები და წარმოთქვან ბევრი ვედრება.

შემდეგ ისვრიან მეორე ჯუმურაზე ქვებს ისევე, როგორც პირველზე.

**სუნნა არის,** რომ ცოტა ხანს გაჩერდნენ, ისროლონ მარჯვენა ხელით, მიბრუნდნენ ქააბასკენ და ასევე, შეევედრონ ალლაჰს ბევრი.

შემდეგ ისვრიან მესამე ჯუმურაზე და არ ჩერდებიან მასთან.

შემდეგ ისვრიან კენჭებს მეორე დღეს ისევე, როგორც პირველ დღეს.

კენჭების სროლა თაშრიყის პირველ ორ დღეს სავალდებულოა ჰაჯობისთვის.

**ასევე სავალდებულოა,** პირველი ორი ღამის გათენება მინას ხეობაში.

## მინადან გასასვლელად აჩქარება და დაგვიანება:

ზემოთ ხსენებული ორი დღის შემდეგ, ვისაც ეჩქარება ნებადართულია მინადან გასვლა მზის ჩასვლის შემდეგ.

ვინც დარჩება და მიიღებს მონაწილეობას მესამე დღის კენჭების სროლაში მისთვის უკეთესია, როგორც ალლაჰმა თქვა თავის წიგნში: " და ახსენეთ ალლაჰი განსაზღვრულ დღეებში. ვინც ორი დღით იჩქაროს, ცოდვად არ ჩაეთვლება; და ვინც დააგვიანოს,(ასევე მასაც) ცოდვად არ ჩაეთვლება. ეს მათთვის, ვინც ღვთისმოშიშია“, შუამავალმა ﷺ ნება დართო ხალხს, რომ დაეჩქარათ მინადან გასვლა, ხოლო თვითონ რჩებოდა ჯუმურათის მესამე დღემდე და შუადღის ლოცვის შემდეგ გაემგზავრებოდა  ხოლმე.

### ბავშვის მაგივრად კენჭების სროლა:

ბავშვის მეურვემ თვისთვის კენჭების სროლვის შემდეგ უნდა ისროლოს მასზე მინდობილი უმწეო ბავშვის მაგივრადაც - იქნება ეს გოგო თუ ბიჭი.

აუცილებელია, რომ მოხუცმა ან ავადმყოფმა თუ ვერ შეძლო კენჭების სროლა, ვინმეს დაავალოს, რომ მის მაგივრად ისროლოს. ვინც მის მაგივრად ისვრის კენჭებს მან უნდა აიღოს განზრახვა, რომ მისთვის ისვრის.

### კენჭების სროლის მინდობა:

ვისაც მიანდობს კენჭების სროლა სხვის მაგივრად, აუცილებელია, რომ მან ჯერ თავისთვის ისროლოს სამივე ჯუმურაზე და შემდეგ ისროლოს მისთვის, ვინც ანდო მას იმაზე ადგილიდან, საიდანაც ისროლა თავისთვის.

არ არის საჭირო, რომ ჯერ ისროლოს მისთვის, შემდეგ დაბრუნდეს და მინდობილისთვის ისროლოს. შეიძლება გააკეთოს ეს ორივესთვის ერთდროულად.

## თავი: სავალდებულო მსხვერპლშეწირვა მუთამათი’ისთვის და ყარინისთვის:

### შასაწირი და მისი წესები:

სავალდებულოა იმისთვის, ვინც ასრულებს ჰაჯობას მუთამათი’ს ან ყარინს - სისხლი, თუ ის არ არის ჰარამის მცხოვრები. სისხლი ნიშნავს მსხვერპლშეწირვას - ცხვარს, აქლემის მეშვიდედს ან ძროხის მეშვიდედს.

სავალდებულოა, რომ პირუტყვი იყოს ნაყიდი ჰალალი ფულით და ჰალალი მუშაობით ნაშოვნი. რადგანაც ალლაჰი არის სიკეთე და არ იღებს არაფერს, გარდა სიკეთისა.

აუცილებელია მუსლიმისთვის, რომ თავი შეიკავოს რაიმის ხალხისგან თხოვნაზე - იქნება ეს მეფისგან ან სხვა ვინმესგან - თუ ალლაჰი გაუადვილებს მას, რომ აჩუქოს მისი ქონებიდან ის მიიღებს მას ხალხის ხელით.(უნდა სთხოვოს მხოლოდ ალლაჰს)

### მსხვერპლის მოყვანის სიძნელე:

თუ მუთამათი’ისთვის ან ყარინისთვის ძნელია და არ შეუძლია დაკლას შესაწირი; მაშინ, ის მარხულობს სამ დღეს ჰაჯობაზე და შვიდ დღეს, როდესაც დაბრუნდება სახლში.

მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი სამ დღეზე: თუ უნდა იმარხებს მსხვერპლშეწირვის დღის წინ ან იმარხებს თაშრიყის დღეებში.

და უკეთესია: იმარხოს სამ დღეს არაფას დღემდე, რადგან არაფას დღეს იყოს მუფტირი(ანუ არ მარხულობდეს).

ნებადართულია, რომ სამი დღე იმარხოს მიყოლებით ან დღეგამოშვებით.

რაც შეეხება სახლში დაბრუნების შემდეგ სამარხ შვიდ დღეს: არ არის სავალდებულო, რომ იმარხოს მიყოლებით და შეუძლია იმარხოს ცალ-ცალკე, დღეგამოშვებით.

იმისთვის, ვისაც არ აქვს შესაწირის დაკვლის შესაძლებლობა: მისთვის მარხვა უკეთესია, ვიდრე მეფეს ან სხვა ვინმეს სთხოვოს, რომ მისთვის შესაწირი დაკლას ან ფული მისცეს, რომ იყიდოს და ა.შ.

## თავი: ჰაჯებისთვის სიკეთის კეთებისკენ მოწოდება(ბრძანება):

ვალდებულება არის ჰაჯებისთვის და სხვა მუსლიმთათვის, რომ მოუწოდოს სიკეთისკენ და გაკიცხონ გასაკიცხი. ყურადღებით მოეკიდონ იმას, რომ შეასრულონ ხუთჯერადი ლოცვა კოლექტიურად, როგორც გვიბრძანა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა ﷺ .

რასაც აკეთებენ ხალხის უმრავლესობა, მექქის მცხოვრები იქნება ის თუ არა - : ლოცვის შესრულება თავინთ სახლებში, მეჩეთების მიტოვება - ეს არის შეცდომა და არ არის შარიათიდან, და ვალდებულებაა, რომ გაკიცხონ ასეთი საქმე და უბრძანონ (მოუწოდონ) ხალხს, რომ ილოცონ მეჩეთებში.

ვალდებულება არის ჰაჯებისთვის და სხვა მუსლიმთათვის, მოერიდონ ალლაჰის აკრძალვებს. ვალდებულებაა, რომ აუკრძალონ სხვა პილიგრიმებსაც, იქნებიან ისინი მექქას მცხოვრებლები თუ არა, რადგანაც ცოდვა, რომელსაც წმინდა მიწაზე ჩადიან უფრო დიდი და ძლიერია, ვიდრე სხვაგან ჩადენილი ცოდვა, როგორც ალლაჰმა თქვა: „ხოლო იმას, ვინც უსამართლობით შებილწავს იქაურობას, ვაგემებთ მტანჯველ სასჯელს“. როცა ალლაჰმა დაპირდა, რომ დასჯის მას, ვინც მოისურვებს, რომ რაიმე ცუდი გააკეთოს ჰარამში, მაშინ როგორი იქნება მისი მდგომარეობა, ვინც შეასრულებს მას(ცოდვას)? ეჭვი არ არის, რომ ეს იქნება უდიდესი ცოდვა! ვალდებულებაა, რომ გაკიცხონ ეს და გაშორდნენ ცოდვებს.

ვერ მიიღებს ჰაჯი ჰაჯობის სიკეთეს და ცოდვების პატიებას, თუ არ გაერიდება და გაუფრთხილდება ის ცოდვებს, როგორც თქვა შუამავალმა ﷺ: „ვინც შეასრულა ჰაჯობა, არ შესცოდავს მასში და არ იტყვის ბილწ სიტყვას, გამოვა იქიდან, როგორც გააჩინა მისმა მშობელმა“.

ყველაზე ცუდი და გასაკიცხი საქმეები: მკვდრებზე თხოვნა, მათზე ვედრება, მაგათთვის მსხვერპლის შეწირვა, იმედოვნება, რომ ისინი უშუამდგომლებენ ალლაჰთან, მათგან ჯანმრთელობის თხოვნა და ლოდინი, რომ ისინი დაეხმარებიან და ა.შ.

ეს არის დიდი შირქიდან, **რომელიც** აკრძალა ალლაჰმა, ეს არის ურწმუნოებისა და უმეცრების რელიგია. ალლაჰმა გამოაგზავნა შუამავლები, რომ გაეკიცხათ და აეკრძალათ შირქი(მრავალღმერთიანობა, ალლაჰზე თანაზიარის დადგენა).

ვალდებულება არის ყველა ჰაჯისთვის, რომ გაკიცხონ მსგავსი ქმედება. და ვინც ამას გააკეთებს მოინანიოს ალლაჰთან გულწრფელად და ახლიდან გააკეთოს ჰაჯობა, რადგანაც დიდი შირქი შლის ყველა კარგ საქმეს, რაც მან გააკეთა უწინ. როგორც ალლაჰმა ბრძანა თავის წიგნში: „ხოლო თუ ისინი ალლაჰს თანაზიარს დაუდგენენ, ამაო იქნება ის, რასაც აკეთებნდნენ.“

პატარა შირქის სახეობებიდან: ალლაჰის გარდა სხვა ვინმეზე დაფიცება, როგორიცაა შუამავალზე დაფიცება, ქააბაზე დაფიცება და ა.შ.

ასევე: თვალთმაქცობა, სიამაყე. და ასევე სიტყვები :“როგორც ინება ალლაჰმა და შენ“, „რომ არა ალლაჰის ნება და შენი’’, „ეს ალლაჰისგან არის და შენგან“ და ა.შ.

ვალდებულებაა, რომ გაკიცხონ მუსლიმებმა მსგავსი რამეები და მოუწოდონ მათი მიტოვებისკენ.

**ვადებულება არის ცოდნის ხალხზე: -** ვალდებულება არის ყველაზე, ვისაც აქვს ცოდნა, იქნება ის ჩამოსული ჰაჯი, ადგილობრივი, მედინის მცხოვრები თუ სხვა, რომ ასწავლონ ხალხს რა არის ნებადართული და რა არის აკრძალული ალლაჰის რელიგიაში. აუხსნან და განუმარტონ მათ საუკეთესო გზით, რომ გამოიყვანონ ისინი სიბნელიდან სინათლისკენ. გამოიყენონ ამისთვის საუკეთესო სიტყვა და გამოთქმა, რომ ხალხისთვის გასაგები იყოს.

როგორც მიუთითებს ყურანის აიათები და შუამავლის ﷺ ჰადისები, რელიგიის გავრცელება და ცოდნის გაცემა არის საუკეთესო გზა ალლაჰთან დასაახლოვებლად და უმნიშვნელოვანესი ვალდებულება, რადგანაც ეს არის შუამავლების გზა, და იმათი გზა, ვინც მათ გაყვა განკითხვის დღემდე. აუცილებელია, რომ მცოდნეებმა გაორმაგონ თავიანთი ძალისხმევა ალლაჰის გზაზე მოწოდებისთვის, მოუწოდონ ალლაჰის მონებს წარმატებისკენ, გააფრთხილონ გზააცდენილობისგან. განსაკუთრებით ამ დროში, როცა გახშირებულია ვნებები, რომლის გამოც ავრცელებენ გზააბნეულობას, ნაკლებია მასში ალლაჰისკენ მოწოდება და მეტია მოწოდება ურწმუნოებისა და გარყვნილობისკენ. ალლაჰია დამხმარე, და არ არსებობს ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა.

## თავი: ალლაჰზე მორჩილების მომატება

აუცილებელია, რომ პილიგრიმებმა მოუმატონ ალლაჰზე მორჩილება და თაყვანისცემა მექქაში ყოფნის დროს. გაამრავლონ თავიანთი ლოცვები და ტავაფი ქააბას გარშემო. რადგანაც ჰარამში შესრულებული სიკეთეები მრავლდება და ცუდი ქმედებები - ძლიერდება. ასევე მოუმატოს შუამავლის ﷺ მისალმება და დალოცვა.

## გამოსამშვიდობებელი ტავაფი:

როდესაც პილიგრიმი დააპირებს მექქადან გასვლას, სავალდებულოა მასზე, რომ მან გააკეთოს გამოსამშვიდობებელი ტავაფი ქააბას გარშემო, რომ შეასრულოს თავისი საბოლოო დაპირება. გარდა ქალებისა, რომლებსაც აქვთ მენსტრუაცია ან ნიფასი.

როდესაც დაასრულებს გამომშვიდობებას პილიგრიმი უნდა გავიდეს ქააბადან ნელა, აუჩქარებლად. არ შეიძლება, რომ მან ხმაურით გავიდეს, რადგან ასე არ აკეთებდა არც შუამავალი ﷺ და არც საჰაბები და ეს არის სიახლე რელიგიაში.

ალლაჰს შევსთხოვთ სიმტკიცეს მის რელიგიაში, და დაცვას იმისგან, რაც მას ეწინააღმდეგება, ჭეშმარიტად ის ხელგაშლილია.

## შეცდომები, რომლებსაც ასრულებენ ზოგიერთი ჰაჯები და მუ'თამირები(1):

დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს, ვლოცავ და მივესალმები ჩვენს მოციქულს მუჰამმადს, მოციქულების ბეჭედს, მის ოჯახს და მათ, ვინც გაყვა სწორ გზას განკითხვის დღემდე.

და შემდეგ:

დიდებულმა ალლაჰმა თქვა: „ვფიცავ, კარგი მაგალითი იყო თქვენთვის ალლაჰის შუამავალში, იმათთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!“(ალ-აჰზაბ:21)

და თქვა ალლაჰმა: „მაშ, ირწმუნეთ ალლაჰისა და მისი შუამავლის, წერა-კითხვის უცოდინარი შუამავალი, რომელსაც სწამს ალლაჰი და მისი სიტყვები. და მიჰყევით მას, რათა ეგების ჭეშმარიტ გზაზე დადგეთ.“(ალ-ა'რაფ: 158)

და თქვა ყოვლადმაღალმა: „უთხარი: თუ გიყვართ ალლაჰი, მე გამომყევით, და ალლაჰიც შეგიყვარებთ, და გაპატიებთ თქვენს ცოდვებს, რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!“(ალ იმრაან:31)

თქვა ყოვლადმაღალმა: „და მიენდე ალლაჰს. შენ ცხად ჭეშმარიტებაზე ხარ.“(ან-ნამლ: 79)

და თქვა ყოვლადმაღალმა: „და რა არის ჭეშმარიტების მიღმა გზააბნევის მეტი? მაშ, როგორღა უხვევთ“. (იუნუს: 32)

ყველა თაყვანისცემას აქვს ორი პირობა, რომ ის იყოს მიღებული:

**პირველი პირობა:** გულწრფელობა იმისა, რომ მხოლოდ ალლაჰისთვის აკეთებს, მიისწრაფვოდეს იმისკენ, რომ ყოველი მისი თაყვანისცემა შესრულებული იყოს ალლაჰისთვის, რომ მიიღოს მისგან ჯილდო და კმაყოფილება.

თქვა ალლაჰმა ყოვლადმაღალმა: „მათ არ ბრძანებიათ არაფერი იმის გარდა, რომ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ გულწრფელად, როგორც ჰანიფებს, დამდგარიყვნენ ლოცვად და გაეღოთ მოწყალება - და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება.“(ალ-ბაინაჰ: 5)

შუამავალმა ﷺ თქვა: „ყოველი საქმე ფასდება განზრახვით და ყველა ადამიანი მიიღებს იმას, რაც სურდა...“(ბუხარი, მუსლიმი)

შუამავლის ჰადის ყუდსიში, რომ ალლაჰმა თქვა: „მე არ ვსაჭიროებ იმას, რომ ვინმემ დამიდგინოს თანაზიარი, თუ ვინმე შეასრულებს რაიმეს არა ჩემ გამო და სხვა ვინმეს გამო, მე მივატოვებ მასაც და იმასაც, ვინც დამიდგინა თანაზიარად“. (მუსლიმ)

მეორე პირობა: ყველა საქმეში ალლაჰის შუამავალზე ﷺ მიყოლა,- ეს არის საქმის მიღების ერთ-ერთი პირობა.

ალლაჰი ამბობს: „ეს არის ჩემი გზა ჭეშმარიტი, მიჰყევით მას და ნუ გაჰყვებით ბილიკებს, რომლებითაც დაიფანტებით თქვენ მისი გზიდან. ეს მოგცათ მცნებად, ეგებ იყოთ ღვთისმოშიშნი.“ (ალ-ან'ამ:153)

ალლაჰი ამბობს: „და რაც მოგცათ შუამავალმა, აიღეთ, ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ!“ (ალ-ჰაშრ:7)

შუამავალმა ﷺ თქვა: „ვინც შეასრულა საქმე, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება - იქნება უარყოფილი“.(მუსლიმი), „უფრთხილდით სიახლეებს, რადგან ყოველი სიახლე(რელიგიაში) არის გზააბნეულობა“. (აჰმადი, აბუ დაუდი, თირმიზი).

აიათები და ჰადისები ამ მნიშვნელობით არის ძალიან ბევრი.

აქედან გამომდინარე: ვინც თაყვანს სცემს ალლაჰს გულწრფელობის გარეშე, ის არის ფუჭი, რადგან დაიკარგა მისგან გუწრფელობა.

და ვინც ეთაყვანება ალლაჰს ისე, როგორც არ არის მოსული შარიათში და არ უსწავლებია ჩვენთვის შუამავალს ﷺ - იქნება ფუჭი და უარყოფილი.

ძალიან ბევრი მუსლიმი აკეთებს ისეთ საქმეებს, რაც არ არის მოსული არც ალლაჰის ყურანში და არც შუამავლის ﷺ სუნნაში, ალლაჰმა დააყენონ ისინი სწორ გზაზე.

შეცდომების უმრავლესობას უშვებენ იმიტომ, რომ ცოდნას იღებენ ახალგაზრდებისგან, რომლებსაც არ აქვთ ცოდნა და მიყვებიან ერთმანეთს მტკიცებულების გარეშე.

➡ ეს ნიშანი მიუთითებს შეცდომას, ➡ **ეს ნიშანი მიუთითებს სწორს.**

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია მიიყათიდან იჰრამში შესვლასთან

➡ ზოგიერთი ხალხი ჩამოდის მიიყათის გარეთა მხრიდან, მასთან გავლის გარეშე - თვითმფრინავით ან სხვა ტრანსპორტით, გადადებენ იჰრამს იქამდე, სანამ არ შევლენ ჯიდდაში.

➡ ეს ეწინააღმდეგება შუამავლის ﷺ ბრძანებას და გადის ალლაჰის საზღვრებს გარეთ. თუ ადამიანმა მოიქცა მსგავსად, მან უნდა დაბრუნდეს მიიყათზე, რომელსაც გვერდი აუარა და შევიდეს იჰრამში იქიდან. თუ არ შევა იჰრამში მიიყათიდან - სწავლულთა უმრავლესობის აზრით - მასზეა გამოსასყიდი, რომელსაც დაკლავს მექქაში და გასცემს ღარიბებზე, არ შეჭამს იქიდან რაიმეს და არ გასცემს მდიდრებზე, რადგან ეს არის გამოსასყიდი.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია იჰრამის სამოსთან

➡ ზოგიერთ ხალხს სჯერა, რომ აუცილებელია იჰრამში შევიდეს ორი ფეხსაცმლით. და თუ არ აცვია ორი სანდალი(ან სხვა ფეხსაცმელი) არ შედის იჰრამში. აუცილებლობად თვლის, რომ ფეხსაცმელი ეცვას.

➡ იჰრამში შესვლისთვის არ არის ფეხსაცმელი არც პირობა და არც ვადებულება, არ არის აკძალული, რომ შევიდეს იჰრამში ფეხსაცმლით ან ფეხსაცმლის გარეშე.

➡ ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ აუცილებელია ეცვას იჰრამის ტანსაცმელი, სანამ დაასრულებს ჰაჯობას ან უმრას. და აკრძალულია ამ სამოსის გამოცვლა ირამიდან გასვლამდე.

➡ პილიგრიმისთვის ნებადართულია, რომ იჰრამში ყოფნისას გამოიცვალოს იჰრამის სამოსი სხვა იჰრამის სამოსით - მიზეზით ან მიზეზის გარეშე.

➡ ზოგიერთი ადამიანი არჩევს სპეციაცლურ ფერს ქალისთვის, რომ იჰრამში შევიდეს : შავს, თეთრს, მწვანეს და ა.შ.

➡ პილიგრიმი ქალისთვის ნებადართულია ნებისმიერი ფერის სამოსის ჩაცმა. რაც შეეხება თეთრ ფერს - ის არის მორთულობასთან დაკავშირებული და იზიდავს მზერას.

➡ ზოგიერთი ქალის ხიმარის(თავსაფრის) ქვეშ იკეთებს ზენდენას(კეპკას ან მსგავს რამეს) იმისთვის, რომ ხიმარი არ შეეხოს მის სახეს.

➡ მსგავს ქმედებას არანაირი საფუძველი არ გააჩნია ისლამში, როგორც ჩვენ ვიცით. ეს რომ ყოფილიყო შარიათიდან შუამავალი ﷺ აუცილებლად განგვიმარტავდა მას.

➡ ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ იდტიბა'ი ანუ მარჯვენა მხარის გაშიშვლება საჭიროა იჰრამის დასაწყისში, ტავაფის დროსაც და მთელი იჰრამის განმავლობაში.

➡ იდტიბა'ი ანი მარჯვენა მხარის გაშიშვლება საჭიროა მხოლოდ ტავაფის დასაწყისიდან მის დასრულებამდე. და არა გარბენის და სხვა რიტუალის დროს. როგორც კი ტავაფს დაასრულებენ მხარი უნდა იყოს დაფარული სამოსით, როგორც იყო იქამდე.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია თალბიასთან

➡ ზოგიერთი ხალხი არ აქცევს ყურადღებას თალბიას და მის ხმამაღლა წარმოთქმას.

➡ თალბიას დროს დაკანონებულია, რომ ადამიანმა ხმას მოუმატოს და ხმამაღალი ხმით წარმოთქვას. რადგან შუამავალმა ﷺ თქვა: „მოვიდა ჩემთან ჯიბრილი და მიბრძანა, რომ მებრძანა საჰაბებისთვის ხმა აემაღლათ თალბიას წარმოთქმისას".

➡ზოგიერთი ხალხი წარმოთქვამს თალბიას ერთად. ერთი ამბობს და დანარჩენი ხალხი მის უკან იმეორებს ერთი ხმით.

➡ ეს არ მოდის საჰაბებისგან, რადგან ანასმა გადმოსცა: „ჩვენ ვიყავით შუამავალთან ერთად გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაზე და ზოგიერთი ჩვენგანი თალბიას ამბობდა,ზოგი - ალლაჰუ აქბარს და ზოგი ლაა ილააჰა ილლა ლლაჰს.

## შეცდობემი, რომლებიც დაკავშირებულია ჰარამის მეჩეთში შესვლასთან

➡ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ უნდა შევიდეს სპიციალურად განკუთვნილი კარიდან. და რომ სხვა კარიდან შესვლა ცოდვა ან მიუღებელი ქმედებაა.

➡ არ აქვს ამას არანაირი საფუძველი ისლამში და შეიძლება ნებისმიერი კარიდან შესვლა.

➡ზოგიერთი ხალხი წარმოთქვამს სპეციალურ ვედრებებს კარებში შესვლისას ან ჰარამის დანახვისას.

➡ეს ვერდებები არ არის მოსული შუამავლის ﷺ სუნნადან და მათი წარმოთქმა არის ბიდ'ა(სიახლე რელიგიაში).

➡ზოგი დარწმუნებულია, რომ ჰარამის მეჩეთში შესვლა ნიშნავს ტავაფს და ყველა, ვინც შევა ვალდებულია გააკთოს ტავაფი.

➡ჰარამის მეჩეთი ისეთივე მეჩეთია, როგორც სხვა მეჩეთები. შუამავალმა ﷺ თქვა: „თუ რომელიმე თქვენგანი შევა მეჩეთში არ დაჯდეს, სანამ არ იკითხავს ორ მუხლს". ხოლო როცა შეხვალ ჰარამის მეჩეთში უნდა გააკეთო ტავაფი ან ილოცო ორი მუხლი.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ტავაფთან

➡ ზოგიერთი ხალხი ტავაფისთვის განზრახვას აკეთებს ენით და ხმამაღლა და ამბობს: ღმერთო მე მსურს რომ შევასრულო შვიდი წრე ტავაფი.

➡ განზრახვის ენით წარმოთქმა არის ბიდ'ა(სიახლე). რადგანაც შუამავალი ﷺ არ აკეთებდა მსგავს რამეს და არ უბრძანებია უმეთთისთვის, რომ მასე გააკეთოს, ალლაჰმა დიდებულმა იცის რა არის გულებში.

➡ ტავაფის დაწყება შავი ქვის წინიდან, ან მასა და იემენური კუთხიდან. და ზოგი მათგანი ამბობს: მე ასე გავაკეთე დაზღვევისთვის.

➡ ეს არის რელიგიაში ზღვარადასვლა და მიუღებელი ქმედება. ჭეშმარიტი დაზღვევა სასარგებლოა და დაკავშირებულია შარიათზე მიყოლაზე და ალლაჰის და შუამავლის ﷺ სიტყვაზე წინ არ წასწრებაზე.

➡ ზოგიერთი ხალხი ტავაფს იწყებს მხოლოდ ქააბას კარებიდან და არ იწყებენ შავ ქვასთან.

➡ ეს არ ითვლება ტავაფის სისრულედ. თუ დაიწყებ მას კარებიდან ან შავი ქვის საპირისპირო მხრიდან, რადგანაც ეს არის პირველი პირობა, რომ დაწყება იყოს სრული და სწორი. თუ არასწორად დაიწყებს უნდა დაბრუნდეს და გაიმეოროს.

➡ ზოგიერთი ხალხი საცობის დროს ტავაფს აკეთებს ქააბას გადახურულ ნაწილში, შედიან შავი ქვის კარიდან და გამოდიან მარჯვენა მხრიდან.

➡ ეს არის უდიდესი შეცდომა. ტავაფი არ არის სწორი, თუ წრეს არ გააკეთებს მთელი ქააბას გარშემო და გააკეთებს ერთ ნაწილში.

➡ ზოგიერთი ხალხი ქააბას გვერდით ამოშენებულ ქვას უწოდებენ "ისმაილის ქვას".

➡ ეს ქვა აშენდა იმ დროს, როდესაც ყურეიშელებმა გადაწყვიტეს ქააბას რესტავრაცია და არ ჰქონდათ საკმარისი სახსრები. ააშენეს ქვისგან გვერდითი ნაწილი და უწოდეს ჰატიმი ან ჰიჯრი, მას არანაირი კავშირი არ აქვს მოციქულ ისმაილთან.

➡ ზოგიერთი ხალხი არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ქააბა იყოს მათგან მარცხვნივ. ტავაფს აკეთებენ ზოგჯერ ისე, რომ ქააბა მათგან წინ არის ან მარჯვნივ ან უკან.

➡ ტავაფის სისწორის პირობა არის, რომ ქააბა იყოს მისგან მარცხენა მხარეს. თუ ის იქნება მისგან წინ, მარჯვენა მხარეს ან უკან - მაშინ ტავაფი არ იქნება სწორი.

➡ ზოგიერთი ხალხი შვიდივე წრეზე სწრაფად დარბიან.

➡ გადმოცემულია შუამავლისგან ﷺ და საჰაბებისგან, რომ ისინი მხოლოდ პირველ სამ წრეს აკეთებდნენ სწრაფად.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია შავ ქვასთან შეხებაზე და იემენურ კუთხეზე.

➡ ზოგიერთი ხალხი აწყობს ძლიერ საცობს იმისთვის, რომ მიაღწიონ შავ ქვასთან და აკოცონ მას, ამ მიზეზით ისინი ჩხუბობენ და ჭყლეტენ ერთმანეთს.

➡ ასეთი ქმედებით მხოლოდ ტავაფი კი არა მთლიანი ნუსუქი იშლება, რადგანაც თქვა ალლაჰმა : فلا رفث ولا فسوف ولا جدال في الحج"

ასეთ დროს ადამიანი კარგავს ღვთისმოშიშობის გრძნობას და ავიწყდება ალლაჰის ხსენება, რომელიც ყველაზე მთავარია ტავაფის დროს. შუამავალმა ﷺ უთხრა უმარს: "ო უმარ! შენ ძლიერი კაცი ხარ, ნუ მოაწყობ საცობს შავ ქვასთან და არ დაჩაგრო სუსტი, თუ ნახავ რომ ადგილი თავისუფალია შეეხე მას, თუ არ იქნება თავისუფალი მიესალმე მას და ადიდე ალლაჰი".

➡ ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ შავ ქვაზე და იემენის კუთხეზე შეხებით მიიღებენ ბარაქას და არა თაყვანისცემას. ისინი ეხებიან მათ ხელებით და შემდეგ ამ ხელებს უსვამენ დანარჩენ სხეულზე და თავიანთ შვილებზეც კი.

➡ შავ ქვაზე შეხების და კოცნის მიზანი არის ალლაჰის განდიდება და არ არის ბარაქის მიღება. შუამავალმა ﷺ ამაზე თქვა: "როცა შეეხები ქვას თქვი : "ალლაჰუ აქბარ" იმ მიზნით, რომ ეს იყოს ალლაჰის განდიდება. რაც შეეხება წყალობას და ბარაქას - ის მხოლოდ ალლაჰისგან არის. უმარმა თქვა შავ ქვასთან: "ჭეშმარიტად, მე ვიცი, რომ შენ არ მავნებ და არც მარგებ, არამედ მე დავინახე, რომ შაუმავალი გკოცნიდა შენ ამიტომაც გაკოცებ".

➡ ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ ტავაფი არ იქნება სწორი თუ არ შეეხება შავ ქვას და არ აკოცებს მას.

➡ ქვაზე კოცნა არის ტავაფის სუნნა, რომელიც არ არის სავალდებულო. ქვაზე კოცნის გარეშეც ტავაფი იქნება სწორი.

➡ ზოგიერთი ხალხი, როდესაც მიუახლოვდება შავ ქვას ეხებიან მას მარცხენა ხელით და არ აქცევენ ამას დიდ ყურადღებას.

➡ მარჯვენა ხელი უფრო დასაფასებელია ვიდრე მარცხენა. სასურველია, რომ წმინდა ადგილებზე თაყვანისცემა შეასრულო მარჯვენა ხელით.

➡ ზოგიერთი ხალხი კოცნის იემენურ კუთხეს.

➡ იემენურ კუთხეზე კოცნა არ არის შუამავლის ﷺ სუნნადან და მასზე მოსული ყველა ჰადისი არის სუსტი.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ქააბაზე შეხებასთან

➡ ზოგიერთი ხალხი ეხება ქააბას ყველა კუთხეს. ასევე, ეხება ქააბას ყველა კედელს.

ქააბაზე შეხება არის უდიდესი თაყვანისცემა. სავალდებულია გაჩერდე მასთან, მაგრამ შუამავალი ﷺ არ ეხებოდა არც ერთ კუთხეს გარდა ორისა, ეს იყო: შავი ქვა და იემენური კუთხე.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ზიქრებთან ტავაფის დროს

ზოგიერთი ხალხი წარმოთქვამს განსაკუთხებულ ზიქრებს ან ვედრებებს ყოველ კუთხესთან.

არ არის ჩვენამდე მოსული შუამავლისგან ﷺ განსაკუთრებული ზიქრები ტავაფის ყოველი წრისთვის. ტავაფის დროს შეგიძლია წაიკითხო ნებისმიერი ვედრება და შესთხოვო ალლაჰს სიკეთე ამქვეყნად და აახირეთში.

ზოგიერთ ხალხს თან დააქვს წიგნები, რომლებზეც დაწერილია ზიქრები და ვედრებები, თუმცა მათ უმეტეს შემთხვევაში არ იციან ამ ზიქრების მნიშვნელობა.

თუ ტავაფის შემსრულებელი გააკეთებს ვედრებას, რომლის მნიშვნელობაც მისთვის გასაგებია - იქნება უკეთესი. მაგრამ თუ ადამიანს ავიწყდება გარკვეული ზიქრები ან ვედრებები და უნდა რომ გაიხსენოს და წაიკითხოს წიგნიდან არა იმიტომ, რომ ეს კონკრეტული ვედრება არის, მაშინ არ არის პრობლემა.

ზოგიერთი ხალხი იკრიბება ერთი ხელმძღვანელის გარშემო და მიჰყვებიან მას, როცა ის ამბობს ვედრებას და ესენი იმეორებენ ხმამაღალი ხმით. ამით ისინი უშლიან ხელს სხვა პილიგრიმებს.

მსგავსი ქმედება არის მორჩილებიდან და თავმდაბლობიდან გასვლა. ასევე, ალლაჰის მონებისთვის სიტყვიერი ზიანის მიყენება. ამ საიმედო ადგილას, როცა შუამავალი ﷺ ამოვიდა ხალხთან, ზოგი ხმამაღლა კითხულობდა ყურანს, ზოგი ლოცულობდა. მაშინ შუამავალმა ﷺ თქვა:"ყველა თქვენგანი ესაუბრება თავის ღმერთს, მაგრამ არ აამაღლოთ ხმა ყურანის კითხვისას ერთმანეთთან". გადმოსცა მალიქმა მუვატტაში. იქნება უკეთესი, რომ ჯგუფის ხემძღვანელმა როდესაც მიუახლოვდენიან ქააბას აუხსნას ხალხს, როგორ უნდა მოექცნენ მშვიდად, ღვთის შიშით და არ შეუშალონ ხელი სხვებს.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია შემდგომ ორ მუხლ ლოცვასთან

ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ აუცილებელია ლოცვის შესრულება იბრაჰიმის მაყამთან ახლოს, ამის გამო ქმნიან დიდი საცობს და უშლიან ხალხს.

ტავაფის შემდეგ ორი მუხლი ლოცვის შესრულება შესაძლებელია მეჩეთის ნებისმიერ ადგილას. მთავარია, რომ მან მორჩილება და სიმშვიდე შეინარჩუნოს ლოცვის დროს.

ზოგიერთი ხალხი ორ მუხლ ლოცვას ძალიან აგრძელებს. დიდხანს კითხულობს მასში ყურანს.

ეს ეწინააღმდეგება სუნნას, რადგან შუამავალი ﷺ პირველ მუხლზე კითხულობდა სურა „ალ-ქააფირუუნ"-ს, ხოლო მეორე მუხლზე სურა „ალ-იხლას"-ს.

➡ზოგიერთი ხალხი ლოცვის შემდეგ აღაპყრობენ ხელებს მაღლა და ძალიან გრძელ ვედრებას კითხულობენ.

➡ამ ორი მუხლის ლოცვის შემდეგ ვედრების წარმოთქმა არ არის დაკანონებული, რადგანაც შუამავალი ﷺ არ აკეთებდა ამას და არ უსწავლია მას უმმეთისთვის მსგავსი რამ. საუკეთესო გზა არის შუამავლის ﷺ გზა. ლოცვის ასე გაგრძელების დროს მლოცველი იკავებს ადგილს მეჩეთში და უშლის ხალხს.

➡ზოგიერთი ხალხი ორი მუხლი ლოცვის შემდეგ დგებიან და მათი ხელმძღვანელი უკეთებს მათ ხმამაღლა ქადაგებას. ამით ისინი ხელს უშლიან იბრაჰიმის მაყამის უკან მლოცველებს.

➡თქვა ალლაჰმა : „მოუხმეთ თქვენს ღმერთს მორჩილებით და ჩუმად. ჭეშმარიტად, მას არ უყვარს ზღვარგასულნი!“

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია იბრაჰიმის მაყამთან

➡ ზოგიერთი ხალხი დგება იბრაჰიმის მაყამთან და კითხულობს გრძელ ვედრებას და უწოდებს მას „მაყამის დუას“, ხოლო ზოგიერთ მათგანს უკავიათ წიგნები და იქიდან კითხულობენ ხმამაღლა, რითაც ღლიან მათ უკან მყოფ ხალხს.

➡ ეს დუა არის ბიდ’ათი(სიახლე) და აკრძალული საქმე, ვინც ამას აკეთებს ჩადის სიახლეს და ყოველი სიახლე არის გზააბნეულობა. ხალხისთვის ხელის შეშლა მაყამის გარშემო არის სიახლე.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია საფა და მარვას შორის სირბილზე

➡განზრახვის ენით წარმოთქმა. როგორც ამბობენ: მე მსურს ან განვიზრახე, რომ გავირბინო შვიდი წრე ალლაჰისთვის.

➡ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, რომ განზრახვის გაკეთება ენით(სიტყვებით) არის სიახლე.

➡ზოგიერთი ხალხი ყოველ წრეზე სპეციალურ ვედრებას კითხულობს.

➡ვთქვით, რომ ეს არის სიახლე და შუამავალს ﷺ განსაკუთრებით არ გამოუყოფია რომელიმე ვედრება არც წრეებისთვის, არც ტავაფისთვის და არც გარბენისთვის.

➡ზოგიერთი ქალი ადის საფა და მარვას გორაზე და მჭრიდროდ შეერევა კაცებში.

➡ფაყიჰებთან ცნობილია, რომ ქალისთვის არ არის სავალდებულო, რომ ავიდეს საფა და მარვას გორაზე. საკმარისია, რომ დადგეს მის ძირში და დაასრულოს დარჩენილი წრეები. ხოლო თუ ქალი მაჰრამთან ერთად არის და მისთვის რთულია მასთან განშორება მაშინ, შეუძლია ავიდეს გორაზე მასთან ერთად.

➡ზოგიერთი ხალხი საფა და მარვას შორის ჩვეულებრივ ნელა დადის იმ ადგილას, სადაც მწვანე სანიშნეებია.

➡ ეს არის სუნნას საწინააღმდეგო ქმედება, რადგან შუამავალი ﷺ დარბოდა სწრაფად ორ მწვანე ნიშანს შორის.

➡ ზოგიერთი ხალხი მთელი წრეები სწრაფად დარბის საფა და მარვას შორის.

➡ ეს ეწინააღმდეგა სუნნას, რადგანაც გარბენა უნდა გააკეთოს მხოლოდ მწვანედ მონიშნულ ადგილებში. ასევე, ეს არის იქ მყოფებისთვის ხელის შეშლა, როცა მთელ წრეზე დარბიან.

➡ზოგიერთი ხალხი დარბის ეტლის გამოყენებით საჭიროების გარეშე.

➡ამ ქმედებაზე არსებობს სხვადასხვა აზრი, თუ ადამიანს არ შეუძლია სიარული ან სირბილი შეუძლია გამოიყენოს ეტლი. ალლაჰი არ ატვირთავს ადამიანს იმაზე მეტს, რაც მის სულს შეუძლია.

➡ზოგიერთი თვლის, რომ ერთი წრე საფასა და მარვას შორის არის საფადან მარვამდე და მარვადან საფამდე და გადიან 14 წრეს.

➡ეს არის არასწორი, რადგან შუამავალი ﷺ აკეთებდა ერთ წრეს საფადან მარვამდე და მეორე წრეს მარვადან საფამდე.

➡ზოგიერთი ხალხი ეთაყვანება ალლაჰს საფა და მარვას შორის გარბენით უმრას გარდა სხვა დროს და ფიქრობენ, რომ ეს არის ნებაყოფლობითი ტავაფი.

➡მსგავს ქმედებას არ გააჩნია საფუძველი ისლამში და ეს არის ბიდ'ა(სიახლე) რელიგიაში.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია თმის გაპარსვასთან და შემოკლებასთან

➡ზოგიერთი ხალხი იპარსავს თმის ნაწილს და ნაწილს - ტოვებს.

➡აუცილებელია მთლიანი თმის გაპარსვა ან შეჭრა.

➡ზოგიერთი ხალხი უმრის დასრულებისას თმის ძალიან ცოტა ნაწილს ჭრის.

➡ეს არის შარიათის საწინააღმდეგო, რადგან ალლაჰმა თქვა: „თავგადაპარსულნი და გაკრეჭილნი...". აუცილებელია, რომ შეჭრილი თმა იყოს შესამჩნევი.

➡ზოგიერთი ხალხი უმრას დასრულების შემდეგ თუ ვერ ნახავენ პარიკმახერს, მიდიან სახლში, გამოიცვლიან ტანსაცმელს და შემდეგ პარსავენ თმას.

➡ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, რადგან ადამიანი არ გამოდის უმრას იჰრამიდან, სანამ არ გაიპარსავს ან დაიმოკლებს თმებს. შუამავალმა ﷺ უთხრა თავის საჰაბებს: „დაიმოკლეთ თმები და შემდეგ შედით იჰლალში".(უმრადან გამოსვლა არის იჰლალი). ანუ გაიპარსოს თმა და მერე გაიხადოს იჰრამის სამოსი.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია ჰაჯობის იჰრამთან

➡ზოგიერთ ხალხს სჯერა, რომ იჰრამში უნდა შევიდეს მაშინ, როცა მივა ჰარამის მეჩეთთან.

➡ეს არის არასწორი, რადგან ჰარამის მეჩეთთან არ შეიძლება იჰრამში შესვლა. სუნნა არის იჰრამში შესვლა იმ ადგილიდან, სადაც ჩამოვიდა, იქნება ეს მექქა თუ მინა.

➡ზოგიერთი ხალხი ფიქრობს, რომ მათი იჰრამი არ იქნება სწორი თუ არ გარეცხავენ იჰრამის სამოსს უმრაზე შესვლამდე.

➡ეს არის არასწორი. იჰრამის ტანსაცმელი რომ აუცილებლად გარეცხილი იყოს - არ არის უმრას პირობებიდან. თუ სუფთა იქნება სამოსი კარგია, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ უმრა არ იქნება სრულყოფილი მცდარია.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია არაფათზე დგომასთან

➡ ზოგიერთი ხალხი გამოდის არაფათის საზღვრებიდან და რჩებიან თავიანთ სახლებში მზის ჩასვლამდე, შემდეგ გამოდიან მუზდალიფაზე არაფათზე დგომის გარეშე.

➡ეს არის დიდი შეცდომა, რომლითაც ჰაჯობა ხდება არასრული. რადგან არაფათზე დგომის გარეშე ჰაჯობა არის არასწორი.

➡ზოგიერთი ხალხი გამოდის არაფათზე მზის ჩასვლამდე.

➡ეს არის აკრძალული და ეწინააღმდეგება შუამავლის ﷺ სუნნას. აუცილებელია არაფათზე დგომა მზის ჩასვლამდე და გამოსვლა მზის ჩასვლის შემდეგ. მზის ჩასვლამდე გამოსვლა უცოდინარი ხალხის საქმეა.

➡ზოგიერთი ხალხი არაფატის გორაზე ვედრებას აკეთებს ისე, რომ ქააბა არის მის უკან ან გვერდითა მხარეს.

➡ეს ეწინააღმდეგება სუნნას, რადგან სუნნა არის, რომ ვედრების დროს მივუბრუნდეთ ქააბასკენ ისე, როგორც ამას შუამავალი ﷺ აკეთებდა.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია მუზდალიფასკენ მოძრაობასთან

➡ზოგიერთი პილიგრიმი მუზდალიფაზე გასვლისას სწრაფად მოძრაობს და ამის გამო ერთმანეთს აწვებიან.

➡შუამავალი ﷺ არაფატიდან მუზდალიფაზე გადიოდა მშვიდად და აუჩქარებლად, ხოლო თუ იყო საკმარისი სივრცე აჩქარებდა სვლას.

➡ზოგიერთი მუზდალიფიდან ჩამოდის მინაზე მანამ, სანამ ილოცებს დილის ლოცვას.

➡ეს არის შეცდომა, რადგან მუზდალიფაზე ღამის გათენება არის სავალდებულო.

➡ზოგიერთი ხალხი მუზდალიფასკენ მიმავალ გზაზე ლოცულობს მაღრიბს და იშას.

ეს არის შეცდომა, რადგან შუამავალი ﷺ არ ლოცულობდა მანამ, სანამ არ მივიდოდა მუზდალიფამდე.

ზოგიერთი ხალხი არ ლოცულობს იშას და მაღრიბს, სანამ არ მივლენ მუზდალიფამდე, ხოლო როცა მიაღწევენ არ ლოცულობენ, სანამ არ გავა იშას დრო.

ეს არის დიდი ცოდვა. შუამავალი ﷺ ლოცვებს აერთებდა, მაგრამ ლოცულობდა თავის დროზე.

ზოგიერთი ხალხი ლოცულობს ფაჯრს(დილის) მისი დროის დადგომამდე და შემდეგ მიდიან.

ეს არის დიდი შეცდომა, რადგან ლოცვა უნდა შეასრულო მის დროზე და მისი დროის დადგომამდე ლოცვა მიღებელია.

ზოგიერთი პილიგრიმი მიაღწევს მუზდალიფას სიახლოეს ადგილს, დარჩება იქ ცოტა ხანს და თვლის, რომ ეს საკმარისია.

ეს არის დიდი შეცდომა, რადგან უბრალოდ გავლა საკმარისი არ არის. ჰაჯი უნდა დარჩეს მუზდალიფაზე დილის ლოცვამდე. შემდეგ მაშ'არის ჰარამთან გააკეთოს ბევრი ვედრება და დაბრუნდეს მინაზე.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია მსხვერპლშეწირვასთან

ზოგიერთი პილიგრიმი კლავს შესაწირს ისე, რომ არ აქცევს ყურადღებას მის წლოვანებას.

შესაწირი საქონლის წლოვანება დადგენილია შარიათში: აქლემი 5 წლის, ძროხა 2 წლის და ცხვარი 6 თვის.

ზოგიერთი პილიგრიმი კლავს ნაკლის მქონე საქონელს: ცალთვალა, კოჭლი, ავადმყოფი და ა.შ.

საქონელი, რომელსაც აქვს ჩამოთვლილიდან ერთი ნაკლიც არ გამოდგება მსხვერპლშეწირვად ჰაჯებისთვის.

ზოგიერთი პილიგრიმი კლავს შესაწირს და შემდგომ მიაქვს ხორცი. ამით ის არ ასრულებს იმ ვალდებულებებს, რაც დააწესა ალლაჰმა: „ჭამეთ მისგან თქვენც და დააპურეთ გაჭირვებული უპოვრებიც“.

ალლაჰის სიტყვები „დააპურეთ“ არის ბრძანება, რომელიც უნდა მოიყვანო სისრულეში და ეს არის სხვების უფლება. ხოლო სიტყვები „ჭამეთ“ ნიშნავს, რომ არ არის სავალდებულო.

ზოგიერთი პილიგრიმი კლავს საქონელს მისი დროის დადგომამდე. ან დღესასწაულის წინა დღეს.

შუამავალი არ კლავდა შესაწირს დღესასწაულის წინა დღეს, რომც ყოფილიყო ამისი საჭიროება.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია კენჭების სროლასთან

➡ ზოგიერთი პილიგრიმი ფიქრობს, რომ კენჭების შეგროვება აუცილებელია მუზდალიფაზე. აგროვებენ მათ ღამეში და ინახავენ მინაზე.

➡ ამას არ აქვს საფუძველი შუამავლის ﷺ სუნნაში.

➡ ზოგიერთ პილიგრიმს სჯერა, რომ ის კენჭებს ეშმაკზე ისვრიან და წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: მე ვსროულობ ამ ქვას დიდ ეშმაკს, პატარა ეშმაკს, ეშმაკების მამას და ა.შ. ასევე, კენჭებს სროულობენ სიბრაზით, ხმამაღალი ყვირილით და ა.შ. ამით ცდილობენ ეშმაკების გალანძღვას.

➡ შარიათული ჰუქმი კენჭების სროლისას არის: ალლაჰის ხსენება და განდიდება ყოველი კენჭის გასროლისას.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი ჯუმურათზე სროილებს დიდ ქვებს, ან ფეხსაცმელს, ან ქალამნებს, ან ხეებს და ა.შ. მათ სჯერათ, რომ ამით ეშმაკებს უსვრიან ქვებს.

➡ ეს არის დიდი შეცდომა, რადგან შუამავალი ﷺ სროილობდა მხოლოდ კენჭებს და უბრძანა მის უმმეთს გაეკეთებინათ მის მსგავსად და აუკრძალა მათ რელიგიით თამაში.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი ჯუმურათთან დგომისას იწვევს ხმაურს და აურზაურს. არ იწყალებენ ალლაჰის მონებს და ეკამათებიან მათ.

➡ ეს ქმედება უბრუნდება ისევ იმას, ვინც გამოიწვევს ამ არეულობას, როგორც მიზეზი იმისა, რომ გადის შუამავლის ﷺ სუნნადან.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი კენჭების სროლის შემდეგ ტოვებს ჯუმურათის ადგილს და არ აკეთებს ვედრებას. სუნნას არ ცოდნის გამო ან თაყვანისცემის გახანგრძლივების უნდობლობით.

➡ შუამავალი ﷺ კენჭების სროლის შემდეგ დიდხანს იდგა და აკეთებდა ვედრებას.

➡ ზოგიერთი პილგრიმი ყველა კენჭს ერთად ისვრის ერთი გასროლით.

➡ ეს არის შეცდომა, რადგან კენჭები უნდა ისროლო თითი - თითო ყოველ კენჭზე ხელის აწევით შვიდჯერ ისე, როგორც აკეთებდა შუამავალი ﷺ .

➡ ზოგიერთი პილიგრიმი ამატებს ვედრებებს, რომელიც არ არის მოსული შუამავლის ﷺ სუნნაში.

➡ პირველი არის შუამავალზე მიყოლა იმაში, რაც მან დაამტკიცა დამატების და შემოკლების გარეშე.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი უყურადღებოდ ექცევა კენჭების სროლის რიტუალს და თავის მაგივრად სხვას ავალებს, რომ ისროლონ კენჭები იმის გამო, რომ არ შეიწუხონ თავი ხალხმრავლობაში და არ დაიღალონ.

➡ ეს არის იმის საწინააღმდეგო, რაც დაგვავალა ალლაჰმა, რომ ჰაჯობა იყოს სრულყობილი: „სრულად აღასრულეთ ჰაჯი და უმრა ალლაჰისთვის“. სავალდებულოა, რომ მორწმუნემ მოითმინოს კენჭების სროლის დროს სირთულე და დაღლა, რადგან ჰაჯობა არის ჯიჰადის სახეობა.

## შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია გამოსამშვიდობებელ ტავაფთან

➡ ზოგიერთი პილიგრიმი გამოდის მინას ხეობიდან ჯუმურათზე ქვების სროლის გარეშე, ასრულებენ გამოსამშვიდობებელ ტავაფს, ბრუნდებიან მინაზე, სროილობენ კენჭებს და მერე ბრუნდებიან თავიანთ ქვეყნებში.

➡ ეს ეწინააღმდეგება შუამავლის ﷺ ბრძანებას, რომ გამოსამშვიდობებელი ტავაფი უნდა შესრულდეს კენჭების გასროლის შემდეგ.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი რჩება მექქაში ჰაჯობის დასრულების შემდეგ.

➡ ეს ეწინააღმდეგება იმას, რაც ბრძანა შუამავალმა ﷺ და განუმარტა მის ემმეთს. მაგრამ სწავლულებმა გაამარტივეს ეს წესი და დაუშვეს მექქაში დარჩენა იმ შემთხვევაში, თუ ამის სერიოზული მიზეზი არსებობს. მაგ: ორი მუხლის ლოცვა, ჯანაზაზე დასწრება, ან ისეთი რამ, რაც დაკავშირებულია  გამგზავრებასთან: თანამგზავრისთვის დალოდება, საჭირო ნივთების ყიდვა და ა.შ. ხოლო თუ პილიგრიმი დარჩება მექქაში უმიზეზოდ, მან უნდა გაიმეოროს გამოსამშვიდობებელი ტავაფი.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი გამოდის ჰარამის მეჩეთიდან გამოსამშვიდობებელი ტავაფის შემდეგ ზურგის მხრიდან.

➡ ეს არამარტო ეწინააღმდეგება სუნნას არამედ, არის სიახლე, რომელიც აკრძალა შუამავალმა.

➡ ზოგიერთი პილიგრიმი ქააბიდან გამოსვლისას მიუბრუნდება მისკენ და აკეთებს დუას.

➡ ეს არის სიახლე და არ არის კავშირში არც სუნნასთან და არც მართლმორწმუნე ხალიფების ქმედებასთან.

## მედინის სიკეთე და მისი მონახულების ნორმები

დიდებულმა ალლაჰმა განსაუთრებით გამოყო ქალაქი მედინა ისე, რომ არც ერთი ქალაქი არ გამოურჩევია, როგორც მოვიდა სანდო ჰადისებში. მოვიყვანთ რამდენიმე მათგან.

მედინა აკრძალულია გარეული ცხოველიდან დაწყებული შინაურით დამთავრებული და ისეთივე ჰუქმით არის აკრძალული, როგორც ქალაქი მექქა. ხოლო მისი ბარაქა ორჯერ მეტია მექქას ბარაქაზე.

გადმოცემულია აიშასგან ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი, რომელმაც თქვა: როდესაც ჩვენ ჩამოვედით მედინაში იქ ყველაზე მეტად იყო გავრცელებული შავი ჭირი, ალლაჰის შუამავალმა ﷺ თქვა: „ო ალლაჰ, შეგვაყვარე მედინა ისე, როგორც გვიყვარს მექქა, ან უფრო მეტად. მოაშორე მას დაავადება და მოგვეცი ბარაქა სა'ში და მუდდაში და გააშორე მას ჭირი ჯუჰფამდე“. (ბუხარი, მუსლიმ)

მედინა არის ღვთიური წერილის გარმოვლენის ადგილი და ცოდნის ქალაქი. დიდება ალლაჰს დღემდე ის თვლება ისლამური ცოდნის წყაროდ, მისი მეცნიერებები ვრცელდება მთელს დედამიწაზე, მასში ისწავლება ნათელი მრწამსი და სწორი თაყვანისცემა. ვინც მედინაში მიიღებს ცოდნას, იქნება ის არაბი თუ უცხოელი, სარგებელს მოუტანს თავის ხალხს.

არ ჩამოდის არავინ მედინაში, გარდა ალლაჰთან დაახლოებისთვის და მისი შუამავლის ﷺ სიყვარულისთვის. შუამავალმა ﷺ გვიბრძანა, რომ დავემორჩილოთ იმას, რაც მან გვიბრძანა, გავაკეთოთ ის, რაც მან გვამცნო, გავერიდოთ იმას, რაც მან აკრძალა და ვეთაყვანოთ ალლაჰს ისე, როგორც მან დააკანონა.

შუამავალმა ﷺ ასევე გვიბრძანა, რომ მივყვეთ მას, გავერიდოთ სიახლეს, გაგვაფრთხილა, რომ გზას არ ავცდეთ და არ ავაცდინოთ სხვა, არ გავნადგურდეთ და არ გავანადგუროთ სხვაც.

მედინის მომნახველისთვის ვალდებულებაა, რომ შეისწავლოს მონახულების ნორმები და დაიცვას ისინი. შეასრულოს ეს წესები ისე, როგორც დააკანონა შუამავალმა ﷺ და არა ხალხის მიერ მოგონილი სიახლეებით.

### ნათელმოსილი მედინის სიკეთეებიდან

შუამავალის ქალაქი მედინა არის სიკეთის სიკეთე, ზეშთაგონების ადგილი, შუამავალზე ﷺ ანგელოზი ჯიბრილის გარდმოსვლის ადგილი. ალლაჰმა დააფასა ის და მისცა სიკეთე, გახადა ის სიკეთის ადგილად მექქას შემდეგ. ის არის რწმენის დაბრუნების ადგილი, პირველი მუსლიმების დედაქალაქი. მასში იქნა აღმართული ჯიჰადის დროშა, მასში აინთო სინათლე, ის არის მუსტაფას ﷺ გადასახლების ადგილი, მასში გაატარა მან სიცოცხლის ბოლო წლები, იქ მოკვდა, იქ არის დაკრძალული და იქ იქნება აღდგენილი. მისი საფლავი არის ერთადერთი საფლავი,

რომელსაც ასდის მისი პატრონის სუნი და არც ერთ შუამავალს ﷺ არ ჰქონია მისი სახელობის დაფლავი, გარდა მუჰამმად შუამავლისა ﷺ .

## ნათელმოსილი მედინის სიკეთეებიდან არის:

დიდებულმა ალლაჰმა შექმნა ის აკრძალულად. საიმედოდ ისე, როგორც მექქა შექმნა აკრძალულად და საიმედოდ. შუამავალმა ﷺ თქვა: „ჭეშმარიტად იბრაჰიმმა აკრძალა მექქა და მე ავკრძალე მედინა“. (მუსლიმ)

არ მოსულა არც ერთი მტკიცებულება იმაზე, რომ რომელიმე ადგილი იყოს აკრძალული გარდა მექქასა და მედინისა.

მექქასა და მედინის აკრძალვა ნიშნავს: რომ აკრძალული ქალაქის საზღვრები არ მოიცავს მთლიანად ქალაქს, და რომ აკრძალული ადგილი მხოლოდ შუამავლის მეჩეთია -არასწორია.

რწმენა დაბრუნდება მასში:

ეს ნიშნავს, რომ რწმენა მიმართულია მისკენ და მუსლიმებს სწამთ მისი; ამ დალოცვილი ადგილის რწმენით და სიყვარულით. შუამავალმა ﷺ თქვა: „ჭეშმარიტად, რწმენა დაბრუნდება მედინაში ისე, როგორც ბრუნდება გველი თავის სოროში“. (ბუხარი, მუსლიმ)

შუამავლის ﷺ ვერდება მისთვის:

შუამავალმა ﷺ თქვა: „ო ალლაჰ, მოგვეცი ბარაქა ჩვენს შთამომავლებში, მოგვეცი ბარაქა ჩვენს ქალაქში, მოგვეცი ბარაქა ჩვენს სა'ში და მუდდაში“. (მუსლიმ)

ალლაჰმა უწოდა მას **„ტააბათ“**, ხოლო შუამავალმა უწოდა **„ტაიბათ“.**

თქვა შუამავალმა ﷺ : „ჭეშმარიტად, ალლაჰმა უწოდა მედინას ტააბათ“. (მუსლიმ)

„ტააბათ“, „ტაიბათ“ ერთმანეთის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია და ნიშნავს კეთილს, კარგს და მას ეწოდა საუკეთესო ადგილი.

ჭეშმარიტად ის არის სოფელი, რომელიც ყლაპავს სოფლებს:

ეს ახსნილია იმით, რომ მადინას აქვა უპირატესობა სხვა ქალაქებზე. და ახსნილია იმით, რომ ნადავლი, რომელსაც იღებდენენ ჯიჰადზე მიდიოდა მედინაში სრულად. და ეს ყველაფერი უკვე მოხდა. თქვა შუამავალმა ﷺ : „მე მიბრძანეს, რომ გადავსახლდე იმ ქალაქში, რომელიც ჩაყლაპავს სხვა ქალაქებს, რომელთაც ეწოდებათ იასრიბი, ეს არის მედინა, რომელიც აშორებს (ცუდ) ხალხს ისე, როგორც მჭედელი აშორებს რკინიდან ჟანგს“. (ბუხარი, მუსლიმ)

ჭეშმარიტად, მასში არ შევა არც ჭირი და არც დაჯჯალი(ანტიქრისტე):

თქვა შუამავალმა ﷺ : „მედინის საზღვრებს იცავენ ანგელოზები და არ შევა მასში არც ჭირი და არც დაჯჯალი“.(ბუხარი,მუსლიმ)

თქვა შუამავალმა ﷺ: „მედინა არის აკრძალული ქალაქი ავრიდან სავრამდე. და ვინც შეიტანს მასში სიახლეს( რელიგიაში) ან შეიფარებს იმას ვინც შეიტანა სიახლე, მასზე იქნება ალლაჰის, ანგელოზებისა და ყველა ხალხის წყევლა, და არ მიიღებს მისგან ალლაჰი არც სავალდებულოს და არც ნებაყოფლობით თაყვანისცემას". (ბუხარი, მუსლიმ)

თქვა შუამავალმა ﷺ: „ვინც შეეცდება, რომ რაიმე ცუდი გაუკეთოს მედინის მცხოვრებლებს ალლაჰი გაადნობს მას მსგავსად მარილისა წყალში". (მუსლიმ)

თქვა შუამავალმა ﷺ: „მედინა უკეთესია მათთვის, რომ იცოდნენ. თუ ვინმე დატოვებს მედინას(არ უნდოდეს იქ ყოფნა), ალლაჰი შეცვლის მას იმით, ვინც უკეთესია მასზე. ხოლო ვინც გამოიჩენს სიმტკიცეს და მოითმენს შიმშილსა და სიძნელეებს, მე უეჭველად ვუშუამდგომლებ მას განკითხვის დღეს ". (მუსლიმი )

შუამავალმა ﷺ თქვა: „ჭეშმარიტად, მედინა იშორებს (ცუდ) ხალხს ისე, როგორც მჭედელი აშორებს ჟანგს რკინიდან ".

## შუამავლის ﷺ მეჩეთი და მეჩეთი ყუბა'

მედინაში არის ორი უდიდესი მეჩეთი, ესენია:

ძვირფასი შუამავლის ﷺ მეჩეთი. ამ მეჩეთის მადლზე მოვიდა ჰადისები . მათგან არის: თქვა შუამავალმა ﷺ: "არ გაემართო სამოგზაუროდ არსად გარდა ამ სამი მეჩეთისა : ჰარამის მეჩეთი, ეს ჩემი მეჩეთი და ალ-აყსას მეჩეთი". (ბუხარი, მუსლიმ)

ასევე, მოსულია მტკიცებულებები ამ მეჩეთში ნალოცის უპირატესობაზე. თქვა შუამავალმა ﷺ: " ჩემს ამ მეჩეთში ნალოცი უდრის სხვა მეჩეთში ნალოც 1000 ლოცვას, გარდა ჰარამის მეჩეთისა". (ბუხარი, მუსლიმ)

## განმარტებები შუამავლის ﷺ მეჩეთზე

პირველი: ამ მეჩეთში ნალოცი უდრის 1000 ლოცვას ნიშნავს, არა მარტო სავალდებულო ლოცვებს არამედ, ნებაყოფლობით ლოცვებსაც.

მეორე: ჰადისებში მოცემული მადლის დამატება გულისხმობს ყველა დამატებას მეჩეთში.

მესამე: ლოცვის შესრულება პირველ რიგებში უკეთესია, ვიდრე ბოლო რიგებში. თქვა შუამავალმა ﷺ: "კაცების საუკეთესო რიგები წინა რიგებია , ხოლო უარესი რიგები უკანა რიგებია".

მეოთხე: მადლის ათასამდე გამრავლება ეხება მეჩეთში და მის ეზოში შესრულებულ ლოცვას, ხოლო მის ქუჩაზე შესრულებულ ლოცვას არ ემატება მადლი. მაგრამ ჩაითვლება კოლექტიურ ლოცვად, თუ მისი მწკრივები დარღვეული არ არის და შეერთებულია.

მეხუთე: ბევრი ხალხი მიიჩნევს, რომ მედინაში ჩამოსვლისთანავე აუცილებელია ოთხი მუხლი ლოცვის შესრულება. ეს ჰადისი არის სუსტი და არ არის მიღებული.

მეექვსე: ბევრი მუსლიმი აშენებს შუამავლის ﷺ მეჩეთის მსგავს მეჩეთებს და მარხავენ მასში თავიანთ მკვდრებს და ამას ხსნიან იმით, რომ შუამავლის ﷺ მეჩეთში არისო საფლავი. ამისი პასუხი შემდეგია: შუამავალი ﷺ არის ის , ვინც ააშენა ეს მეჩეთი, ასევე ააშენა სახლები, რომელთაგან ერთ - ერთი იყო აიშას სახლი, სადაც შუამავალი ﷺ იქნა დასაფლავებული. ეს სახლი მდებარეობს მეჩეთის გარეთ, გვერდითა მხარეს. ბანუ ომაიას ხალიფატის დროს ეს მეჩეთი იქნა გადიდებული და შევიდა აიშას სახლიც, რომელშიც შუამავალია ﷺ დასაფლავებული. შუამავლისგან ﷺ გადმოცემულია ჰადისები, სადაც ის კრძალავს საფლავებზე მეჩეთების აშენებას.

მათ შორის არის ჯუნდუბ ბნუ აბდულლაჰ ალ-ბაჯლის ჰადისი, რომელმაც გაიგონა ხუთი დღით ადრე სიკვდილამდე, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: " ჭეშმარიტად მე უარვყოფ ალლაჰის წინაშე, რომ მყავდეს ხალილი(რჩეული, დაახლოებული) თქვენთაგან, ჭეშმარიტად ალლაჰმა ამირჩია მე თავის ხალილად ისევე, როგორც ამოარჩია იბრაჰიმი. მე რომ შემეძლოს ვინმეს არჩევა ჩემს ხალილად მე ავირჩევდი აბუ ბაქრს. ჭეშმარიტად, თქვენს წინ მცხოვრებლებმა თავიანთი მოციქულების სასაფლაოები აქციეს სათაყვანო ადგილებად, თქვენ არ გადააქციოთ სასაფლაოები მეჩეთებად, რადგან მე გიკრძალავთ ამას". (მუსლიმ)

როდესაც შუამავალი ﷺ სიკვდილის პირას იყო მან აკრძალა უმმეთისთვის, რომ სასაფლაოები გადაექციათ მეჩეთებად, როგორც მოსულია ორივე საჰიჰ კრებულში აიშასგან და იბნ აბბასისგან, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: " ალლაჰის წყევლა არის ქრისტიანებზე და იუდეველებზე, რომლებმაც გადააქციეს თავიანთი შუამავლების საფლავები სალოცავებად". და აკრძალა მან ეს საქმე მის უმმეთზე.

მუსლიმისთვის აკრძალულია, რომ უარყოს ეს ჰადისები და შეხედოს უმაიების ხალიფას მიერ გაკეთებულ ქმედებას, რომლის გამოც ტერიტორია გადიდდა და შეუერთდა მეჩეთს. ბევრმა სწავლულებმა ეს ქმედება გაკიცხეს და თქვეს, რომ ხალხმა შეიძლება ამით ცუდი მაგალითი აიღოს და იფიქრონ, რომ მეჩეთი საფლავზეა აშენებული. რაც არის მცდარი აზრი.

## მეჩეთი ყუბა'

ეს არის მეორე მნიშვნელოვანი მეჩეთი მედინაში, რომელიც გახდა ღვთისმსახურების საფუძველი პირველივე დღიდან.

შუამავლისგან ﷺ გადმოცემულია ამ მეჩეთში შესრულებული ლოცვის მადლზე, ქმედებებით და სიტყვებით.

რაც შეეხება ქმედებას: აბდულლაჰ იბნ უმარი გადმოსცემს, რომელმაც თქვა: " შუამავალი ﷺ მოდიოდა ყოველ შაბათს მეჩეთ ყუბაში ფეხითაც და ამხედრებულიც და ლოცულობდა მასში ორ მუხლს". (ბუხარი მუსლიმ)

რაც შეეხება სიტყვას : საჰლ ბნუ ჰანიფისგან, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: "ვინც განიწმინდება თავის სახლში, წავა ყუბაში და ილოცებს ორ რაქათს, მას დაეწერება უმრას შესრულების მადლი". (იბნ მაჯა და სხვა)

**აქ ლოცვა იგულისხმება, როგორც სავალდებულო ასევე ნაფილი.**

სუნნაში არაფერია მოსული სხვა მეჩეთებზე გარდა ამ ორის მეჩეთისა.

## მონახულების ნორმები: რას განიზრახავს მომნახველი ზიარეთის დროს?

აუცილებელია, რომ იცოდეს ზიარეთის დაკანონებული უფლებები იმან, ვინც გადაწყვეტს მედინაში ჩასვლას, ის მიემგზავრება შუამავლის ﷺ მეჩეთის მოსანახულებლად. როგორც მოსულია ჰადისში: " არ გაემგზავროთ არსად გარდა ამ სამი მეჩეთისა: ჰარამის მეჩეთში, ალ-აყსას მეჩეთში და ამ ჩემს მეჩეთში“.

ეს ჰადისი მიუთითებს მოგზაურობის აკრძალვაზე ნებისმიერ ადგილას, გარდა ამ სამი მეჩეთისა იმისთვის, რომ მუსლიმი დაახლოვდეს ალლაჰს იმ ადგილებში გამგზავრებით, როგორც მოსულია ან-ნასაის სუნნაში აბუ ჰურაირასგან, რომელმაც თქვა: "მე შევხვდი ბასრა იბნ აბუ ბასრა ალ-ღიფარის, მან მკითხა : საიდან მოდიხარ? მე ვუპასუხე: ტურიდან. მან მითხრა: რომ შეგხვედროდი უფრო ადრე, სანამ მოხვიდოდი იქიდან - არ მოხვიდოდი. მე ვკითხე: რატომ ? მან მიპასუხა: ჭეშმარიტად მე გავიგონე, რომ შუამავალმა ﷺ თქვა:" არ შეასრულო მოგზაურობა გარდა სამი მეჩეთისკენ ….“. ეს არის საჰიჰი ჰადისი.

## მედინაში მონახულებისთვის დაკანონებული ადგილები

ვინც გაემგზავრება დალოცვილ მედინაში მან უნდა მოინახულოს ორი მეჩეთი და სამი სასაფლაო.

რაც შეეხება ორ მეჩეთს, ესენია: შუამავლის ﷺ მეჩეთი და ყუბას მეჩეთი. ჩვენამდე მოსულია ჰადისები, რომლებიც მიუთითებს ამ მეჩეთებში ლოცვის მადლზე.

რაც შეეხება სამ სასაფლაოს, რომელთა მონახულებაც შეიძლება არის : შუამავლის ﷺ საფლავი, მისი ორი საჰაბას ომარის და აბუ ბაქრის საფლავი, ბაყიას სასაფლაო და უჰუდის შაჰისების სასაფლაო.

## შუამავლის ﷺ და მისი ორი საჰაბას საფლავის მონახულება:

მომნახველი უნდა შემოვიდეს იემენის მხრიდან, მივიდეს სასაფლაოსთან და მოინახულოს ის ისე, როგორც შარიათით არის დაკანონებული და არა ბიდ'ათით.(სიახლის მიმდევრების მსგავსად)

**შარიათული მონახულება:** მიესალმოს შუამავალს ﷺ და წარმოთქვას მისთვის ვედრება ნელი ხმით : ასსალამუ ალაიქა ია რასულალლაჰ, ვა რაჰმათულლაჰი ვა ბარაქათუჰ, სალლა ლლაჰუ ვა სალლამ ვა ბაარიქ 'ალაიქ. ვა ჯაზააქა აფდალ მინა ჯაზაა ნაბიიი 'ან უმმათი ". შემდეგ ესალმები აბუ ბაქრს და უმარს და შესთხოვ მათთვის ალლაჰს.

რაც შეეხება ბიდ'აა მიმდევრების ზიარეთს:

ის შედგება შემდეგი მოქმედებებისაგან:

პირველი: ისინი ითხოვენ შუამავლისგან ﷺ , რომ დაეხმაროს მათ. მოაშოროს მათი წუხილი, მოაგვაროს მათი პრობლემები და ა.შ. იმას, რაც უნდა სხოვონ მხოლოდ ალლაჰს. ჭეშმარიტად, დუა იბადეთია და იბადეთი დაშვებულია მხოლოდ ალლაჰისთვის, როგორც თქვა შუამავალმა ﷺ: **"დუა იბადეთია".**

**მხოლოდ დიდებული ალლაჰია, ვინც აძლევს პასუხს დუაზე, შუამავალიც მას სთხოვდა და საჰაბებიც მაც სთხოვდნენ.**

მეორე: ხელებს აწყობენ მკერდზე ისე, როგორც ლოცვის დროს, რაც აკრძალულია. იმიტომ, რომ ეს არის ლოცვის დროს დაკანონებული ქმედება, რომელიც მიუთითებს ალლაჰზე მორჩილებაზე და მის წინაშე მოწიწებაზე. მუსლიმმა ხელები უნდა დაიწყოს მკერდზე მხოლოდ ლოცვის დროს ისე, როგორც ამას შუამავალი ﷺ და მისი საჰაბები აკეთებდნენ.

საჰაბებს არასდროს გაუკეთებიათ მსგავსი რამ, როდესაც იდგნენ მის წინაშე მის სიცოცხლეში და არც მისი სიკვდილის შემდეგ. მაგაში, რომ სიკეთე ყოფილიყო აუცილებლად გააკეთებდნენ ამას ჩვენამდე.

მესამე: ეხებიან კედლებს და ფანჯრებს, რომლებიც მისი საფლავის გარშემოა, ასევე, ნებისმიერ ადგილს მეჩეთში. ეს არ შეიძლება, რადგან არ გაუკეთებია ეს არც ერთ საჰაბას და ასეთ ქმედებას მივყავართ შირქამდე.

ან-ნავავიმ თქვა "ალმაჯმუ შარჰ ალმაზჰაბში"," შეხება და კოცნა შუამავლის ﷺ საფლავის კედლებზე ": „არ შეხედო სიახლის მიმდევარ ხალხს და მათ მსგავსებს მათ უმეცრობაში“. ორივე საჰიჰში გადმოცემულია, რომ აიშამ თქვა , თქვა შუამავალმა ﷺ: "ვინც შემოიტანს ამ რელიგიაში რაიმეს, რაც არ არის მისგან იქნება უარყოფილი."

ვინც ფიქრობს, რომ კედლებზე ხელის შეხებით მიიღებს ბარაქას, ის არის უმეცარი და უგულისყურო.

მეოთხე: მომნახველი აკეთებს ტავაფს მისი საფლავის გარშემო, ეს არის აკრძალული, რადგანაც ალლაჰმა გვიბრძანა ტავაფის გაკეთება მხოლოდ ქააბას გარშემო.

მეხუთე: ამაღლებენ ხმას მისი საფლავის წინ. ეს არის მიუღებელი, რადგანაც ალლაჰმა მიუთითა მასთან მოქცევის ნორმებზე იმ დროს, როცა შუამავალი იყო მათ შორის: თქვა ალლაჰმა: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნუ აუწევთ ხმას შუამავლის ხმაზე მაღლა და არ მიმართოთ მას ისევე ხმამაღლა, როგორც მიმართავთ ერთმანეთს. რომ არ შეიქმნას თქვენი საქმენი ამაოდ და (ამას) ვერც კი იგრძნობთ. . ეს აკრძალულია მის სიცოცხლეში და მისის სიკვდილის შემდეგაც“.

მეექვსე: ზოგი იწყებს მისალმებას მეჩეთის შორიდან, მეჩეთის ეზოდანვე ან ქუჩიდან. შეიხ იბნ ბაზმა თქვა: ეს საქმე უფრო ახლოს არის გადაზედმეტებასთან, ვიდრე გულწრფელობასთან.

ასევე განვმარტავთ: ვინც ითხოვს, რომ მისგან სალამი სხვამ გადასცეს შუამავალს ﷺ , მან უთხრას მთხოვნელს, რომ გაამრავლოს ლოცვა და სალამი შუამავალზე ﷺ და ანგელოზები გადასცემენ მას. როგორც თქვა მოციქულმა: "ჭეშმარიტად, ალლაჰს ჰყავს ანგელოზები, რომლებიც მესალმებიან და მოაქვთ ჩემამდე ჩემი უმმეთის სალამი". (საჰიჰი ჰადისი)

## შუამავლის ﷺ საფლავთან დიდხანს დგომის ჰუქმი

არ არის აუცილებელი საფლავთან დიდხანს დგომა და ზიარეთის გაკეთება., რადგანაც ეს არის ზღვარგადასულობა. ალლაჰმა ამცნო შუამავალს ﷺ, რომ ანგელოზები გადასცემენ სალამს მისი უმმეთისგან ნებისმიერი ადგილიდან. როდესაც შუამავალმა ﷺ აკრძალა მის საფლავთან დღესასწაულის მოწყობა მან თქვა: „დამლოცეთ მე, რადგან თქვენი ლოცვა ჩემამდე მოვა, სადაც არ უნდა იყოთ ". (1)

## აქვს თუ არა რაიმე კავშირი ჰაჯობას, უმრას და ზიარას(მონახულება)?

არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ჰაჯობა, უმრა და ზიარა. მას, ვინც მოვიდა ჰაჯობაზე შეუძლია დაბრუნდეს მის ქვეყანაში მედინაში ჩასვლის გარეშე. და ვინც ჩამოვიდა მედინაში შეუძლია დაბრუნდეს ჰაჯობის ან უმრას შესრულების გარეშე. ასევე, შეიძლება ერთდროულად შესრულდეს ჰაჯობა, უმრა და ზიარა მედინაში.

ჰადისები, რომლებშიც გადმოცემულია საფლავის მონახულება: "ვინც შეასრულა ჰაჯობა და არ მომინახულა, მან მე გამშორდა". და ჰადისი " ვინც მომინახულებს ჩემი სიკვდილის შემდეგ, თითქოსდა მომინახულა სიცოცხლეში " . ეს ჰადისები და მისი მსგავსნი არ გამოდგება მტკიცებულებად, რადგანაც ისინი მოგონილი და ძალიან სუსტი ჰადისებია.

## ბაყიას და უჰუდის შაჰიდების სასაფლაოს მონახულება

რაც შეეხება ბაყიას და უხუდის შაჰიდების სასაფლაოს მონახულებას, ეს მოსაწონია, თუ შესრულდება ალლაჰის კანონის დაცვით, ხოლო თუ მოხდება სიახლის მიმდევრების გზით, მაშინ ის აკრძალულია.

## შარიათული ზიარეთი(მონახულება) :

უნდა მივიდეს სასაფლაოსთან ისე, როგორც მოდიოდა შუამავალი ﷺ იმისთვის, რომ მიიღოს სარგებელი ცოცხალმა მნახველმა და მკვდარმა მოსანახულებლმა.

ცოცხალი მომნახველი იღებს სამ სარგებელს:

პირველი: იხსენებს სიკვდილს .

მეორე: აკეთებს ზიარას, რომელიც არის შუამავლის ﷺ სუნნა და ამით იღებს მადლს.

მესამე: გულწრფელად აკეთებს დუას მუსლიმებზე და ამისთვის იღებს მადლს.

რაც შეეხება მოსანახულებელ მკვდარს:

ის იღებს სარგებელს იმით, რომ მისი მომნახველი აკეთებს მისთვის გულწრფელ დუას(ვედრებას).

მომნახველმა უნდა გააკეთოს მკვდარზე დუა ისე, როგორც მოსულია შუამავლის ﷺ სუნნაში: "ასსალამუ ‘ალაიქა აჰლა დიაარ, მინა ლმუ’მინიინა ვალ მუსლიმიინა, ვა ინნაა ინ შაა ალლაჰუ ბიქუმ ლილაჰყუუნ ას’ალუ ლლააჰა ლანაა ვა ლაქუმულ ‘ააფიათა“. (მუსლიმ). "

## რაც შეეხება მონახულებას სიახლით:

ეს არის ისეთი მონახულება, რომელიც არ არის დაკანონებული შარიათში, როგორც თხოვენ დახმარებას სასაფლაოს მკვიდრებისგან, თხოულობენ მათგან შეწევნას და მათი პრობლემების მოგვარებას. ასეთი ვიზიტით მათ ზიანი მოაქვთ თავიანთი ცხოვრებისთვის, რადგან მსგავსი ქმედება აკრძალულია და არის შირქი(თანაზიარის დადგენა) ალლაჰზე. მხოლოდ ალლაჰს შეუძლია გიპასუხოს ვედრებებზე და არა მკვდარს.

## ქალისთვის შუამავლის ﷺ მეჩეთის მონახულების ჰუქმი:

ქალების მიერ სასაფლაოს მონახულების საკითხი:

უმრავლესობა იხრება იმისკენ, რომ ეს არის აკრძალული; როგორც თქვა შუამავალმა ﷺ : " ალლაჰმა დაწყევლა სასაფლაოს მომნახველი ქალები ". ჰადისი არის ჰასან-საჰიჰ.

ასევე, ქალებს აქვთ სისუსტე და მოთმინების ნაკლებობა, ისინი ვერ იკავებენ თავს ხმამაღალი ტირილისგან და გოდებისგან. ამიტომ, უფრო გონივრული იქნება ვთქვათ, რომ ეს არის აკრძალული. რადგან თუ ქალი არ ივლის სასაფლაოზე, ის არ გავა სახლიდან აუცილებლობის გარეშე, ხოლო თუ გავა (სასაფლაოზე) შეიძლება წყევლის საფრთხის ქვეშ მოიქცეს.

**ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს ჩვენს შუამავალს ﷺ, მის ოჯახსს და ყველა მის საჰაბებს.**

## რჩევები და მითითებები შუამავლის ﷺ მეჩეთის მოსანახულებლად

ჩემო ძვირფასო მომნახველო:

სრულიად გულწრფელად გიხსნით, რისი გაკეთება არ შეიძლება შუამავლის ﷺ მეჩეთში, რომ გაუფრთხილდეთ მას და გაშორდეთ.

იმისათვის, რომ თქვენი ზიარეთი იყოს სრულყოფილი, რომ დაიცვას ალლაჰმა თქვენი საქმეები და გაამარავლოს მისი მადლი.

ზოგიერთი მომნახველი თავს იმართლებს მის კეთებაში, რაც არ შეიძლება და ამბობს, რომ მას კარგი განზრახვა აქვს. მაგრამ ეს არ მოიტანს მას სარგებელს ალლაჰის წინაშე. არ ეპატიება მას ემოციებზე აყოლიება და არ ეხსნება პასუხისმგებლობა, რადგან მუსლიმმა უნდა მიყვეს შუამავლის ﷺ სუნნას არ დაამატოს და არ მოაკლოს მას რაიმე.

ალლაჰმა გაკიცხა ის, ვინც უფლება მისცა ემოციებს მართოს ის და თქვა: „გინახავს ის, ვინც თავისი ვნება აქცია ღვთაებად; განა იქნები შენ მისი დამცველი?“

ამიტომაც სავალდებულოა შენთვის, რომ გაითვალისწინო შემდეგი რჩევები:

- ეცადე გააკეთო ზიქრი შუამავლის ﷺ მეჩეთში შესვლის და გამოსვლის დროს.
- არ გადახვიდე ზღვარს შუამავლის ﷺ მეჩეთთან და იჯექი მშვიდად და მორიდებით.
- არ აუწიო ხმას შუამავალზე ﷺ მისალმებისას და გაერიდე მასში აკრძალულ ქმედებებს.
- არ შეეხო მეჩეთის კედლებს, ბოძებს, მინბარს, მიჰრაბს, ფანჯრებს და ა.შ. მადლის ან ბარაქის მიღების მიზნით, რადგანაც ეს აკრძალულია.
- ვედრების დროს არ მიუბრუნდე შუამავლის ﷺ ოთახისკენ, რადგან დუას ყიბლა მხოლოდ ქა’ბაა.
- არ მიუბრუნდე ვედრების დროს შუამავლის ﷺ მინბარისკენ. საკმარისია სალამი გაუგზავნო მას და მის საჰაბებს.
- არ შეიძლება თან ატარო რაიმე სპეციალური ვედრებების წიგნები, დააწყო ისინი ფანჯრებთან ან ეზოში, რადგან ეს გასაკიცხი საქმეა.
- არ შეიძლება შუამავლის საფლავის გარშემო ტავაფის გაკეთება, რადგან ტავაფი მხოლოდ ქააბას გარშემო კეთდება, როგორც გვიბრძანა ალლაჰმა და მისმა შუამავალმა ﷺ.
- ეცადე ჩემო ძმაო - გაამრავლო ალლაჰზე მორჩილება, კარგი საქმეების კეთება მედინაში ყოფნის დროს, ილოცე ფარდი ლოცვები კოლექტიურად და გაამრავლე ნებაყოფლობითი ლოცვები დალოცვილ ბაღში.
- თუ გინდა, რომ ილოცო დალოცვილი ბაღის პირველ მწკრივში უნდა მიხვიდე მეჩეთში ადრიანად და არ დააგვიანო, რომ დაიკავო რიგების წინა ადგილი.
- არ გაიარო მლოცველებს წინ.
- შეეცადე ძვირფასო ძმაო, რომ ჩაიცვა საუკეთესო სამოსი სუფთად და კარგი სუნით.

- დაიცავი შუამავლის ﷺ მეჩეთის და მისი ეზოს სისუფთავე. არ შეუშალო ხელი მლოცველებს, არ გადააფურთხო და არ მოხოცი ცხვირი ხალხთან.
- არ დატოვო შენი შვილები უყურადღებოდ მეჩეთში, რომ იხმაურონ და ხელი შეუშალონ მლოცველებს, რადგან ეს ეწინააღმდეგება შუამავლის ეთიკის ნორმებს.
- გაერიდე ხალხმრავალ ადგილას და დაიკავე ადგილი იქ, სადაც ნაკლები ხალხია.
- შენ უნდა იყო მშვიდი და არ უნდა ირბინო, როდესაც შედიხარ დალოცვილ წმინდა ბაღში.
- არ გაიტანო შუამავლის ﷺ მეჩეთიდან ყურანის ეგზემპლარები, რადგან ისინი მეჩეთის კუთვნილებაა.
- გაამრავლე ვედრება და ბევრი პატიება შესთხოვე ალლაჰს.
- არ გაასწრო იმამს ლოცვის დროს, როცა პირველ რიგებში ხალხმრავლობაა.
- თუ დაინახე, რომ კარებთან ბევრი ხალხია ცოტა ხანს უნდა გაჩერდე გარეთ, სანამ ხალხი დაიკლებს.
- მოერიდე მეჩეთის ეზოში ძილს.
- არ დაჯდე მეჩეთის ეზოში მაშინ, როცა მეჩეთის შიგნით თავისუფალი ადგილებია.
- მოსაწევის მოხმარება ჰარამია და ის არის უზნეობა. აკრძალულია მისი გამოყენება მეჩეთის ეზოში ან მის გარეთ შემოსასვლელში თუ ქუჩებში.
- ყოველ მუსლიმზე ვალდებულებაა, რომ გაწმინდოს ჰარამის ორივე მეჩეთი თამბაქოსგან, რადგანაც ეს ორი არის ყველაზე სუფთა ადგილი დედამიწაზე და ვინც ირწმუნა ალლაჰის დაე, ეშინოდეს მისი და არ მიაყენოს ზიანი ალლაჰის მონებს და მის ანგელოზებს ამ წმინდა ადგილებში.
- მეჩეთის ყველა კარს აქვს ნომერი და სახელი, ძვირფასო ძმაო, შენ უნდა დაიმახსოვრო იმ კარის ნომერი საიდანაც შეხვედი, რომ იქიდანვე გამოხვიდე.
- როდესაც კარადაში შეინახავ შენს ფეხსაცმელს აუცილებლად უნდა დაიმახსოვრო ადგილი, სადაც შეინახე.
- შეეცადე, რომ დაეხმარო შუამავლის ﷺ მეჩეთში მომუშავე ხალხს, რომლებიც ცდილობენ რომ მოგემსახურონ და გაგიადვილონ შენი იქ ყოფნა.

**ალლაჰმა დაგეხმაროს, გაპატიოს შეცდომები და მიიღოს შენგან მორჩილება და თაყვანისცემა.**

## დაახლოება და მისი წესები :

დაახლოება: შუამდგომლის აყვანა: ყველაფერი, რასაც მივყავართ მიზნისკენ.

დაახლოება ალლაჰის ვედრებაში: როდესაც მთხოვნელი იღებს მიზეზად რაიმეს იმისთვის, რომ მისი ვედრება მიიღოს ალლაჰმა. აუცილებელია, რომ ეს იყოს მიღების მიზეზი და არ არსებობს ის გარდა შარიათის გზით. და ვინც აიყვანს შუამდგომლად რაიმეს მისი ვედრების მიღების მიზნით გარდა იმისა, რაც დამტკიცებულია შარიათში, ის ლაპარაკობს ალლაჰზე ცოდნის გარეშე. როგორ შეიძლება ვედრების მიღების მიზეზად გახდეს ისეთი გზა, რომლითაც ალლაჰი არ არის კმაყოფილი?!

ვედრება არის თაყვანისცემა და თაყვანისცემის ფორმა დამტკიცებულია შარიათში. ალლაჰმა გაკიცხა ის, ვინც მიყვა რაიმე კანონს ან წესს მისი ნების გარეშე და გახადა ის შირქიდან. ალლაჰმა თქვა:“ მათ დაიდგინეს ღმერთებად მათი მწიგნობრები და ბერები, ალლაჰის მაგივრად, ასევე მესია, მარიამის შვილი. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, რომ მხოლოდ ალლაჰისათვის თაყვანი ეცათ. არ არსებობს ღვთაება, მის გარდა. დიდება მას! შორსაა იმისაგან, რასაც თანაზიარად უდგენენ“.

## დაახლოება ალლაჰის ვედრებაში ორგვარია:

პირველი: დაახლოება ალლაჰის სახელებით, მისი ხარისხებითა და ქმედებებით. თქვა ალლაჰმა: „ალლაჰისაა უმშვენიერესი სახელები“.და ამბობს: ო მოწყალე, შემიწყალე! ო მპატიებელო, მაპატიე! და ა.შ.

შუამავლის ﷺ ჰადისიდან, სადაც ამბობს: "ო, ღმერთო! შენი ცოდნა დაფარულია, შენი ძლევამოსილებით ქმნილებებზე, შეინახე ჩემი სიცოცხლე, თუ იქნება ჩემთვის უკეთესი (სიცოცხლე)". (ან-ნასაი)

მეორე: ალლაჰთან დაახლოება რწმენით და მასზე მორჩილებით. როგორც თქვა ალლაჰმა გონივრულ ხალხზე: „ღმერთო ჩვენო! ჩვენ ვუსმენდით მხმობელს, რომელიც გვიხმობდა: ირწმუნეთ თქვენი ღმერთიო! და ჩვენც ვირწმუნეთ. ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენი ცოდვები და განგვწმინდე ჩვენ სიავეთაგან და განგვასვენე სიკეთისმქმნელებთან ერთად“.

მესამე: ალლაჰთან დაახლოება იმ მდგომარეობის მოხსენიებით, რაშიც იმყოფება ადამიანი, როგორც თქვა ზაქარიამ მშვიდობა მას: "უთხრა: ღმერთო ჩემო, დამიუძლურდა ძვლები და თავიც გამიჭაღარავდა, მე კი არ ვყოფილვარ შენდამი ვედრებისას უბედური".

მეოთხე: ალლაჰთან დაახლოება იმის ვედრებით, ვის ვედრებაზე პასუხის მიღების იმედიც აქვს. როგორც საჰაბებმა შესთხოვეს შუამავალს ﷺ, რომ მათთვის შეევედრა ალლაჰს როგორც კაცმა, რომელიც შევიდა პარასკევის დღეს და შუამავალი ﷺ

კითხულობდა ხუტბას და კაცმა სთხოვა: "შესთხოვე ალლაჰს, რომ დაგვეხმაროს". (ბუხარი, მუსლიმ)

ეს დაშვებულია, მხოლოდ მაშინ როცა კაცი ცოცხალია და თუ ის მკვდარია არ შეიძლება, რომ შესთხოვოს შუამდგომლობა გაგიწიოს. მკვდარს არ შეუძლია არაფერი, მან უკვე დატოვა ეს სამყარო.

უმარ იბნ ალ-ხატტაბის დროს, როცა იყო ძლიერი გვალვა საჰაბებს არ უთხოვიათ შუამავლისთვის, რომ წვიმა წამოსულიყო. არამედ, მათ სთხოვეს აბბასს, რომ გაეკეთებინა დუა და უთხრა: ო აბბას დადექი და შესთხოვე ალლაჰს, რომ გამოგვიგზავნოს წვიმა. მანაც შესთხოვა ალლაჰს. (ბუხარი)

## მეორე ნაწილი: დაახლოება, რომელიც არ არის დაკავშირებული შარიათთან. ის არის ორი სახის:

პირველი: შუამდგომლობა, რომელიც ანულირებულია შარიათით. როგორიც არის დაახლოება ურწმუნოების თავიანთ ღმერთებთან და ეს არის ნათელი ტყუილი.

მეორე: შუამდგომლობა, რომელიც არ არის შარიათიდან. ეს არის აკრძალული და შირქის ნაწილი. როგორიც არის: როცა ერთი კაცი სთხოვს მეორე გავლენიან კაცს უშუამდგომლოს მას ალლაჰთან და ამბობს: მე გთხოვ შენ შუამავლის გავლენით, ან მისი გულისთვის. მსგავსი რამ არ არის შარიათში მიღებული და აკრძალულია.

## შუამავლის ﷺ მეშვეობით დაახლოების ჰუქმი:

დაახლოება შუამავლის ﷺ მეშვეობით სამი სახისაა:

პირველი: დაახლოება მისი რწმენით (შუამავლის) და მასზე დაჯერებით. ეს ნებადართულია მის სიცოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც.

მეორე: დაახლოება მისი ვედრებით: ანუ, სთხოვ შუამავალს ﷺ, რომ შეევედროს ალლაჰს შენთვის. ეს ნებადართულია მის სიცოცხლეში და აკრძალულია მისი სიკვდილის შემდეგ. რადგან მისი სიკვდილის შემდეგ ეს შეუძლებელია.

მესამე: დაახლოება მისი წოდებით და ალლაჰთან განსაკუთრებული მდგომარეობით. ეს აკრძალულია მის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც.

შეკითხვა: მოვედი შუამავლის ﷺ საფლავთან და ვთხოვ მას, რომ მაპატიოს და გამიწიოს შუამდგომლობა ალლაჰთან. შეიძლება თუ არა მსგავსი რამ?

პასუხი: არ შეიძლება!

გადმოცემულია უთბასგან, რომ მივიდა ბედუინი შუამავლის ﷺ საფლავთან და თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰმა თქვა :“ ჩვენ არც ერთი შუამავალი არ წარმოგვიგზავნია, თუ არა იმისთვის, რომ დამორჩილებოდნენ ალლაჰის ნებით. და როცა თავიანთ თავს ავნებდნენ, შენთან რომ მოსულიყვნენ და მიტევება ეთხოვათ ალლაჰისთვის, და

მიტევება ეთხოვა მათთვის შუამავალს, უეჭველად, ჰპოვებდნენ ალლაჰს მიმტევებელს,მწყალობელს!“

მოვედი შენთან, რომ გთხოვო ჩემს ცოდვებზე პატიება, რომ მიშუამდომლო ჩემს ღმერთთან. ეს გადმოცემა არის არასანდო და ტყუილი.

ხოლო ეს აიათი არ არის მტკიცებულება იმაზე. რადგან თქვა ალლაჰმა : ولم انهم اذا ظلموا და არ უთქვამს اذا ظلموا أنفسهم

და اذ არ მიუთითებს მიმართვაზე, აიათი ეხება იმ ხალხს, რომლებიც განსჯიდნენ ან სურდათ რომ განესაჯათ არა ალლაჰის და მისი შუამავლის ﷺ კანონით, რაზეც მიუთითებს მისი წინა და მომდევნო კონტექსტი.

შუამავლისთვის ﷺ პატიების თხოვნა მისი სიკვდილის შემდეგ შეუძლებელია, რადგანაც თქვა ალლაჰმა: „ჩვენ არც ერთი შუამავალი არ წარმოგვიგზავნია, თუ არა იმისთვის, რომ დამორჩილებოდნენ ალლაჰის ნებით. და როცა თავიანთ თავს ავნებდნენ, შენთან რომ მოსულიყვნენ და მიტევება ეთხოვათ ალლაჰისთვის, და მიტევება ეთხოვა მათთვის შუამავალს, უეჭველად, ჰპოვებდნენ ალლაჰს მიმტევებელს, მწყალობელს!“. " როდესაც მოკვდება მონა შეწყდება ყველა მისი საქმე, გარდა სამისა: უწყვეტი მოწყალება, ცოდნა, რომლითაც სარგებელს იღებენ და შვილი, რომელიც დუას აკეთებს მასზე. " (მუსლიმი)

## მართლმორწმუნეების მეშვეობით დაახლოების ჰუქმი:

მართლმორწმუნეების მეშვეობით დაახლოება ორი სახისაა:

პირველი: დაახლოება მათი ვედრებებით. არ არის ამაში პრობლემა, რადგანაც საჰაბები სთხოვდნენ შუამავალს, რომ ეთხოვა მათთვის. ასევე უმარ იბნ ალ-ხატტაბმა სთხოვა შუამავლის ﷺ ბიძას ალ-აბბას ბნუ აბდულ მუტალლიბს, რომ ეთხოვა ალლაჰს წვიმა წამოსულიყო.

მეორე: დაახლოება რომელიმე ნივთით ან ადამიანით. ეს არის სიახლე რელიგიაში და შირქია. რადგანაც არ არის ცნობილი, რომ შუამავლის ﷺ დროს ვინმე აკეთებდეს მსგავს რამეს. ეს არის შირქიდან. ყველა ვისაც სჯერა, რომ მიზეზი ხდება ისეთი რამ, რაც არ არის შარიათში არის შირქი.

ალლაჰმა მოგვცეს წარმატება.

## საჰიჰი ზიქრების და ვედრებების მოკლე კრებული:

მნიშვნელოვანი განმარტება:

არსებობს თუ არა გარბენისთვის ან ტავაფისთვის სპეციალური ვედრებები, და რა არის სპეციალური წიგნებიდან დუების კითხვის ჰუქმი?

შეეკითხეს ჩვენს ძვირფას შეიხს აბდულაზიზ ბნუ აბდულლაჰ იბნ ბაზს:

არსებობს თუ არა ტავაფის და გარბენის კონკრეტული ვედრებები, როგორც ზოგ წიგნებშია შეკრებილი?

შეიხის პასუხი: ვედრებების და ზიქრების წაკითხვა შეიძლება მხოლოდ ისე, როგორც დააკანონა ალლაჰმა თავის რელიგიაში და არ არსებობს რაიმე კონკრეტული ვედრება ამ თაყვანისცემებისთვის. გარდა იმისა, რაც მოვიდა სუნნაში და ეს არის ტავაფის დროს ყოველი წრის დასრულებისას ამბობ: " რაბბანაა აათინაა ფი დუნია ჰასანათან ვა ფილ აახირათი ჰასანათან ვა ყინაა აზააბა ნნაარ". იემენური და შავ ქვას შორის აკეთებ თაქბირებს(ალლაჰუ აქბარ) . ასევე, შავ ქვასთან შეხების დროს აკეთებ თაქბირებს. ხოლო როდესაც ესალმები მას ხელის აწევით ამბობ: " ბისმილლაჰ, ალლაჰუ აქბარ".

საფა და მარვაზე დაკანონებული ზიქრები და ვედრებები, რომლებიც ნახსენებია შუამავლის ﷺ სუნნაში. ქააბასთან მიახლოების დროს ამბობ : ان الصفا والمروة من الشعائر الله გარბენის წინაც ამბობ იგივეს.

შეეკითხეს პატივცემულ შეიხს მუჰამმად იბნ სალიჰ ალ-უსაიმინს:

გთხოვთ , განგვიმარტოთ იმ წიგნის ჰუქმი, რომელსაც დაატარებენ პილიგრიმები და რომელშიც მოცემულია ზიარებისა ვედრებები. არის ეს შუამავლის ﷺ სუნნადან?

შეიხის პასუხი: მკითხველი გულისხმობს პატარა ბროშურებს, რომლებიც აქვთ ხოლმე პილიგრიმებს და მათში მოცემულია ვედრებები ყოველი წრისთვის: პირველ წრეზე ერთი ვედრება, მეორეზე მეორე და ა.შ. ეს არის ბიდ'ა (სიახლე) ფაკიხების ერთხმოვანებით, ბიდ'ა არ მოგიმატებს შენ არაფერს, გარდა ცოდვისა. შუამავალმა ﷺ თქვა: "გაფრთხილდით რელიგიაში სიახლის მოტანისგან, რამეთუ ყოველი სიახლე გზააბნეულობაა და ყოველი გზააბნეულობა ცეცხლშია". (ან-ნასაი)

რომელ ჰადისების კრებულშია ეს ვედრებები მოცემული? ბუხარის, მუსლიმის, ნასაის, თირმიზის თუ სხვა რომელიმეში? სად არის მანდ ვედრებები ყოველი წრისთვის? -ადამიანი, რომელიც იყენებს ამ ვედრებებს არ ემატება მას არაფერი, გარდა ალლაჰთან განშორებისა და გზააბნეულობისა. იკითხე ის, რაც სუნნაშია მოცემული და შესთხოვე ალლაჰს, რაც გსურს. ხოლო ამ კრებულების თან ტარება მხოლოდ ცოდვაში გაგდებს და შეცდომაში.

ამ კრებულებში ასევე შეგვხვდება ისეთი ვედრებები, რომლის მნიშვნელობაც არ იციან.

ასევე შეეკითხეს შეიხს , შეიძლება თუ არა თან ვატარო რაიმე წიგნაკი ან ფურცელი, რაზეც დავწერ ზიქრებს და ვედრებებს რომელთა დამახსოვრებაც მიჭირს?

პასუხი: არ არის პრობლემა ამაში. თუ ჩაიწერ ვედრებას, რომელიც უნდა წაიკითხო და გავიწყდება. თუ ეს ვედრებები არ არის კონკრეტული წრეებისთვის ან სიახლიდან.

## მეორე: ვედრების ნორმები და მისი მიღების მიზეზები

დიდება ალლაჰს, მთხოვნელისთვის პასუხის გამცემს, რომელმაც გვიბრძანა შევევედროთ მას და რომელმაც შეგვპირდა პასუხი ვედრებაზე და რომელმაც თქვა:

"შემევდრეთ მე და მე გიპასუხებთ".

ლოცვა და მშვიდობა ჩვენს მოციქულს მუჰამმად აბდულლაჰის ძეს, რომელმაც მოგვიტანა ყველა ზიქრი და ვედრება და თქვა: "ვედრება თაყვანისცემაა" .(საჰიჰი ჰადისი)

საუკეთესო ზიქრი და ვედრება არის ის, რომელიც აღებულია ალლაჰის სიტყვიდან და შუამავლის ﷺ სუნნადან.

დუას(ვედრებას) აქვს თავისი ნორმები, რომლებიც მუსლიმმა უნდა შეასრულოს იმისთვის, რომ მის ვედრებაზე მიიღოს პასუხი. მათ შორის არის:

ყველა ცოდვის მონანიება ალლაჰის წინაშე . უარის თქმა მათზე და სინანული იმაზე რაც ჩაიდინა. მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ არ დაუბრუნდება მას და დაუბრუნებს ყველას მის უფლებას და ვალს.

გულწრფელობა დიდებული ალლაჰის მიმართ: "როგორც თქვა დიდებულმა: „იგი უკვდავია! არ არსებობს ღვთაება მის გარდა. მოუხმეთ მას მისადმი ხალასი რწმენით. ქება-დიდება ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს!“

დაემორჩილო ალლაჰის ბრძანებებს და გაერიდო მის აკრძალვებს. გაახშირო ნებაყოფლობითი თაყვანისცემის სახეობები.

გამოიჩინო სრული მორჩილება, შენთვის ალლაჰის საჭიროება და უსიტყვოდ მოყოლა მის ბრძანებებზე.

შენი სამოსი, საჭმელი და სასმელი იყოს ჰალალი და სწორი გზით ნაშოვნი, რადგან ალლაჰი არის კარგი და იღებს მხოლოდ კარგს. ( انما يتقبل الله من المتقين)

გამოიყენო ის დროები და ადგილები, სადაც იზრდება მადლი და გარდმოევლინება მოწყალებები. როგორიც არის ჰარამის მეჩეთი და სხვა წმინდა ადგილები.

ადიდე და შეაქე ალლაჰი. დალოცე მისი შუამავალი შენი ვედრების დროს. ის ყველაზე მეტად იმსახურებს პასუხს.

შესთხოვე ალლაჰს მისი საუკეთესო სახელებითა და ხარისხებით.

გქონდეს მტკიცე რწმენა, რომ მიიღებ პასუხს დიდებული ალლაჰისგან. არ გაკიცხო ის და არ გაამაყდე.

გაიმეორე ვედრება ხშირად და იყავი მასში შეუპოვარი. ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს შეუპოვრები ვედრებაში.

## ზიქრები და ვერდები

"الْحَمْدُ لِلَّهِ الَّذِي لَهُ مَا فِي السَّمَاوَاتِ وَمَا فِي الْأَرْضِ وَلَهُ الْحَمْدُ فِي الْآخِرَةِ وَهُوَ الْحَكِيمُ الْخَبِيرُ"

ქება-დიდება ალლაჰს, რომლისაცაა ყოველივე, რაც ცათა შინაა და რაც ქვეყანასა ზედაა და მასვე ეკუთვნის ქება-დიდება საიქიოშიც. იგია ბრძენი, ყოვლისმცოდნე.

اللَّهُمَّ صَلِّ عَلَى مُحَمَّدٍ وَعَلَى آلِ مُحَمَّدٍ كَمَا صَلَّيْتَ عَلَى إِبْرَاهِيمَ وَعَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيد ، اللَّهُمَّ بَارِكْ عَلَى مُحَمَّدٍ وَعَلَى آل مُحَمَّدٍ كَمَا بَارَكْتَ عَلَى إِبْرَاهِيمَ وَعَلَى آلِ إِبْرَاهِيمَ إِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيد.

ღმერთო დალოცე მუჰამმადი და მისი ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმი და მისი ოჯახი, ღმერთო ბარაქა მიეცი მუჰამმადს და მის ოჯახს, როგორც იბრაჰიმს და მის ოჯახს, ჭეშმარიტად შენ ხარ ქებული და დიდებული.

"حَسْبِيَ اللَّهُ لَا إِلَٰهَ إِلَّا هُوَ ۖ عَلَيْهِ تَوَكَّلْتُ ۖ وَهُوَ رَبُّ الْعَرْشِ الْعَظِيمِ"

ჩემთვის ალლაჰი კმარა! არ არსებობს ღვთაება, მის გარდა. მხოლოდ მას მოვიიმედებ, რამეთუ იგია ღმერთი დიადი ‘არშისა!

"هُوَ الرَّحْمَٰنُ آمَنَّا بِهِ وَعَلَيْهِ تَوَكَّلْنَا"

ის არის მოწყალე, ვირწმუნეთ მისი და მას მოვიიმედებთ

"لا إلهَ إلاَّ اللهُ وحْدهُ لاَ شَرِيكَ لهُ، لَهُ المُلْكُ، ولَهُ الحمْدُ، وَهُو عَلَى كُلِّ شَيءٍ قَدِيرٌ"

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მას ეკუთვნის მეუფება, და მას ეკუთვნის დიდება, და ის არის ყოვლისშემძლე.

سُبْحَانَ اللهِ، وَالْحَمْدُ لِلَّهِ، وَلَا إِلَهَ إِلَّا اللهُ، وَاللهُ أَكْبَرُ

ქება ალლაჰს, დიდება ალლაჰს, არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა და ალლაჰი უდიდესია.

لاَ إله إلاَّ اللَّه وحدَهُ لا شرِيكَ لهُ، اللَّه أَكْبَرُ كَبِيرًا، والحمْدُ للَّهِ كَثيرًا، وسُبْحانَ اللَّه ربِّ العالمِينَ، وَلاَ حوْل وَلا قُوَّةَ إلاَّ باللَّهِ العَزيز الحكيمِ اللَّهُمَّ اغْفِرْ لِي وارْحمني. واهْدِني، وارْزُقْني

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, დიდება ალლაჰს მრავალჯერ, ქება ალლაჰს მრავალჯერ, ქება-დიდება ალლაჰს სამყაროების ღმერთს, არ არის ძალა და ძლევამოსილება გარდა ალლაჰისა, დიდებულისა, ბრძენისა, ღმერთო მაპატიე, შემიწყალე, დამიდგინე სწორ გზაზე და მომეცი სარჩო.

رَبَّنَا تَقَبَّلْ مِنَّا إِنَّكَ أَنتَ السَّمِيعُ الْعَلِيمُ

ღმერთო ჩვენო მიიღე ჩვენგან, ჭეშმარიტად შენ ყოვლისმსმენი და ყოვლიმცოდნე ხარ

رَبَّنَا آتِنَا فِي الدُّنْيَا حَسَنَةً وَفِي الآخِرَةِ حَسَنَةً وَقِنَا عَذَابَ النَّارِ

ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან.

رَبَّنَا لاَ تُؤَاخِذْنَا إِن نَّسِينَا أَوْ أَخْطَأْنَا رَبَّنَا وَلاَ تَحْمِلْ عَلَيْنَا إِصْرًا كَمَا حَمَلْتَهُ عَلَى الَّذِينَ مِن قَبْلِنَا رَبَّنَا وَلاَ تُحَمِّلْنَا مَا لاَ طَاقَةَ لَنَا بِهِ وَاعْفُ عَنَّا وَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا أَنتَ مَوْلاَنَا فَانصُرْنَا عَلَى الْقَوْمِ الْكَافِرِينَ

ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენზე უწინ იყო! ღმერთო ჩვენო! არ დაგვაკისრო ის, რისი ზიდვაც არ შეგვიძლია. და მოგვიტევე, გვაპატიე და შეგვიწყალე! შენა ხარ ჩვენი მბრძანებელი და დაგვეხმარე ურწმუნო ხალხზე!

رَبَّنَا لا تُزِغْ قُلُوبَنَا بَعْدَ إِذْ هَدَيْتَنَا وَهَبْ لَنَا مِنْ لَدُنْكَ رَحْمَةً إِنَّكَ أَنْتَ الْوَهَّابُ

ღმერთო ჩვენო! არ დაუშვა, რომ ჩვენი გულები გადაიხარონ მას მერე, რაც შენ სწორ გზაზე დაგვაყენე. და მოგვანიჭე შენი წყალობა, ჭეშმარიტად, შენ ხარ მომმადლებელი.

رَبَّنَا إِنَّنَا آمَنَّا فَاغْفِرْ لَنَا ذُنُوبَنَا وَقِنَا عَذَابَ النَّارِ

ღმერთო ჩვენო! ჭეშმარიტად, ჩვენ ვირწმუნეთ, მოგვიტევე ჩვენ ცოდვები და დაგვიფარე ცეცხლის სასჯელისგან

رَبِّ هَبْ لِي مِن لَّدُنكَ ذُرِّيَّةً طَيِّبَةً ۖ إِنَّكَ سَمِيعُ الدُّعَاءِ

ღმერთო ჩემო, მიბოძე შენგან კეთილი მოდგმა. ჭეშმარიტად, შენ ხარ ვედრების შემსმენი

رَبَّنَا آمَنَّا بِمَا أَنزَلْتَ وَاتَّبَعْنَا الرَّسُولَ فَاكْتُبْنَا مَعَ الشَّاهِدِينَ

ღმერთო ჩვენო! ვირწმუნეთ ჩვენ, რაც ზემოავლინე, და გავყევით შუამავალს. მაშ, ჩაგვწერე ჩვენც მოწმეთა რიგებში.

رَّبَّنَا إِنَّنَا سَمِعْنَا مُنَادِيًا يُنَادِي لِلْإِيمَانِ أَنْ آمِنُوا بِرَبِّكُمْ فَآمَنَّا ۚ رَبَّنَا فَاغْفِرْ لَنَا ذُنُوبَنَا وَكَفِّرْ عَنَّا سَيِّئَاتِنَا وَتَوَفَّنَا مَعَ الْأَبْرَارِ. رَبَّنَا وَآتِنَا مَا وَعَدْتَنَا عَلَى رُسُلِكَ وَلا تُخْزِنَا يَوْمَ الْقِيَامَةِ إِنَّكَ لا تُخْلِفُ الْمِيعَادَ

ღმერთო ჩვენო! ჩვენ ვუსმენდით მხმობელს, რომელიც გვიხმობდა: ირწმუნეთ თქვენი ღმერთიო! და ჩვენც ვირწმუნეთ. ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენი ცოდვები და განგვწმინდე ჩვენ სიავეთაგან და განგვასვენე სიკეთისმქმნელებთან ერთად. 194. ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ის, რაც დაგვპირდი შენი შუამავლების მეშვეობით და არ შეგვარცხვინო აღდგომის დღეს. ჭეშმარიტად, შენ პირობას არ შეცვლი

رَبَّنَا ظَلَمْنَا أَنفُسَنَا وَإِن لَّمْ تَغْفِرْ لَنَا وَتَرْحَمْنَا لَنَكُونَنَّ مِنَ الْخَاسِرِينَ

ღმერთო ჩვენო, უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს, და თუ არ მოგვიტევებ და შეგვიწყალებ, წაგებულთაგანი ვიქნებითო

رَبَّنَا لَا تَجْعَلْنَا مَعَ الْقَوْمِ الظَّالِمِينَ

ღმერთო ჩვენო არ გვამყოფო უსამართლო ხალხთაგან

أَنْتَ وَلِيُّنَا فَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا وَأَنْتَ خَيْرُ الْغَافِرِينَ* وَاكْتُبْ لَنَا فِي هَذِهِ الدُّنْيَا حَسَنَةً وَفِي الْآخِرَةِ

შენა ხარ ჩვენი პატრონი! გვაპატიე და შეგვიწყალე! სწორედ შენა ხარ საუკეთესო მიმტევებელი. 156. და დაგვიწერე სააქაოში კეთილი და საიქიოშიც

عَلَى ٱللَّهِ تَوَكَّلْنَا رَبَّنَا لَا تَجْعَلْنَا فِتْنَةً لِّلْقَوْمِ ٱلظَّٰلِمِينَ ﴿٨٥﴾ وَنَجِّنَا بِرَحْمَتِكَ مِنَ ٱلْقَوْمِ ٱلْكَٰفِرِينَ

ჭეშმარიტად ჩვენ ალლაჰს მივენდეთ! ღმერთო ჩვენო, ნუ დაგვადგენ ჩვენ განსაცდელად უსამართლო ხალხისათვის .გვიხსენი ჩვენ შენი წყალობით ურწმუნო ხალხისგანო!

رَبِّ اجْعَلْنِي مُقِيمَ الصَّلَاةِ وَمِن ذُرِّيَّتِي ۚ رَبَّنَا وَتَقَبَّلْ دُعَاءِ . رَبَّنَا اغْفِرْ لِي وَلِوَالِدَيَّ وَلِلْمُؤْمِنِينَ يَوْمَ يَقُومُ الْحِسَابُ

ღმერთო ჩემო, დამადგინე მე ლოცვათა აღმსრულებლად და ჩემი შთამომავლობიდან. ღმერთო ჩემო! მიიღე ჩემი ვედრება! ღმერთო ჩემო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებსა და მორწმუნეებს იმ დღეს, როდესაც შედგება ანგარიშსწორება.

رَبِّي ارْحَمْهُمَا كَمَا رَبَّيَانِي صَغِيرًا

ღმერთო ჩემო, წყალობა უყავ მათ ისევე, როგორც მე აღმზარდეს პატარა.

رَبَّنَا آتِنَا مِن لَّدُنكَ رَحْمَةً وَهَيِّئْ لَنَا مِنْ أَمْرِنَا رَشَدًا

ღმერთო ჩვენო, გვიბოძე შენი წიაღიდან წყალობა და დადვიდგინე ჩვენს საქმეში წარმატება

رَبِّ اشْرَحْ لِي صَدْرِي وَيَسِّرْ لِي أَمْرِي

ღმერთო ჩემო. გამიფართოვე ჩემი გული. და გამიადვილე ჩემი საქმე.

رَبِّ زِدْنِي عِلْمًا

ღმერთო ჩემო მომიმატე ცოდნა

لَا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ سُبْحَانَكَ إِنِّي كُنْتُ مِنَ الظَّالِمِينَ

არ არსებობას ღვთაება შენს გარდა, ქედაბ-დიდება შენ გეკუთვნის, ჭეშმარიტადა, მე ვიყავი ერთ-ერთი უსამართლოთაგანი

رَبِّ أَعُوذُ بِكَ مِنْ هَمَزَاتِ الشَّيَاطِينِ . وَأَعُوذُ بِكَ رَبِّ أَنْ يَحْضُرُونِ

ღმერთო ჩემო! შენ მოგეკედლები ეშმაკთა ცდუნებისგან. 98. და შენ მოგეკედლები, ღმერთო ჩემო, იმისაგან, რომ არ მომეკარონ ისინი!

رَبَّنَا آمَنَّا فَاغْفِرْ لَنَا وَارْحَمْنَا وَأَنتَ خَيْرُ الرَّاحِمِينَ

ღმერთო ჩვენო ვირწმუნეთ! მოგვიტევე ჩვენ და შეგვიწყალე, რამეთუ შენა ხარ მოწყალეთაგან საუკეთესო

رَبَّنَا اصْرِفْ عَنَّا عَذَابَ جَهَنَّمَ إِنَّ عَذَابَهَا كَانَ غَرَامًا

ღმერთო ჩვენო! აგვარიდე ჯოჯოხეთის ტანჯვა! რამეთუ იქ ტანჯვა მარადიულია

رَبَّنَا هَبْ لَنَا مِنْ أَزْوَاجِنَا وَذُرِّيَّاتِنَا قُرَّةَ أَعْيُنٍ وَاجْعَلْنَا لِلْمُتَّقِينَ إِمَامًا

ღმერთო ჩვენო! გვიბოძე ჩვენ სიხარული ჩვენი ცოლ-შვილის სახით და დაგვადგინე ჩვენ წინამძღოლად ღვთისმოშიშთათვის.

رَبِّ أَوْزِعْنِي أَنْ أَشْكُرَ نِعْمَتَكَ الَّتِي أَنْعَمْتَ عَلَيَّ وَعَلَىٰ وَالِدَيَّ وَأَنْ أَعْمَلَ صَالِحًا تَرْضَاهُ وَأَدْخِلْنِي بِرَحْمَتِكَ فِي عِبَادِكَ الصَّالِحِينَ

ღმერთო ჩემო, შთამაგონე, რომ ვიყო მადლიერი იმისათვის, რაც მიწყალობე მეც და ჩემს მშობლებსაც; და რომ ვაკეთო კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და შემიყვანე მე შენს მოწყალებაში შენს მართალ მსახურთა შორის.

رَبِّ إِنِّي ظَلَمْتُ نَفْسِي فَاغْفِرْ لِي

ღმერთო ჩემო, უსამართლოდ მოვექეცი საკუთარ თავს. შემინდე მე.

رَبِّ هَبْ لِي مِنَ الصَّالِحِينَ

ღმერთო ჩემო, მიბოძე მე მართლმორწმუნე შთამომავლობა

رب أوزعني أن أشكر نعمتك الَّتِي أَنْعَمْتَ عَلَيَّ وَعَلَى وَالِدَيَّ وَأَنْ أَعْمَلَ صَالِحًا تَرْضَاهُ وَأَصْلِحْ لِي فِي ذُرِّيَّتِي إِنِّي تُبْتُ إِلَيْكَ وَإِنِّي مِنَ الْمُسْلِمِينَ

ღმერთო ჩემო! შთამაგონე, რომ ვიყო მადლიერი იმისათვის, რაც მიბოძე მე და ჩემს მშობლებს, და რომ ვაკეთო კეთილი საქმე, რომელსაც მოიწონებ. და მომმადლე სიკეთე ჩემს შთამომავლობაში. შენ გთხოვ შენდობას და მე ერთ-ერთი მუსლიმთაგანი ვარ

رَبَّنَا اغْفِرْ لَنَا وَلِإِخْوَانِنَا الَّذِينَ سَبَقُونَا بِالْإِيمَانِ وَلَا تَجْعَلْ فِي قُلُوبِنَا غِلًّا لِّلَّذِينَ آمَنُوا رَبَّنَا إِنَّكَ رَءُوفٌ رَّحِيمٌ

ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენც და ჩვენს ძმებსაც; მათ, რომლებიც წინ გვისწრებენ რწმენით, და ნუ დაადგენ ჩვენს გულებში შურს იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, ჭეშმარიტად, შენ ლმობიერი და მწყალობელი ხარ.

رَّبَّنَا عَلَيْكَ تَوَكَّلْنَا وَإِلَيْكَ أَنَبْنَا وَإِلَيْكَ الْمَصِيرُ (4) رَبَّنَا لَا تَجْعَلْنَا فِتْنَةً لِّلَّذِينَ كَفَرُوا وَاغْفِرْ لَنَا رَبَّنَا ۖ إِنَّكَ أَنتَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ

ღმერთო ჩვენო, შენ გვსასოებთ, შენსკენ მოვისწრაფით და შენთან დავბრუნდებით! 5. ღმერთო ჩვენო, ნუ დაგვადგენ გამოცდად იმათთვის, რომელთაც არ ირწმუნეს. და მოგვიტევე, ღმერთო ჩვენო. ჭეშმარიტად, შენ ხარ ძლევამოსილი, ბრძენი

لا إلَهَ إلَّا اللهُ وحدَهُ لا شريكَ لَهُ ، لَهُ الملكُ ولَهُ الحمدُ يحي ويُميتُ ، بيدِهِ الخيرُ وَهوَ علَى كلِّ شيءٍ قديرٌ

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი, მას ეკუთვნის მეუფება, მას ეკუთვნის დიდება, ის აცოცხლებს და ამკვდარუნებს, მის ხელთაა სიკეთე, და ის ყოვლისშემძლეა.

لا إلهَ إلا اللهُ العظيمُ الحليمُ لا إلهَ إلا اللهُ ربُّ السمواتِ وربُّ الأرضِ ربُّ العرشِ الكَرِيم

არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა ძლევამოსილისა, კეთილისა, არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა ცების ღმერთისა, დედამიწის ღმერთისა, კეთილშობილი არშის ღმერთისა.

اللهم رحمتَك أرجو ، فلا تكلني إلى نفسي طرفةَ عينٍ ، وأصلحْ لي شأني كلَّه ، لا إله إلا أنت

ღმერთო შენი მოწყალებით გთხოვ, არ დამტოვო ჩემი თავის იმედად ერთი წუთითაც, მოაგვარე ჩემი ყველა საქმეები, არ არსებობს ღვთაება გარდა შენისა

اللَّهمَّ أنت ربِّي لا إلهَ إلَّا أنت خلقتني وأنا عبدُك وأنا على عهدِك ووعدِك ما استطعتُ أعوذُ بك من شرِّ ما صنعتُ أبوءُ بنعمتِك وأبوءُ بذنبي فاغفِرْ لي فإنَّه لا يغفِرُ الذُّنوبَ إلَّا أنت

ო ალლაჰ შენ ხარ ჩემი ღმერთი, არ არსებობს ღვთაება გარდა შენისა, შენ შემქმენი, მე მონა ვარ შენი, მე მოგენდე შენ, და შევასრულებ დაპირებას სანამ შემწევს ძალა, შენ შეგეკედლები ჩემს მიერ ჩადენილ სიავისგან, მე ვაღიარებ შენს ჩემდამი გაღებულ მოწყალებას, ვაღიარებ ჩემს ცოდვას, და მაპატიე რამეთუ არავინ არ მაპატიებს ცოდვებს შენს გარდა.

اللهمَّ إني ظلمتُ نفسي ظلمًا كبيرًا ولا يغفرُ الذنوبَ إلَّا أنت فاغفرْ لي مغفرةً من عندِك وارحمْني إنك أنت الغفورُ الرحيمُ

ღმერთო მე დიდი უსამართლობა ჩავიდინე ჩემი სულის მიმართ, არ პატიობს არავინ ცოდვებს შენს გარდა, მაპატიე შენი პატიებიდან, და შემიწყალე, რამეთუ შენ ხარ მპატიებელი და მოწყალე.

اللهمَّ إني عبدُك ، وابنُ عبدِك ، وابنُ أمَتِك ، ناصيتي بيدِك ماضٍ فيَّ حكمُك ، عدلٌ في قضاؤكَ ، أسألُك بكلِّ اسمٍ هو لك سمَّيتَ به نفسَك ، أو أنزلتَه في كتابِك ، أو علمتَه أحدًا من خلقِك ، أو استأثرتَ به في علمِ الغيبِ عندَك ، أنْ تجعل القرآنَ العظيمَ ربيعَ قلبي ، وشفاءَ صدري ، وجَلاءَ حزني ، وذهابَ همِّي

ღმერთო მე შენი მონა ვარ, და შენი მონა კაცის შვილი ვარ, და შენი მონა ქალის შვილი ვარ, მე შენს განკარგულებაში ვარ, შენი გადაწყვეტილება ჩემთვის აუცილებელია, შენი განაჩენი ჩემთვის სამართლიანია, გთხოვ შენი ყველა სახელით, რომლითაც შენ უწოდე შენს თავს ან გარდმოავლინე შენს წიგნში. ან ასწავლე შენს რომელიმე ქმნილებას, ან დაფარულით რომელზეც მხოლოდ შენ იცი, გახადე ყურანი ჩემი გულის გაზაფხულად. ჩემი მკერდის სინათლედ, ჩემი წყენის გამქრობად და ჩემი მოუსვენრობის დამანგრევლად.

يا مُقلِّبَ القلوبِ ثبِّتْ قَلبي على دِينِكَ

ო გულების შემატრიალებელო, გაამტკიცე ჩემი გული შენს რელიგიაზე!

اللَّهمَّ إنِّي أعوذُ بك من الهمِّ والحزَنِ والعجْزِ والكسلِ والجُبنِ والبخلِ وضَلَعِ الدَّينِ وغَلَبةِ الرِّجالِ

ო ღმერთო! შენ შეგეფარები დარდისგან და მწუხარებისგან, და შეგეფარები სისუსტისა და სიზარმაცისგან, სუძინწისგან და გულგრილობისგან, ვალის ტვირთვისგან და კაცის ჩაგვრისგან.

اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بِكَ مِنَ البُخْلِ، وأَعُوذُ بكَ مِنَ الجُبْنِ، وأَعُوذُ بِكَ مِن أنْ نُرَدَّ إلى أرْذَلِ العُمُرِ، وأَعُوذُ بِكَ مِن فِتْنَةِ الدُّنْيَا، وعَذَابِ القَبْرِ.

ღმერთო შენ შეგაფარები სიძუნწისგან, სიმხდალისგან, მოხუცებულობაში დაჩაჩანაკებისგან. შენ შეგეფარები ამქვეყნიურის ფითნისგან და სასაფლაოს ტანჯვისგან.

اللَّهمَّ إنِّي أعوذُ بك من البرَصِ والجنونِ ، والجُذامِ وسيِّئِ الأسقامِ

ღმერთო ჭეშმარიტად შენ შეგეფარები კეთრისგან,სიგიჟისგან, ლეპრასგან  და ყველა ცუდი დაავადებისგან.

اللَّهمَّ جنِّبني مُنكراتِ الأخلاقِ والأعمالِ والأهْواءِ والأدْواءِ

ღმერთო მომაშორე ცუდი ზნეობა, ცუდი საქმეები, ცუდი ვნებები და ცუდი დაავადებები.

اللَّهُمَّ إنِّي أعُوذُ بكَ مِنَ الكَسَلِ والهَرَمِ، والمَغْرَمِ والمَأْثَمِ، اللَّهُمَّ إنِّي أعُوذُ بكَ مِن عَذابِ النَّارِ وفِتْنَةِ النَّارِ، وفِتْنَةِ القَبْرِ وعَذابِ القَبْرِ، وشَرِّ فِتْنَةِ الغِنَى، وشَرِّ فِتْنَةِ الفَقْرِ، ومِنْ شَرِّ فِتْنَةِ المَسِيحِ الدَّجَّالِ، اللَّهُمَّ اغْسِلْ خَطايايَ بماءِ الثَّلْجِ والبَرَدِ، ونَقِّ قَلْبِي مِنَ الخَطايا كما يُنَقَّى الثَّوْبُ الأبْيَضُ مِنَ الدَّنَسِ، وباعِدْ بَيْنِي وبيْنَ خَطايايَ كما باعَدْتَ بيْنَ المَشْرِقِ والمَغْرِبِ.

ღმერთო ჩემო ჭეშმარიტად შენ შეგეფარები სიზარმაცისგან, მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისგან, ვალებისგან, ცუდი ქმედებისგან, ღმერთო შენ შეგეფარები ცეცხლის ტანჯვისგან, ჯოჯოხეთის ფითნისგან, საფლავის ფითნისგან, სასაფლაოს ტანჯვისგან, სიმდიდრის ფითნისგან, სიღარიბის ფითნისგან, მესიჰი დაჯჯალის ფითნისგან. ღმერთო ჩამორეცხე ჩემი შეცდომები გაყინული და ცივი წყლით, გაასუფთავე ჩემი გული ცოდვებისგან ისე, როგორც სუფთავდება თეთრი სამოსი ლაქებისგან, და დაგვაშორე მე და ცოდვები ისე, როგორც დააშორე აღმოსავლეთი და დასავლეთი.

اللَّهُمَّ صَلِّ علَى مُحَمَّدٍ، وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كما صَلَّيْتَ علَى آلِ إبْرَاهِيمَ، إنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ، اللَّهُمَّ بَارِكْ علَى مُحَمَّدٍ، وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كما بَارَكْتَ علَى آلِ إبْرَاهِيمَ، إنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ

ღმერთო დალოცე მუჰამმადი და მისი ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმი და მისი ოჯახი, ღმერთო ბარაქა მიეცი მუჰამმად და მის ოჯახს, როგორც იბრაჰიმს და მის ოჯახს, ჭეშმარიტად შენ ხარ ქებული და დიდებული.

اللَّهُمَّ اهْدِنِي وَسَدِّدْنِي للَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ الْهُدَى والسَّدادَ...

ღმერთო ჩემო დამაყენე სწორ გზაზე და მომეცი სწორი აზროვნება, ღმერთო შენ გთხოვ სწორ გზას და გონივრულობას.

رَبِّ اغْفِرْ لي خَطِيئَتي وجَهْلِي، وإسْرَافِي في أمْرِي كُلِّهِ، وما أنْتَ أعْلَمُ به مِنِّي، اللَّهُمَّ اغْفِرْ لي خَطَايَايَ، وعَمْدِي وجَهْلِي وهَزْلِي، وكُلُّ ذلكَ عِندِي، اللَّهُمَّ اغْفِرْ لي ما قَدَّمْتُ وما أخَّرْتُ، وما أسْرَرْتُ وما أعْلَنْتُ، أنْتَ المُقَدِّمُ وأَنْتَ المُؤَخِّرُ، وأَنْتَ علَى كُلِّ شيءٍ قَدِيرٌ.

ღმერთო მაპატიე ჩემი შეცდომები და უმეცრობა, ისრაფი(ზედმეტი ხარჯვა) ჩემს ყველა საქმეში, შენ უკეთესად იცი მათზე ვიდრე მე, ღმერთო მაპატიე ჩემი შეცდომები, ჩემი ზრახვები, ჩემი უმეცრობა, ჩემი ხუმრობები და ყველაფერი რაც მაქვს, ღმერთო მაპატიე რაც გავასწარი და რაც დავაგვიანე, რაც გავიარე და რაც გავაცხადე, შენ ხარ პირველი და უკანასკნელი, და შენ ხარ ყოვლისშემძლე.

اللهم أَحْسِنْ عاقبتَنا في الأمورِ كلِّها ، وأَجِرْنا من خِزْيِ الدنيا وعذابِ الآخرةِ .

ღმერთო საუკეთესო გახადე ყველა ჩვენი საქმის შედეგი, და დაგვაჯილოდვე ამქვეყნადაც და აახირეთშიც.

اللَّهمَّ إنِّي أعوذُ بكَ مِن شرِّ سَمْعي، ومِن شرِّ بصَري، ومِن شرِّ لساني، ومِن شرِّ قَلْبي، ومِن شرِّ مَنِيِّي

ღმერთო შენ შეგეფარები ჩენი სმენის სიავისგან, ჩენი ხედვის სიავისგან, ჩემი ენის სიავისგან, ჩემი გულის სიავისგან და ჩემი სპერმის სიავისგან.

اللَّهُمَّ رَبَّ السَّمَوَاتِ وَرَبَّ الأرْضِ وَرَبَّ العَرْشِ العَظِيمِ، رَبَّنَا وَرَبَّ كُلِّ شَيءٍ، فَالِقَ الحَبِّ وَالنَّوَى، وَمُنْزِلَ التَّوْرَاةِ وَالإِنْجِيلِ وَالْفُرْقَانِ، أَعُوذُ بكَ مِن شَرِّ كُلِّ شَيءٍ أَنْتَ آخِذٌ بنَاصِيَتِهِ، اللَّهُمَّ أَنْتَ الأوَّلُ فليسَ قَبْلَكَ شَيءٌ، وَأَنْتَ الآخِرُ فليسَ بَعْدَكَ شَيءٌ، وَأَنْتَ الظَّاهِرُ فليسَ فَوْقَكَ شَيءٌ، وَأَنْتَ البَاطِنُ فليسَ دُونَكَ شَيءٌ، اقْضِ عَنَّا الدَّيْنَ، وَأَغْنِنَا مِنَ الفَقْرِ.

ღმერთო ჩემო, ცების, დედამიწის და დიდებული არშის ღმერთო, ღმერთო ჩვენო ყოველივეს ღმერთო, მარცვლის და ბირთვის შემქმნელო, თორას, ინჯილის და ფურყანის წარმომგზავნო, შენ შეგეფარები ყოველი ცუდისგან, რადგან შენ ხელთაა ყოველივე. ღმერთო შენ ხარ პირველი და არ იყო შენს წინ არავინ, შენ ხარ ბოლო და არ იქნება შენს შემდეგ არავინ. შენ ხარ გამარჯვებული და არ არის შენს ზევით არავინ, შენ ხარ ფარული და არ არის შენთვის არაფერი, გამათავისუფლე ვალებისგან და სიღარიბისგან.

اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بكَ مِن شَرِّ ما عَمِلْتُ، وَشَرِّ ما لَمْ أَعْمَلْ

ღმერთო, ჭეშმარიტად შენ შეგეფარები ყოველი სიავისგან, რაც ჩავიდინე და რაც არ ჩავიდინე.

اللَّهُمَّ أَصْلِحْ لي دِينِي الذي هو عِصْمَةُ أَمْرِي، وَأَصْلِحْ لي دُنْيَايَ الَّتي فِيهَا معاشِي، وَأَصْلِحْ لي آخِرَتي الَّتي فِيهَا معادِي، وَاجْعَلِ الحَيَاةَ زِيَادَةً لي في كُلِّ خَيْرٍ، وَاجْعَلِ المَوْتَ رَاحَةً لي مِن كُلِّ شَرٍّ.

ღმერთო გამოასწორე ჩემი რელიგია, რამეთი ის არის ჩემი კარგად ყოფნის საფუძველი, გამოასწორე ჩემი ამქვეყნირუ საქმეები,რადგან მათზეა დამოკიდებული ჩემი არსებობა, გამოასწორე ჩემი საიქიო ცხოვრება, რადგან მას დავუბრუნდები, გახადე ჩემთვის ამქვეყნიური ცხოვრება ნეტარებად და იმქვეყნიური ცხოვრება - დასვენებად.

اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ الهُدَى وَالتُّقَى، وَالْعَفَافَ وَالْغِنَى

ღმერთო შენ გთხოვ სწორ გზას, ღვთისმოშიშობას, პატიოსნებას და სიმდიდრეს.

اللَّهُمَّ إِنِّي أَسْأَلُكَ فِعْلَ الْخَيْرَاتِ، وَتَرْكَ الْمُنْكَرَاتِ، وَحُبَّ الْمَسَاكِينِ، وَأَنْ تَغْفِرَ لِي، وَتَرْحَمَنِي، وَإِذَا أَرَدْتَ فِتْنَةَ قَوْمٍ فَتَوَفَّنِي غَيْرَ مَفْتُونٍ، وَأَسْأَلُكَ حُبَّكَ، وَحُبَّ مَنْ يُحِبُّكَ، وَحُبَّ عَمَلٍ يُقَرِّبُنِي إِلَى حُبِّكَ

ღმერთო შენ გთხოვ, რომ მაკეთებინო სიკეთეები, მივატოვო სიავეები, შევიყვარო ღარიბები. და რომ მაპატიო,შემიწყალო. და თუ ისურვებ ფითნას ხალხში არ მომაკვდინო, გარდა ფითნისგან თავის ამრიდებლისა. გთხოვ შენს სიყვარულს, და იმის სიყვარულს, ვისაც შენ უყვარხარ და ისეთი საქმეების სიყვარულს, რაც დამაახლოვებს შენს სიყვარულთან.

اللهمَّ احْفَظْنِي بِالإسلامِ قائِمًا ، و احْفَظْنِي بِالإسلامِ قاعِدًا ، و احْفَظْنِي بِالإسلامِ رَاقِدًا ، و لا تُشْمِتْ بي عَدُوًّا حاسِدًا ، اللهمَّ إنِّي أسألُكَ من كلِّ خَيْر خَزَائِنُهُ بِيَدِكَ ، و أعوذُ بِكَ من كلِّ شَرٍّ خَزَائِنُهُ بِيَدِكَ

ღმერთო დამიფარე ისლამის მეშვეობით, როცა მე ვიდგები, ღმერთო დამიფარე ისლამის მესვეობით, როცა მე ვიჯდები, დამიფარე ისლამის მეშვეობით, როცა დავიძინებ, არ დაუშვა, რომ ჩემი ცუდით გაიხაროს არც მტერმა და არც მოშურნემ. ღმერთო შენ გთხოვ ყოველივე სიკეთეს, რომლის განძიც შენს ხელთაა! და შეგეფარები ყოველი სიავისგან, რომლის განძიც შენს ხელთაა!

اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بكَ مِنَ العَجْزِ وَالْكَسَلِ، وَالْجُبْنِ وَالْبُخْلِ، وَالْهَرَمِ، وَعَذَابِ القَبْرِ، اللَّهُمَّ آتِ نَفْسِي تَقْوَاهَا، وَزَكِّهَا أَنْتَ خَيْرُ مَن زَكَّاهَا، أَنْتَ وَلِيُّهَا وَمَوْلَاهَا، اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بكَ مِن عِلْمٍ لا يَنْفَعُ، وَمِنْ قَلْبٍ لا يَخْشَعُ، وَمِنْ نَفْسٍ لا تَشْبَعُ، وَمِنْ دَعْوَةٍ لا يُسْتَجَابُ لَهَا.

ღმერთო შენ შეგეფარები სისუსტისგან, სიზარმაცისგან, გულგრილობისგან, სიძუნწისგან და მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისგან. საფლავის ტანჯვისგან, ღმერთო აჩუქე ჩემს სულს ღვთიშმოშიშობა და გაასუთავე ის, რადგან შენ ხარ საუკეთესო გამასუფთავებელი. შენ ხარ მისი პატრონი და შემნახველი. ღმერთო! შენ შეგეფარები ცოდნისგან, რომელსაც არ მოაქვს სარგებელი, გულისგან, რომელსაც არ ეშინია, სულისგან, რომელიც არ ძღება და ვედრებისგან, რომელიც არ მიიღებს პასუხს.

اللَّهُمَّ لكَ أَسْلَمْتُ، وَبِكَ آمَنْتُ، وَعَلَيْكَ تَوَكَّلْتُ، وإِلَيْكَ أَنَبْتُ، وَبِكَ خَاصَمْتُ، اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بعِزَّتِكَ -لا إِلَهَ إِلَّا أَنْتَ- أَنْ تُضِلَّنِي، أَنْتَ الحَيُّ الَّذي لا يَمُوتُ، وَالْجِنُّ وَالإِنْسُ يَمُوتُونَ.

ღმერთო შენი გულისთვის გავმუსლიმდი, შენი გულისთვის ვირწმუნე, შენ მიგენდობი, შენ წინ ვინანიებ, შენი გულისთვის ვიბრძოლე. ღმერთო შევეფარები შენს დიდებას - არ არსებობს ღმერთი შენს გარდა - რომ გზა ამერიოს, შენ ხარ ცოცხალი, რომელიც არ კვდება. ჯინებიც და ადამიანებიც კვდებიან.

اللَّهُمَّ إِنِّي أَعُوذُ بكَ مِن زَوَالِ نِعْمَتِكَ، وَتَحَوُّلِ عَافِيَتِكَ، وَفُجَاءَةِ نِقْمَتِكَ، وَجَمِيعِ سَخَطِكَ

ღმერთო შენ შეგეფარები შენი მოწყალებისა და კეთილდღეობის დაკარგვისგან, დამიფარე შენი უეცარი სასჯელისგან და სიბრაზისგან.

اللَّهُمَّ اقْسِمْ لَنَا مِنْ خَشْيَتِكَ مَاتَحُولُ بِهِ بَيْنَنَا وَبَيْنَ مَعْصِيَتِكَ وَمِنْ طَاعَتِكَ مَاتُبَلِّغُنَا بِهَا جَنَّتَكَ وَمِنَ اليَقِينِ مَاتُهَوِّنُ بِهِ عَلَيْنَا مَصَائِبَ الدُّنْيَا وَمَتِّعْنَا بِأَسْمَاعِنَا وَأَبْصَارِنَا وَقُوَّتِنَا مَاأَحْيَيْتَنَا وَاجْعَلْهُ الوَارِثَ مِنَّا وَاجْعَلْ ثَأْرَنَا عَلَى مَنْ ظَلَمَنَا وَانْصُرْنَا عَلَى مَنْ عَادَانَا وَلاَ تجْعَلْ مُصِيبَتَنَا فِي دِينِنَا وَلاَ تَجْعَلِ الدُّنْيَا أَكْبَرَ هَمِّنَا وَلَا مَبْلَغَ عِلْمِنَا وَلاَ تُسَلِّطْ عَلَيْنَا مَنْ لَا يَرْحَمُنَا

ღმერთო მოგვეცი ისეთი შიში შენს მიმართ, რომელიც დაგვაშორებს შენზე ურჩობას, მოგვეცი ისეთი მორჩილება შენს მიმართ, რომელიც მიგვიყვანს შენს სამოთხემდე, მოგვეცი ისეთი რწმენა, რომ ამქვეყნიური პრობლემები უმნიშვნელო იყოს ჩვენთვის! მოგვეცი შესაძლებლობა, რომ გამოვიყენოთ ჩვენი მხედველობა, სმენა და ძალა, სანამ შენ ხელს შეგვიწყობ ცხოვრებაში, და მიეცი ეს ჩვენს შთამომავლებს. დასაჯე ისინი, ვინც ჩვენ გვჩაგრავდა და დაგვეხმარე მათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ გვებრძვის. არ დაუშვა, რომ ჩვენს რელიგიას შეეხოს უბედურება, არ გახადო ეს სამყარო ჩვენს ყველაზე დიდი საზრუნავად და არც ჩვენი ცოდნის დასასრულად. არ მისცე ძალაუფლება ჩვენზე იმ ხალხს, რომლებიც არ დაგვინდობენ.

للَّهُمَّ ارزُقني حُبَّكَ، وحُبَّ مَنْ يَنْفَعُني حُبُّهُ عندَك، اللَّهُمَّ مَا رَزَقْتَني مِمَّا أُحِبُّ فَاجْعَلْهُ قُوَّةً لِي فِيمَا تُحِبُّ، اللَّهُمَ مَا زَوَيْتَ عَنِّي مِمَّا أُحِبُّ فَاجْعَلْهُ فَرَاغاً لِي فِيمَا تُحِبُّ.

ღმერთო მიბოძე შენი სიყვარული, და  სიყვარული იმისა, რისი სიყვარულიც მომიტანს სარგებელს შენს სიყვარულში, ღმერთო რაც არ უნდა მიბოძო ისეთი, რაც მიყვარს გამომაყენებინე ის ისე, როგორც შენს გიყვარს. რაც არ უნდა წამართვა იმისგან, რაც მე მიყვარს გამომაყენებინე მისი უქონლობა ისე, როგორც შენ გიყვარს.

اللَّهُمَّ مُصَرِّفَ القُلُوبِ صَرِّفْ قُلُوبَنَا عَلَى طَاعَتِكَ.

ო ღმერთო! გულების მმართველო, დააყენე ჩვენი გულები შენს მორჩილებაზე.

اللَّهُمَّ اغْفِرْ لي ذَنْبِي كُلَّهُ دِقَّهُ، وجِلَّهُ، وأَوَّلَهُ وآخِرَهُ وعَلانِيَتَهُ وسِرَّهُ.

ღმერთო მაპატიე ჩემი ცოდვები პატარები, დიდები, პირველები, ბოლოები, ნათლები და ფარულები.

اللَّهُمَّ رَبَّ جِبْرَائِيلَ، وَمِيكَائِيلَ، وإسْرَافِيلَ، فَاطِرَ السَّمَوَاتِ وَالأرْضِ، عَالِمَ الغَيْبِ وَالشَّهَادَةِ، أَنْتَ تَحْكُمُ بيْنَ عِبَادِكَ فِيما كَانُوا فيه يَخْتَلِفُونَ، اهْدِنِي لِما اخْتُلِفَ فيه مِنَ الحَقِّ بإذْنِكَ؛ إنَّكَ تَهْدِي مَن تَشَاءُ إلى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ.

ო ალლაჰ, ჯაბრაილის ღმერთო, მიქაილის ღმერთო, ისრაფილის ღმერთო, ცებისა და დედამიწის შემქმნელო, ფარულის და აშკარას მცოდნეო, შენ განსჯი შენს მონებს, თუ რამეში ვერ შეთანხმდნენ. მიმიყვანე იმ სიმართლამდე, რაშიც ისინი ვერ თანხმდებიან, შენი ნებით! ჭეშმარიტად შენ აყენებ სწორ გზაზე, ინებებ ვისაც!

اللَّهمَّ إنِّي أعوذُ برضاكَ من سخَطِك وبمعافاتِكَ من عُقوبتِكَ ، وأعوذُ بِك منكَ ، لا أُحصي ثناءً عليكَ أنتَ كما أثنيتَ على نفسِكَ

ღმერთო მე შევეფარები შენს კმაყოფილებას შენი რისხვისგან, მივეფარები შენს პატიებას შენი სასჯელისგან, მივეფარები შენს მფარველობას შენგან, არ მძალუძს, რომ შეგაქო ისე, როგორც შენ შეაქე შენი თავი.

اللهمَّ إنِّي أعُوذُ بِكَ مِنْ جَهْدِ الْبَلَاءِ، وَدَرَكِ الشَّقَاءِ، وَسُوءِ الْقَضَاءِ، وَشَمَاتَةِ الْأَعْدَاءِ

ო ალლაჰ! შენ შეგეფარები განსაცდელის სირთულისგან და იმისგან, რომ არ დაგვემართოს უბედურება, ცუდი ბედისგან და მტრის გახარებისგან.

اللَّهُمَّ اجْعَلْ لِي فِي قَلْبِي نُورًا، وفي لِسَانِي نُورًا، وفي سَمْعِي نُورًا، وفي بَصَرِي نُورًا، وَمِنْ فَوْقِي نُورًا، وَمِنْ تَحْتِي نُورًا، وَعَنْ يَمِينِي نُورًا، وَعَنْ شِمَالِي نُورًا، وَمِنْ بَيْنِ يَدَيَّ نُورًا، وَمِنْ خَلْفِي نُورًا، وَاجْعَلْ في نَفْسِي نُورًا، وَأَعْظِمْ لِي نُورًا.

ო ალლაჰ! მოათავსე ჩემს გულში სინათლე, ჩემს ენაზე სინათლე, ჩემს სმენაში სინათლე, ჩემს თვალებში სინათლე, ჩემს ზემოდან სინათლე, ჩემს ქვემოდან სინათლე, ჩემს მარჯვნივ სინათლე, ჩემს მარცხნივ სინათლე, ჩემს წინ სინათლე, ჩემს უკან სინათლე. მოათავსე ჩემს სულშიც სინათლე და მომიმატე სინათლე!

اللَّهمَّ ألهِمْني رُشْدي، وأَعِذْني مِن شرِّ نفسي.

ო ალლაჰ! შთამაგონე სწორი გზა, და დამიფარე ჩემი სულის სიავისგან!

اللَّهمَّ أَلِّف بينَ قلوبنا ، وأصلح ذاتَ بيننا ، واهدنا سبُلَ السَّلامِ ، ونَجِّنا منَ الظُّلماتِ إلى النُّورِ ، وجنِّبنا الفواحشَ ما ظَهَرَ منها وما بطنَ ، وبارِكْ لَنا في أسماعِنا وأبصارِنا وقلوبِنا وأزواجِنا وذرِّيَّاتِنا ، وتُب علَينا ، إنَّكَ أنتَ التَّوَّابُ الرَّحيمُ ، واجعَلنا شاكرينَ لنِعمتِكَ ، مُثنينَ بِها ، قابِليها وأتِمَّها علينا

ო ალლაჰ, გაიერთიანე ჩვენი გულები და გამოასწორე ჩვენი ურთიერთობა, დაგვაყენე მშვიდობის გზაზე, გამოგვიყვანე სიბნელიდან სინათლეში, მოგვაშორე ურცხვობა ნათელიც და ფარულიც, დალოცე ჩვენი სმენა და მხედველობა, ჩვენი გულები, ჩვენი მეუღლეები და ჩვენი შვილები. მიიღე ჩვენგან პატიება, ჭეშმარიტად შენ ხარ მპატიებელი, შემწყალებელი. გვამყოფე მადლიერი შენი მოწყალების, შენი მადიდებელი მათ გამო და მათი მიმღები შენგან, და გვიბოძე შენი წყალობები სრულად.

اللهمَّ إنِّي أسألُك من الخيرِ كلِّه عاجلِه وآجلِه ما علِمتُ منه وما لم أعلمُ ، وأعوذُ بك من الشرِّ كلِّه عاجلِه وآجلِه ما علِمتُ منه وما لم أعلمُ . اللهمَّ إنِّي أسألُك من خيرِ ما سألَك به عبدُك ونبيُّك ، وأعوذُ بك من شرِّ ما عاذ به عبدُك ونبيُّك . اللهمَّ إنِّي أسألُك الجنةَ وما قرَّب إليها من قولٍ أو عملٍ ، وأعوذُ بك من النارِ وما قرَّب إليها من قولٍ أو عملٍ ، وأسألُك أنْ تجعلَ كلَّ قضاءٍ قضيتَه لي خيرًا

ო ალლაჰ! შენ გთხოვ სიკეთეს ამქვეყნად და იმქვეყნად, რაც ვიცი და რაც არ ვიცი, შენ შეგეფარები ყოველი ცუდისგან ამქვეყნად და იმქვეყნად, რაც ვიცი და არ ვიცი. ღმერთო შენ გთხოვ სიკეთეს იმისგან, რასაც გთხოვს შენი მონა და შენი მოციქული, და შეგეფარები იმ სიავისგან, რასაც შენი მონა და მოციქული გთხოვს, ღმერთო შენ გთხოვ სამოთხეს და იმას, რაც დამაახლოვებს მასთან სიტყვით და საქმით. შენ შეგეფარები ცეცხლისგან და იმისგან, რაც დამაახლოვებს მასთან სიტყვითა და საქმით. გთხოვ, რომ ყოველი ჩემი განსჯა იყოს ჩემს სასიკეთოდ.

اللهمَّ بعلْمِك الغيبِ ، وقدْرتِك على الخلقِ أحْيِني ما علمتَ الحياةَ خيرًا لي ، وتوفَّني إذا علِمْتَ الوفاةَ خيرًا لي . اللهمَّ وأسألُك خشيتَك في الغيبِ والشهادةِ ، وأسألُك كلمةَ الإخلاصِ في الرضا والغضبِ ، وأسألُك القصدَ في الفقرِ والغنى ، وأسألُك نعيمًا لا ينفدُ وأسألُك قرةَ عينٍ لا تنقطعُ ، وأسألُك الرضا بالقضاءِ ، وأسألُك بَرْدَ العيْشِ بعدَ الموتِ ، وأسألُك لذَّةَ النظرِ إلى وجهِك ، والشوقَ إلى لقائِك ، في غيرِ ضرَّاءَ مضرةٍ ، ولا فتنةٍ مضلَّةٍ . اللهمَّ زيِّنا بزينةِ الإيمانِ ، واجعلْنا هداةً مُهتدينَ

ო ალლაჰ! შენი ფარულის ცოდნით, შენი შემძლეობით ქმნილებებზე დაიფარე ჩემი სიცოცხლე, თუ იცი, რომ სიცოცხლე ჩემთვის უკეთესი იქნება, და მომაკვდინე თუ სიკვდილი ჩემთვის უკეთესი იქნება. ღმერთო! შენ გთხოვ ღვთისმოშიშობას ნათლადაც და ფარულადაც. გთხოვ, რომ მალაპარაკე მხოლოდ კარგი სიტყვა სიმშვიდეშიც და სიბრაზეშიც. გთხოვ ზომიერებას გასაჭირშიც და სიმდიდრეშიც. შენ გთხოვ ნეტარებას, რომელიც არ დასრულდება, გთხოვ შენ თვალების სიხარულს, რომელიც არ გაჩერდება და კმაყოფილებას ჩემი ბედით. გთხოვ ბედნიერ ცხოვრებას სიკვდილის შემდეგ და შენი სახის ხილვით ტკბობას. გთხოვ შენი ხილვისკენ სწრაფვას, და არ შემიშალოს ხელი ამაში არც ცხოვრების სირთულეებმა და არც ცდუნებებმა, რომლებიც აცდენს გზას. ო ღმერთო!დაგვამშვენე რწმენის სილამაზით და გვამყოფე სწორ გზაზე მომხმობთაგანი.

اللَّهمَّ إنِّي أسألُكَ العفوَ والعافيةَ ، في الدُّنيا والآخرةِ ، اللَّهمَّ إنِّي أسألُكَ العفوَ والعافيةَ ، في دِيني و دُنيايَ ، وأهلي ومالي ، اللَّهمَّ استُرْ عَوراتي ، و آمِنْ رَوعاتِي ، اللَّهمَّ احفَظْني من بينِ يديَّ ، ومن خلفي ، وعن يميني ، وعن شمالي ، ومن فَوقِي ، وأعوذُ بعظمتِكَ أن أُغْتَالَ مِن تحتي

ო ალლაჰ! გთხოვ პატიებას და კეთილდღეობას ამქვეყნად და აახირეთში, ო ალლაჰ! გთხოვ პატიებას და კეთილდღეობას ჩემს რელიგიაში და ცხოვრებაში, ჩემს ოჯახში

და ქონებაში, ო ალლაჰ დაფარე ჩემი სასირცხვო ადგილები და დამაშორე შიშისგან, ო ალლაჰ დამიფარე წინიდან, უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან, ზევიდან და მივეფარები შენს დიდებას, რომ ვიყო მოკლული მუხთლურად ქვემოდან.

اللهمَّ عالمَ الغيبِ والشهادةِ، فاطرَ السمواتِ والأرضِ- ربَّ كلِّ شيءٍ ومَلِيكَه، أشهَدُ أنْ لا إلهَ إلَّا أنت، أعوذُ بك مِن شرِّ نفسي، وشرِّ الشيطانِ وشِرْكِه.

ო ალლაჰ! ფარულის და ნათლის მცოდნევ! ცების და მიწის შემქმნელო! ყოველივეს ღმერთო და მფარველო, ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღვთაება შენს გარდა, შენ შეგეფარები ჩემი სულის სიავისგან, ეშმაკის სიავისგან და შირქისგან.

اللَّهُمَّ إنِّي أَسألُكَ خيرَ المَسألةِ، وخيرَ الدُّعاءِ، وخيرَ النَّجاحِ، وخيرَ العملِ، وخيرَ الثَّوابِ، وخيرَ الحياةِ، وخيرَ المَماتِ، وثبِّتْني وثَقِّلْ مَوازيني، وحَقِّقْ إيماني، وارفَعْ دَرجاتي، وتَقَبَّلْ صلاتي، واغفِرْ خطيئتي، وأَسألُكَ الدَّرجاتِ العُلى مِنَ الجنَّةِ، اللَّهُمَّ إنِّي أَسألُكَ فَواتِحَ الخيرِ وخواتِمَه، وجوامِعَه، وأوَّلَهُ، وظاهِرَهُ وباطِنَهُ، والدَّرجاتِ العُلى مِنَ الجنَّةِ، آمينَ، اللَّهُمَّ إنِّي أَسألُكَ خيرَ ما آتِي، وخيرَ ما أَفعلُ، وخيرَ ما أَعملُ، وخيرَ ما بَطَنَ، وخيرَ ما ظَهَرَ، والدَّرجاتِ العُلى مِنَ الجنَّةِ، آمينَ، اللَّهُمَّ إنِّي أَسألُكَ أنْ تَرفَعَ ذِكْري، وتَضعَ وِزْري، وتُصلِحَ أَمْري، وتُطهِّرَ قلبي، وتُحصِّنَ فَرْجي، وتُنوِّرَ لي قلبي، وتَغفِرَ لي ذَنبي، وأَسألُكَ الدَّرجاتِ العُلى مِنَ الجنَّةِ، آمينَ، اللَّهُمَّ إنِّي أَسألُكَ أنْ تُبارِكَ لي في نَفسي، وفي سَمْعي، وفي بَصَري، وفي رُوحي، وفي خَلْقي، وفي خُلُقي، وفي أَهلي، وفي مَحْيايَ، وفي مَماتي، وفي عَمَلي، وتَقَبَّلْ حَسناتي، وأَسألُكَ الدَّرجاتِ العُلى مِنَ الجنَّةِ.

ო ალლაჰ! შენ გთხოვ რომ მიმიყვანო საუკეთესო თხოვნისკენ და საუკეთესო ვედრებისკენ,  საუკეთესო წარმატებისკენ და საუკეთესო საქმისკენ, საუკეთესო ჯილდოსკენ, საუკეთესო ცხოვრებისკენ და საუკეთესო სიკვდილისკენ. გამამტკიცე და დაამძიმე ჩემი სასწორი. გახადე ჩემი რწმენა გულწრფელი, აამაღლე ჩემი საფეხურები, მიიღე ჩემი ლოცვა და მაპატიე შეცდომები. გთხოვ, შენ უმაღლეს საფეხურებს სამოთხეში, ო ალლაჰ გთხოვ საქმის კარგ დაწყებას და კარგ დასასრულს. და იმას, რაც შეიცავს ყველა სიკეთეს, მის დასაწყისშიც, ფარულშიც და ნათელშიც. და გთხოვ, უმაღლეს საფეხურებს სამოთხეში. ამინ. ო ალლაჰ, გთხოვ, რომ მომცე კეთილი დიდება, ჩამომაშორო ტვირთი, გამიუმჯობესო ჩემი მდგომარეობა, გაასუფთავო ჩემი გული, დაფარო ჩემი სასქესო ორგანოები, გაანათო ჩემი გული და მაპატიო ჩემი ცოდვები, გთხოვ, რომ მიმიყვანო უმაღლეს სამოთხეში, ამინ. ო ალლაჰ, გთხოვ რომ დალოცო ჩემი სული, ჩემი სმენა, ჩემი მხედველობა, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ზნეობა, ჩემი ოჯახი, ჩემი ცხოვრება, ჩემი სიკვდილი. ჩემი საქმეები. მიიღე ჩემი კეთილი საქმეები, და გთხოვ უმაღლეს საფეხურებს სამოთხეში.

اللَّهُمَّ حاسِبْني حِسابًا يَسيرًا

ო ალლაჰ! დამკითხე იოლი დაკითხვით!

اللَّهمَّ إنِّي أَسأَلُك الثباتَ في الأمرِ، والعزيمةَ على الرُّشدِ، وأَسأَلُك شُكْرَ نِعمتِك، وأَسأَلُك حُسنَ عِبادتِك، وأَسأَلُك قَلْبًا سليمًا، وأَسأَلُك لِسانًا صادقًا، وأَسأَلُك مِن خَيرِ ما تَعلَمُ، وأَعوذُ بك مِن شَرِّ ما تَعلَمُ، وأَستغفِرُكَ لِما تَعلَمُ؛ إنَّك أنت عَلَّامُ الغُيوبِ.

ო ალლაჰ, შენ გთხოვ სიმტკიცეს ჩემს საქმეში. სწრაფვას სწორი გზისკენ, მადლიერებას შენს წყალობაზე, საუკეთესო თაყვანისცემას, გთხოვ ჯანმრთელ გულს, მართლის მთქმელ ენას, გთხოვ შენი სიკეთიდან, რაც შენ იცი, და შეგეფარები სიავისგან, რაც შენ იცი, პატიებას გთხოვ იმაზე, რაც შენ იცი, ჭეშმარიტად შენ ხარ ფარულის მცოდნე.

اللهمّ اكْفِنِي بحلالِكَ عن حرامِكَ وأغْنِنِي بفضلكَ عمن سواكَ

ო ალლაჰ. მომეცი საკმარისი ჰალალი, რომ არ მომიწიოს ჰარამისკენ გახედვა, და გამანთავისუფლე შენს გარდა ვინმე მჭირდებოდეს, შენი მოწყალებით.

اللهمَّ عافِنِي في بدني، اللهمَّ عافِنِي في سمعي، اللهمَّ عافِنِي في بصري، اللهمَّ إني أعوذُ بك من الكُفرِ والفَقرِ، اللهمَّ إني أعوذُ بك من عذابِ القبرِ، لا إلهَ إلَّا أنت.

ო ალლაჰ! დაიფარე ჩემი სხეული, ო ალლაჰ დაიფარე ჩემი მხედველობა, ო ალლაჰ დაიფარე ჩემი სმენა, ო ალლაჰ შენ შეგგეფარები ურწმუნოებისგან, სიღარიბისგან, ო ალლაჰ შენ შეგეფარები სასაფლაოს ტანჯვისგან. არ არსებობს ღმერთი შენს გარდა.

ربِّ أعنِّي ولا تُعِن عليَّ وانصُرني ولا تنصُر عليَّ وامْكُر لي ولا تمْكُر عليَّ واهدني ويسِّرِ الْهدى لي وانصُرني على من بغى عليَّ ربِّ اجعلني لَكَ شَكَّارًا لَكَ ذكَّارًا لَكَ رَهَّابًا لَكَ مِطواعًا لَكَ مخبتًا إليْكَ أوَّاهًا مُنيبًا ربِّ تقبَّل توبَتي واغسِل حوبَتي وأجِب دَعوتي وثبِّتْ حُجَّتي واهدِ قَلبي وسدِّد لِساني واسلُل سَخيمةَ صَدري

ო ღმერთო! შემეწიე და ნუ შეეწევი ვინმეს ჩემს წინააღმდეგ, დამეხმარე და ნუ დაეხმარები ნურავის ჩემს წინააღმდეგ, გააკეთე ისე, რომ სამაგიერო ჩემთვის იყოს სიკეთე და არ დამიბრუნდეს ჩემს წინააღმდეგ. დამაყენე სწორ გზაზე და დამეხმარე ამაში. დამეხმარე იმათ წინააღმდეგ, ვინც დამჩაგრა. ო ალლაჰ გააკეთე ისე, რომ ხშირად გემადლიერო, ხშირად გიხსენო, მეშინოდეს შენი, მოგენდო შენ, დაგიჯერო შენ, ო ალლაჰ მიიღე ჩემი მონანიება, განმწმინდე ცოდვებისგან, უპასუხე ჩემს ვედრებას ,გაანმტკიცე ჩემი მტკიცებულებები, უჩვენე სწორი გზა ჩემს გულს და გამანთავისუფლე ჩემი გულის სიბოროტისგან.

اللَّهُمَّ أَعِنَّا عَلَى ذِكْرِكَ، وَشُكْرِكَ، وَحُسْنِ عِبَادَتِكَ

ო ალლაჰ დამეხმარე, რომ მიგიხსენიო, გემადლიერო და საუკეთესოდ გეთაყვანო!

اللَّهُمَّ إنِّي أسأَلُكَ إيمانًا لا يرتَدُّ، ونَعيمًا لا ينفَدُ، ومُرافقةَ النَّبيِّ صلَّى اللهُ عليه وسلَّمَ، في أَعلى غُرَفِ الجنَّةِ، جنَّةِ الخُلدِ.

ო ალლაჰ! გთხოვ ურყევ რწმენას. ნეტარებას, რომელიც არ შეწყდება და გთხოვ შუამავალ მუჰამადდან საუბარს უმაღლესი სამოთხის ბაღებში.

اللهمَّ لك الحمدُ كلُّه اللهمَّ لا قابضَ لما بسطتَ ولا باسطَ لما قبضتَ ولا هاديَ لما أضللتَ ولا مضلَّ لمن هديتَ ولا معطِيَ لما منعت ولا مانعَ لما أعطيتَ ولا مقربَ لما باعدتَ ولا مبعدَ لما قربت اللهمَّ ابسطْ علينا من بركاتِك ورحمتِك وفضلِك ورزقِك اللهمَّ إني أسألُك النعيمَ المقيمَ الذي لا يحولُ ولا يزولُ اللهمَّ إني أسألُك النعيمَ يومَ الغلبةِ والأمنَ يومَ الخوفِ اللهمَّ عائذٌ بك من شرِّ ما أعطيتنا وشرِّ ما منعت منا اللهمَّ حبِّبْ إلينا الإيمانَ وزيِّنْه في قلوبِنا وكرِّهْ إلينا الكفرَ والفسوقَ والعصيانَ واجعلنا من الراشدينَ اللهمَّ توفَّنا مسلمين وأحيِنا مسلمينَ وألحقنا بالصالحينَ غيرَ خزايا ولا مفتونينَ اللهمَّ قاتلِ الكفرةَ الذين يُكذِّبون رسلَك ويصدون عن سبيلِك واجعلْ عليهم رِجزَك وعذابَك اللهمَّ قاتلْ كفرةَ الذين أوتوا الكتابَ إلهَ الخلقِ

ო ალლაჰ! დიდება შენ.ო ალლაჰ არავის შეუძლია შეავიწროვოს ის, რაც შენ აგანიერებ და არავის შეუძლია გააგანიეროს ის, რასაც შენ ავიწროვებ. არავის შეუძლია დააყენოს სწორ გზაზე ის, ვისაც შენ აურიე გზა, და არავის შეუძლია აურიოს გზა, ვინც შენ დააყენე გზაზე. არავის არ შეუძლია მისცეს ის, რასაც შენ აკავებ და შეაკავოს ის, რასაც შენ აძლევ. არავის შეუძლია დაახლოვვის ის, რასაც შენ აშორებ და დააშოროს ის, რასაც შენ აახლოვებ. ო ალლაჰ, გაავრცელე ჩვენზე შენი ლოცვა, მოწყალება და მფარველობა. და გამოგვიგზავნე საარსებო წყარო. ო ალლაჰ გთხოვ სამუდამო ნეტარებას, რომელიც არ იცვლება და არც ქრება. ო ალლაჰ, გთხოვ შენს შეწევნას უკიდურეს სიღარიბეში და უსაფრთხოებას საშიშროებაში. ო ალლაჰ, შენ შეგეფარები იმის სიავისგან, რასაც შენ გვიგზავნი, და იმის სიავისგან, რაც წაგვართვი. ო ალლაჰ, ჰქმენ ისე, რომ ჩვენ გვიყარდეს რწმენა და გაალამაზე ჩვენი გულები მისით. ჰქმენ ისე, რომ ჩვენ გვძულდეს ურწმუნოება, წრმენიდან გასვლა და ცოდვილობა. მოგვეცი ადგილი მართლმორწმუნეებს შორის. ო ალლაჰ, მოგვეცი საშუალება, რომ მოვკვდეთ მორწმუნეებად, და რომ ვიცხოვროთ მუსლიმებად, გაგვაერთიანე მორწმუნეებთან, რომლებიც არ ვარდებიან უიმედობაში და უბედურებაში, ო ალლაჰ, გაანადგურე ურწმუნოები, რომლებიც აყენებენ წინაღობებს შენს გზაზე და უარყოფენ შენს

შუამავლებს. დაატეხე მათ თავს დამცირება და შენი რისხვა. ღმერთო! გაანადგურე ურწმუნოები, რომელთაც გაუგზავნე წიგნი, ო ჭეშმარიტების ღმერთო!

اللهُمَّ متِّعْنِي بسمْعِي وبصرِي ، واجعلْهُما الوارِثَ مِنِّي ، وانصرْنِي على مَنْ ظلَمَنِي ، وخُذْ مِنهُ بثأْرِي

ო ალლაჰ! მომეცი საშუალება, რომ გამოვიყენო ჩემი სმენა და მხედველობა და ქმენ ისინი ჩემს შთამომავლად, დამეხმარო იმის წინააღმედ, ვინც ჩემს წინააღდეგ იბრძვის და დასაჯე ის ჩემთვის.

اللهمَّ اهدِني فيمَن هدَيتَ ، وعافِني فيمَن عافَيتَ ، وتوَلَّني فيمَن تولَّيتَ ، اللهمَّ قِني شرَّ ما قضَيتَ ، وبارِكْ لي فيما أعطَيتَ ، فإنَّك تَقضي بالحقِّ ولا يُقضى عليكَ ، وإنَّه لا يَذِلُّ مَن والَيتَ ، تَبارَكتَ ربَّنا وتَعالَيتَ

ო ალლაჰ დამაყენე სწორ გზაზე, იმათთან ერთად ვინც დააყენე სწორ გზაზე, დამიფარე მათთან ერთად, ვინც დაიფარე, მიხელმძღვანელე მათთან ერთად, ვისაც უხელმძღვანელე. მადლიანი გახადე ჩემთვის ის, რაც მიბოძე, და დამიფარე იმისგან, რაც მომისაჯე. ჭეშმარიტად შენ განსჯი და შენ ვერავინ განგსჯის. არ იქნება შესაზიზღი არავინ, ვისაც შენ მხარდაჭერა გაუწიე. ღმერთო ჩვენო შენ ხარ ყოვლადკეთილი და ყოვლადმაღალი.

أستغفرُ اللهَ العظيمَ الذي لا إله إلا هو الحَيَّ القَيُّومَ وأتوبُ إليه

პატიებას ვთხოვ დიდებულ ალლაჰს, რომლის გარდაც არ არსებობს სხვა ღვთაება. ის ცოცხალია, მარადიულია. მის წინაშე ვინანიებ.

اللَّهُمَّ صَلِّ علَى مُحَمَّدٍ، وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كما صَلَّيْتَ علَى آلِ إبْرَاهِيمَ، إنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ، اللَّهُمَّ بَارِكْ علَى مُحَمَّدٍ، وعلَى آلِ مُحَمَّدٍ، كما بَارَكْتَ علَى آلِ إبْرَاهِيمَ، إنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ

ღმერთო დალოცე მუჰამმადი და მისი ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმი და მისი ოჯახი, ღმერთო ბარაქა მიეცი მუჰამმადს და მის ოჯახს, როგორც იბრაჰიმს და მის ოჯახს, ჭეშმარიტად შენ ხარ ქებული და დიდებული.

## რჩევები ჰაჯისთვის, მუ'თამირისთვის და მომნახველისთვის

ჩემო ძმაო ჰაჯი, ძმაო მუ'თამირო, ძმაო მომნახველო!

იმის შემდეგ, რაც შენ გიწყალობა ალლაჰმა რომ შეასრულო ჰაჯობა ან ზიარა, უნდა იყო ყურადღებით და მიიღო შემდეგი რჩევები:

გამოიყენე შენი ყოფნა ორ აკრძალულ ქალაქში სამადლო საქმეების კეთებით, როგორიცაა:

ბევრი ტავაფის კეთება. რადგანაც მასში უდიდესი მადლია. თქვა შუამავალმა ﷺ: "ვინც შეასრულებს ქააბას გარშემო ტავაფს შვიდჯერ მას დაეწერება ისეთივე მადლი, როგორც მონას გათავისუფლებაზე. არ დაეშვება ერთი ფეხი და არ დაეწევა მეორე ფეხი, გარდა იმისა, რომ მას დაეწეროს მადლი ყოველ ნაბიჯზე". (ახმადი და სხვა).

ჰარამის და შუამავლის მეჩეთში ლოცვის მადლი იმატებს მრავალჯერ. თქვა შუამავალმა ﷺ: "ლოცვა ჩემს მეჩეთში ტოლია ათასი ლოცვისა, ვიდრე სხვა მეჩეთში, გარდა ჰარამის მეჩეთისა". (ბუხარი, მუსლიმ)

ლოცვისთვის ადრიანად მისვლა

ლოცვების გამრავლება, ყურანის კითხვა, ვედრება და მოწყალება.

შენი ჰარამის ტერიტორიაზე ყოფნისას ეცადე, რომ არ დაანახო ალლაჰს არაფერი გარდა სიკეთისა.

თუ ფინანსურად შეძლებული ხარ - გაეცი მოწყალება ღარიბებზე, ღატაკებსა და გაჭირვებულებზე. ორ ჰარამში გაკეთებული საქმეები არ ჰგავს სხვაგან გაკეთებულ საქმეებს.

თუ შეგიძლია შესაწირის გაცემა, შესწირე აქლემი, ძროხა ან ცხვარი, რადგან ეს არის ალლაჰისთვის ერთ-ერთი საყვარელი საქმე, ჰაჯებისთვის, მუ'თამირისთვის და სხვებისთვის. ან გააგზავნე შესაწირი შენი ქვეყნიდან მექქაში. გადმოცემულია აიშასგან, რომელმაც თქვა: "მე ჩემი ხელებით ვუწნავდი შესახვევებს შუამავლის ﷺ საქონლისთვის, მან დაასველა ის სისხლში და შემდეგ გაგზავნა ეს ცხოველი ქააბაში, თვითონ კი არ აუკრძალავს თავს არაფერი, რაც იყო ნებადართული". (ბუხარი მუსლიმ)

იცოდე, რომ ურჩობას და ცოდვის კეთებას ჰარამის ტერიტორიაზე უდიდესი სასჯელი აქვს. თქვა იბნ მას'უდმა ყურანის თაფსირში: „ჭეშმარიტად, ისინი, ვინც უარყო და სხვებსაც აბრკოლებდნენ ალლაჰისა და მასჯიდ ალ-ჰარამის(ქააბას) გზაზე, რომელიც ჩვენ დავადგინეთ ხალხისათვის განურჩევლად იმისა, ცხოვრობენ ისინი იქ თუ მომთაბარეობენ. ხოლო იმას, ვინც უსამართლობით შებილწავს იქაურობას, ვაგემებთ მტანჯველ სასჯელს.“(ალ-ჰაჯჯ:25)

"თუ რომელიმე კაცმა განიზრახა, რომ უსამართლობა ან ცოდვა ჩაიდინოს ჰარამის ტერიტორიაზე ჩვენ ვაგემებთ მას მტანჯველ სასჯელს." (ახმადი)

იყავი საუკეთესო ალლაჰთან და საუკეთესო მის ქმნილებებთან. ვინც საუკეთესოდ იქცევა ალლაჰიც საუკეთესოდ მოექცევა მას. შეხედე ორი ყმაწვილის დამოწმებას იუსუფის მიმართ მის კეთილშობილებაზე. რაც მან გააკეთა: „და შევიდა მასთან ერთად დილეგში ორი ჭაბუკი. თქვა ერთ-ერთმა: მე (სიზმრად)ვნახე - ღვინოს ვწურავდიო. მეორემ თქვა: „მე კი ვნახე, რომ პური თავით მიმქონდა და ჩიტები ჭამდნენ. და გვაცნობე ჩვენ ამის განმარტება, რამეთუ, დავინახეთ, რომ შენ კეთილთაგანი ხარო“. (იუსუფ:36)

მუსლიმს ამშვენებს მისი კეთილი საქმეები.

მოერიდე ცხოველის მოკვლას, ხის მოჭრას, ბალახის მოგლეჯას და ა.შ. რადგან ჰარამის ტერიტორიაზე მსგავსი რამის გაკეთება დიდი ცოდვაა.

ეცადე, რომ შენი იქ ყოფნა გამოიყენო ისლამის შესწავლაში, სწორი მრწამსის და სწორი თაყვანისცემის შესწავლაში, რომელიც მოვიდა ჩვენამდე შუამავლისგან ﷺ

გაფრთხილებ ძვირფასო ძმაო! სურათების გადაღებას მოერიდე სამახსოვროდ თუ სხვა მიზნისთვის. შენთვის ან სხვისთვის, რადგან ეს დიდი ცოდვაა. შუამავალმა ﷺ თქვა: "უდიდესი ტანჯვა ალლაჰის წინაშე განკითხვის დღეს ექნებათ ხალხს, რომლებიც იღებდნენ ან ხატავდნენ სურათებს". (ბუხარი)

ალლაჰის ბრძანება ამ ორ მეჩეთში უფრო ძლიერია, ვიდრე სხვაგან:" სახლებში, რომელთა აშენების ნება დართო ალლაჰმა და რომლებშიც იხსენება მისი სახელი; ადიდებენ მას(ალლაჰს)მათში დილით და საღამოს."

სურათების შექმნა ასევე ეწინააღმდეგება ალლაჰის წმინდანობის დიდებას. „ამგვარად. ვინც განადიდებს ალლაჰის ნიშებს(რიტუალებს), ეს გულთა ღვთისმოშიშებისგანაა.“

ასევე, სურათების გადაღება რიას(თვალთმაქცობის) ნიშანია.

შუამავალი ﷺ შევიდა საჰაბებთან და უთხრა: "გინდათ გამცნოთ ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინია თქვენთვის?" თქვეს: რა თქმა უნდა შუამავალო. მან უთხრა: "ფარული შირქი, როდესაც კაცი ლოცულობს და ალამაზებს თავის ლოცვას, როცა მას ვინმე უყურებს." (იბნ მაჯა)

ბევრი ხალხი თან ატარებს სხვადასხვა აპარატებს და იღებენ სურათებს იმისთვის , რომ სხვებმაც დაინახოს ის, რასაც აკეთებენ. ეს არის ძალიან დიდი უბედურება. ყოველი ამ მონდომების, მოგზაურობის, დაღლილობის შემდეგ ბრუნდები იმ საქმით, რომელიც შენს ყველა ქმედებას შლის და ფუჭს ხდის?!

გაფრთხილებ ძვირფასო ძმაო - რომ არ დაემსგავსო ალლაჰის მტრებს არც მათ სამოსში, არც მათ დღესასწაულებში, არ გაიპარსო წვერი, რადგან ეს ეწინააღმდეგება ძვირფასი შუამავლის ﷺ ბრძანებას.

ვალდებულებაა ყველა მუსლიმზე, რომ დაემლრჩილოს თავის შუამავალს ﷺ, დაემსგავსოს მას, გაერთიანდეს მისი დროშის ქვეშ, დალიოს მისი წყაროს ქვეშ. მან უნდა დაეწინააღმდეგოს თავის ვნებებს, რომ მიიღოს სამოთხის ნეტარებები.

წვერის გაპარსვა: ეს არის აკრძალული ქმედება სამივე მაზჰაბით. ეწინააღმდეგება შუამავლების გზას და ეს არის არამუსლიმებზე დამსგავსება. საჰიჰ ჰადისში: "ვინც დაემსგავსა რომელიმე ხალხს - ის მათგანია". (ახმადი, აბუ დაუდ)

ისბალი - ეს არის სამოსის ( შარვლის და სხვა) დამოკლება ფეხის კოჭების ქვემომდე. ალლაჰის შუამავალმა ﷺ აკრძალა ეს და დიდი სწავლულები არ ანსხვავებენ იქნება ეს შარვალი თუ სხვა სამოსი. შუამავალმა ﷺ თქვა: „ვინც დააგრძელებს თავის იზარს კოჭების ქვემოთ ის იქნება ცეცხლში." (ბუხარი)

თქვა შუამავალმა ﷺ: "სამს არ გაესაუბრება ალლაჰი და არც შეხედავს მათ, და მათ ექნებათ ძლიერი ტანჯვა", და ახსენა მათ შორის "იზარის დამაგრძელებელი ". (მუსლიმ)

გაფრთხილებ ჩემო ძვირფასო ძმაო - სიმღერების და მუსიკების მოსმენისგან. ეს არის აკრძალული, რაზეც მიუთითებს საჰიჰი ჰადისები, შუამავალმა ﷺ თქვა: "ჩემი უმმეთისგან იქნება ხალხი, რომლებიც ნებადართულად ჩათვლიან ღვინის სმას, აბრეშუმის ტარებას და მუსიკალურ ინსტრუმენტებს". (ბუხარი)

მისი აკრძალვა უფრო ძლიერდება მეჩეთებში, განსაკუთრებით კი ჰარამის და შუამავლის ﷺ მეჩეთში. მუსლიმზე ვალდებულება არის, რომ დაემორჩილოს თავის ღმერთს, გაყვეს შუამავლის ﷺ და მისი საჰაბების გზას. უარი თქვას თავის ვნებებზე იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს ამქვეყნად და აახირეთშიც.

ჰაჯმა, მუ'თამირმა და მომნახველმა უნდა გაერიდოს ისეთ საქმეებს, რომლებიც ეწინააღმდეგება შარიათს. იცოდეს, რომ ჩვენ ყველანი ვცდებით და შეცდომის გამეორებაც შეცდომა არის. თქვა შუამავალმა ﷺ: "ადამის ყველა შვილი ცოდვილია, ხოლო საუკეთესო ცოდვილი - მომნანიებელია". (თირმიზი, იბნ მაჯა). ალლაჰი ღებულობს მონანიებას იმისგან, ვინც ინანიებს დ პატიობს მას, ვინც პატიებას სთხოვს.

გახადე ეს მოგზაურობა ცხოვრების ნეტარების გზის დასაწყისის იმედად. თქვა ალლაჰმა : „და იმან, ვინც იმედოვნებს თავის ღმერთთან შეხვედრას, დაე მართალი საქმე აკეთოს და ნურავის დაუდგენს თანაზიარად თავის ღმერთს თაყვანისცემაში“.

იყავი ამაზე მტკიცედ და დაბრუნდი შენს ქვეყანაში ახალი ცხოვრებით, ალლაჰის სიყვარულით, მისი რელიგიის სიყვარულით, მასზე მიყოლით და გულწრფელობით. თქვა ალლაჰმა: "შემდგომ ჩვენ დაგადგინეთ შენ სწორ გზაზე ბრძანებისგან. მიჰყევი მას და ნუ აჰყვები იმათ სურვილებს, რომელთაც არ იციან!“ და თქვა : „და მტკიცედ დადექი, როგორც ნაბრძანები გაქვს. და ვინც მოინანიებს შენთან ერთად, და ზღვარს ნუ გადახვალთ. ჭეშმარიტად, იგი ხედავს, რასაც აკეთებთ.“

აკეთე ბევრი ზიქრი და ვედრება და სთხოვე ალლაჰს, რომ მიიღოს შენგან.

ბევრი შესთხოვეთ ალლაჰს კარგი დასასრული მოგცეთ, როგორც გადმოცემულია ბუხარის საჰიჰში, რომ უმარ იბნ ალ-ხატტაბი ამბობდა: ო ღმერთო! მიბოძე შაჰადა შენს გზაზე! და მომაკვდინე შენი შუამავლის ქალაქში. და ალლაჰმა უპასუხა მის ვედრებას!

ალლაჰს ვთხოვ, მიიღოს შენი ჰაჯობა, უმრა და ზიარეთი. და დაგაბრუნოს შენს ოჯახთან ჯანმრთელი და ბედნიერი!

შენთვის სიკეთის მთხოვნელი.

## რჩევები ჰაჯი, მუ'თამირი და მომნახველი ქალებისთვის:

აუცილებელია გქონდეს სირცხვილი და მორიდებულება. თავაზიანობა გამოიჩინე ჰარამის მეჩეთებში. დაიცავი შარიათული ჰიჯაბი, ჩაიცვი მორცხვად, რომ დაიცვა შენი სხეული და სახე უცხო თვალისგან.

იცოდე ჩემო დაო, ალლაჰი ზრდის თავის მონებს, ქალებსაც და კაცებსაც რელიგიური აღზრდით. მათ შორის არის: აკრძალულია ქალისთვის, რომ გახდეს ფითნის მიზეზი. თქვა ალლაჰმა : „დარჩით თქვენს სახლებში, და არ გამოიპრანჭოთ ისე, როგორც ხდებოდა უვიცობის ხანაში, და დადექით ლოცვად, გაეცით ზექათი და დაემორჩილეთ ალლაჰსა და მის შუამავალს. ალლაჰს სურს აგაცილოს სიბილწე“.

და თაბარრუჯი: რაც ნიშნავს სახის გამოჩენას, რომელიც არის სილამაზის და მომხიბვლელობის ფუძე. თქვა ალლაჰმა: „და უთხარი მორწმუნე ქალებს, მოარიდონ მათი თვალები აკრძალულს და დაიცვან მათი ნამუსი და ნუ გამოაჩენენ სამშვენისებს, იმის გარდა, რაც მოჩანს მათგან. დაფარონ საბურველით გულმკერდი და არავისთან გამოაჩინონ თავიანთი სამშვენისები, გარდა ქმრისა, მამისა, მამამთილისა, ვაჟიშვილებისა, ქმრის ვაჟიშვილებისა, ძმებისა და ძმათა და დათა ძმებისა, მათი ქალებისა, მხევლებისა, რომლებიც მათმა მარჯვენამ მოიპოვა, მამაკაცი მსახურებისა, რომლებსაც ქალის სურვილი არ გააჩნიათ, ბავშვებისა, რომლებიც ვერ ამჩნევენ ქალთა სიშიშვლეს. და ნუ გადადგამენ ფეხს ისე, რომ გამოჩნდეს ის, რაც უნდა დამალონ. მორწმუნენო! მოინანიეთ ალლაჰის წინაშე, რათა ეგების ნეტარ იქმნეთ“.

ებრძანა ქალს, რომ ჩამოუშვას თავსაფარი თავზე, რომ დაფაროს მისი სახე და კისერი. და ებრძანა ეს ყველა ქალს. თქვა ალლაჰმა: „ჰეი შუამავალო, უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებსა და მორწმუნეთა ცოლებს, შემოიხვიონ თავიანთი საბურველები. ეს უფრო უკეთესია, რომ შეცნობილ იქნან. და შეურაცხყოფილნი არ იქნებიან. ალლაჰი მიმტევებელი, მწყალობელია.“

აკრძალულია ქალისთვის, რომ გამოიჩინოს სილამაზეები, გარდა ქმართან ან შვილთან ან სხვა მაჰრამებთან.

თქვა შუამავალმა ﷺ: "ქალები, რომლებიც ჩაცმულები არიან და ამავდროულად გახდილები, გადახრილები და გადახრისკენ მომწოდებლები, მათი თავები აქლემის კუზის მსგავსია, არ შევლენ ისინი სამოთხეში და ვერ შეიგრძნობენ მის სუნს".

შენ გევალდებულება ჩემო დაო, რომ მიყვე ამ მითითებებს და არ გახდე ცდუნების, ფითნის მიზეზი. დაიცავი შენი სული, შენი დები ცოდვებისგან.

## ჩემო დაო: ვინ გიბრძანა ჰიჯაბი დაფარვა?

ო დალოცვილო! იცი ვინ გიბრძანა, რომ დაიფაროს შენი სხეული და თავი ჰიჯაბით?

ჭეშმარიტად, ეს ალლაჰია! რომელიც ამბობს თავის წიგნში: „ჰეი შუამავალო, უთხარი შენს ცოლებს, ქალიშვილებსა და მორწმუნეთა ცოლებს, შემოიხვიონ თავიანთი საბურველები. ეს უფრო უკეთესია, რომ შეცნობილ იქნან. და შეურაცხყოფილნი არ იქნებიან. ალლაჰი მიმტევებელი, მწყალობელია“.

დალოცვილო დაო! ეჭვი არ შეგეპაროს ალლაჰის ბრძანებების შესრულების ვალდებულებაში. ეს გჩუქნის შენ გულის სისპეტაკეს, ღირსებას, პატიოსნებას და გახსოვდეს, რომ ჰიჯაბი არის ალლაჰზე მორჩილება. ნუთუ ეჭვი გეპარება ალლაჰში და არ დაემორჩილები მას?

## წაიკითხე ეს დიდებული ჰადისი და დაფიქრდი მასზე!

აბუ ჰურაირა გადმოსცემს, რომ შუამავალმა ﷺ თქვა: " ორი სახის ხალხი დავინახე ცეცხლში. ხალხი, რომლებსაც საქონლისთვის ბუზების გასარიდებელი მათრახი უჭირავთ და ურტყამენ მისით ხალხს, და ქალები, რომლებიც ჩაცმულები არიან და ამავდროულად შიშვლები, გადახრილები და გადახრისკენ მომწოდებლები, რომელთა თავებიც აქლემის კუზის მსგავსია. არ შევლენ ისინი სამოთხეში და ვერც შეიგრძნობენ მის სუნს, როცა მისი სუნი ამა და ამ დაშორებაზე იგრძნობა ". (მუსლიმ)

## ნუთუ არ მიყვები შენ დედას აიშას და უმ სალამას?

ჩემო დაო: ქალის თავსაფარი მისი სირცხვილი და რწმენის სიძლიერეა.

შენი დედა აიშა ბინთ აბი ბაქრი ამბობს: " შევედი ჩემს სახლში, სადაც დამარხული იყო შუამავალი ﷺ და მამაჩემი, და გავიხადე ჩემი სამოსი. რადგან ისინი ჩემი ქმარი და მამაჩემია. ხოლო როცა იქ დამარხეს უმარ იბნ ალ-ხატტაბი, ვფიცავ ალლაჰს არ შევსულვარ ჩემს სახლში თავსაფრის გარეშე. უმარზე მორიდებულობის გამო". (გადმოსცა აჰმადმა)

**ალლაჰის იყოს შენით კმაყოფილი ო შუამავლის ﷺ ცოლო!**

რომელი სირცხვილია ამ სირხვილზე ძლიერი? ! მას შერცხვა კაცის, რომელიც მოკვდა და მიწის ქვეშ იწვა! ეს შენი დედის სირცხვილია! და შენ მიყვები მას თუ არა?

მორწმუნეების დედა უმ სალამამ ჰკითხა შუამავალს ﷺ: "რა უნდა ქნან ქალებმა მათი კაბების კალთებზე? "შუამავალმა ﷺ თქვა: "დააგრძელოს ისინი მტკაველის ზომაზე". უმ სალამამ თქვა: "მასე ფეხები გამოგვიჩნდება". შუამავალმა ﷺ თქვა: "მაშინ დააგრძელეთ იდაყვის ზომაზე და არა მეტი".

## შარიათული ჰიჯაბის პირობები:

შარიათული ხიჯაბი უნდა აკმაყოფილებდეს რვა პირობას:

1. უნდა ფარავდეს მთელ სხეულს
2. უნდა იყოს ფართო და არ აჩენდეს სხეულის ფორმას
3. არ უნდა იყოს ურწმუნოების სამოსის მსგავსი
4. არ უნდა ლანდავდეს
5. არ უნდა ჰქონდეს რაიმე ნაქარგი და სილამაზეები ზემოდან
6. არ უნდა ჰგავდეს მამაკაცის სამოსს
7. არ უნდა ასდიოდეს სუნი
8. არ უნდა იყოს ცნობილების სამოსი ( არ უნდა ბაძავდეს ვინმეს)

ჩემო დაო : ჰიჯაბი დაკანონებულია, როგორც ფარდა(დამალვა) და არა როგორც გალამაზება, გაპრანჭვა. ის სამოსი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ პირობებს არ არის ჰიჯაბი.

## შარიათული ჰიჯაბი √




## არა შარიათული ჰიჯაბი (გაპრანჭვა) ×




ჩემო დაო! როცა მოხვალ ჰარამის მეჩეთში სწორად ჩაიცვი შარიათული ჰიჯაბი! და გახსოვდეს დალოცვილო! რომ შენ ალლაჰის სახლში ხარ და რომ ალლაჰი შენზე ყველაფრის მცოდნეა. მან იცის ის, რაც არ იცის მისმა ქმნილებამ. და მას აქვს უფლება, რომ მისი გრცხვენოდეს ყველგან და ყოველთვის. და მითუმეტეს მის სახლში!

ჩემო დაო! იმედი მაქვს, რომ შენ შეასრულებ თაყვანისცემას ალლაჰზე მორჩილებით, ურცხვობის მიტოვებით, მადლიანი საქმეების მომატებით და კმაყოფილს გახდი შენს ღმერთს! შენთვის წარმატებების და სიკეთის მსურველი!